საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№027
(12 404)
4 თებერვალი ორშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებიუტი, მოგება და მთავარი მატჩი რუმინეთთან

**2 თებერვალი. მიხეილ მესხი**

**საქართველო-პორტუგალია 31:3**

საქართველო: (15-9) ყიასაშვილი, ხამაშურიძე (ბარკალაია 64), კაჭარავა, გიგაური, ჩხიკვაძე, კვირიკაშვილი (მალალურაძე 67), აბუსერიძე (სამხარაძე 72); (1-8) შველიძე (დადუნაშვილი 73), დადუნაშვილი სბ (ნატრიაშვილი 63), ქუბრიაშვილი (ფეიქრიშვილი 54), დათუნაშვილი, უჩავა, სუთიაშვილი, ურუშაძე (ზ. მაისურაძე 60), ბასილაია - *(5ლ: კაჭარავა, ხამაშურიძე, დადუნაშვილი, გიგაური, ბასილაია; 3გ: ყიასაშვილი, კვირიკაშვილი 2)*

პორტუგალია: (15-1) გასპარი, ეშტევეში, მელო, მირა, ფორო, კაბრალი, მაგალიაეში (კოდოში 54), ჟირაუ, ა. დუარტე (ფრაგატეირო), სევერინო, კუნია, აკოსტა (რიბეირო 41), მურე (ფიალიო 69), კორეა, აგიარი (გ. დუარტე 61) - *ს (კაბრალი)*

მსაჯი: გვიდო დე სანტისი (იტ)

ბესიკ ჯანგავაძე

ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ნაკრებში ჩემი დებიუტი წარმატებული გამოდგა. სამ დღეში რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი გაახალგაზრდავებულია, შეთამაშება აკლია და ხარვეზებიც საკმაოდ იყო, მაინც კმაყოფილი ვარ. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩემმა ქართველმა ასისტენტებმა მითხრეს, საქართველოს ნაკრებს ასე ლაღად, გაშლილად, ხელდახელ არასდროს უთამაშია. - თქვა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ავსტრალიელმა მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა**.

მთავარი, რაც პორტუგალიელებთან შეხვედრამ დაგვანახა ისაა, რომ ქართული რაგბის უახლოესი რეზერვი საკმაოდ სოლიდური და საინტერესოა, ნაკრების ძველი, სტაჟიანი მორაგბეები კი მსოფლიო თასის შემდეგ კიდევ უფრო დაბრძენებული, დაოსტატებული ჩანდნენ. ცხადია, ეს არაა ჩვენი გუნდის საბოლოო სახე. ახალი გუნდის შენება უკვე დაიწყო და გამორიცხული არაა, კიდევ ბევრი ახალი, საინტერესო მორაგბე ვიხილოთ ბორჯღალოსანთა რიგებში. როგორც ნაკრების მწვრთნელები გვპირდებიან, გუნდში ბევრი ისეთი მოთამაშე გამოჩნდება, რომლებიც ეროვნულ გუნდში აქამდე არც კი მოიაზრებოდნენ. უდავოა, ამას სიძნელეებთან ერთად ხარვეზებიც ახლდება, რაც პორტუგალიელებთან დაპირისპირებაშიც უხვად იყო, მაგრამ ფაქტია, ეს გზა აუცილებლად გასავლელია.




შაბათს მიხეილ მესხზე. საქართველოს ნაკრების მესამე ლელო

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ეროვნული ნაკრები

## პორტუგალიამდე 27 მაისს ესტონეთში

ჩვენი ნაკრები მაისში უცხოურ შეკრებას გეგმავს ორი გასვლითი ამხანაგური მატჩით. ორიდან ერთი მეტოქე ახლახანს გაირკვა, 31 მაისს პორტუგალიას ვეთამაშებით, მეორე მეტოქე კი გასულ უქმეებზე გაცხადდა - 27 მაისს **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი ესტონეთს, ტალინში დაუპირისპირდება.

ჩვენი ეროვნული ესტონეთს აქამდე ორჯერ შეხვდა, ორივეჯერ ამხანაგურ მატჩში. 1998 წლის 18 ნოემბერს **ვლადიმერ გუცაევის** ფორმაციის ნაკრებმა ესტონელები თბილისში 3:1 დაამარცხა. ერთი გოლი **დავით ჯანაშიამ** გაიტანა, **მიხეილ აშვეთიამ** კი დუბლი მიითვალა. 2000 წლის 11 ივნისს კი ტალინში ჩვენი ნაკრები მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა.




## ნაკრებს კობიაშვილი და მუჯირი გამოაკლდნენ

2



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge





დავით მუჯირი (უკანა პლანზე)

# ნაკრებს ვერც კობიაშვილი დაეხმარება

ზეგ, 6 თებერვალს ჩვენი ნაკრები წლის პირველ მატჩს გამართავს. **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი ლატვიას ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლებს.

საამმატჩოდ თავდაპირველად გამოცხადებულ შემადგენლობაში სამწუხაროდ იძულებითი ცვლილებები მოხდა - ტრავმების გამო არაერთი ფეხბურთელი დააკლდება. თავდაპირველად „მიუნხენ 1860"-ის მცველი **მათე ღვინიანიძე** და „ვენტსპილსის" ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** გამოაკლდნენ. მათ ნაცვლად ტოპმიოლერმა „სკონტოს" მცველი **ზაალ ელიავა** იხმო. თუმცა, დანაკლისი მხოლოდ ამით არ ამოწურულა. ნაკრებს ამის მერე ფრანგული „ლე მანის" მცველი **ამირან სანაია** გამოაკლდა. წუხელ კი გავიგეთ, რომ ვერც მოსკოვის „ლოკომოტივის" ახალწვეული **დავით მუჯირი** ითამაშებს და ვერც **ლევან კობიაშვილი**. *„არ ვარ ოპტიმალურ ფორმაში და ამ ეტაპზე ჯობს გერმანიაში დავრჩე და ვივარჯიშო. ამის შესახებ უკვე ვესაუბრე ტოპმიოლერს"*, - გვითხრა გუშინ ლევანმა. საბოლოო ჯამში ლატვიისთვის ეროვნულში ეს შემადგენლობა შემორჩა:

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე** (დინამო), **ნუკრი რევიშვილი** (რუბინი, რუსეთი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი).

მცველები: **კახა კალაძე** (მილანი, იტალია), **ლაშა სალუქვაძე** (რუბინი, რუსეთი), **მალხაზ ასათიანი** (ლოკომოტივი, რუსეთი), **გიორგი შაშიაშვილი** (შტუმრი, ავსტრია), **ზაალ ელიავა** (სკონტო, ლატვია), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი).

ნახევარმცველები: **დავით კვირკველია** (მეტალურგი ზ, უკრაინა), **გოგიტა გოგუა** (სპარტაკი ნ, რუსეთი), **ჯაბა კანკავა** (დნეპრი, უკრაინა), **ლევან ცქიტიშვილი** (უკლუბოდ), **ლევან ყენია** (შალკე, გერმანია), **შოთა გრიგალაშვილი** (დინამო).

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი, იტალია), **დავით სირაძე** (პადერბორნი, გერმანია), **ბექა გოცირიძე** (ზესტაფონი) , **ნიკა გელაშვილი** (ზესტაფონი).

ჩვენი ნაკრები ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" დღეს 15 საათზე შეიკრიბება, პირველ ვარჯიშს კი დღესვე, 18 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარებს. ქართველების მერე ლატვიელები ივარჯიშებენ.

**დავით თავართქილაძე**
**დავით ცაბაძე**





კობიაშვილის თამაში გადაწყვეტილი არ არის

# მუჯირი ვერ ითამაშებს, მაგრამ მაინც ჩამოვა

6 თებერვალს ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრები კიდევ ერთ ფეხბურთელს მოისაკლისებს - მოსკოვის „ლოკომოტივში" ახლახან გადასულ **დავით მუჯირს**.

მუჯირი სამარის „კრილია სოვეტოვიდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" სულ რალაც ორი კვირის გადასულია და გუნდს ესპანეთშიც ახლდა შეკრებაზე. იქიდან **მალხაზ ასათიანი** თბილისში წამოვიდა, მუჯირი კი - ვერა.

ახალ გუნდში მისული მუჯირი დიდი დატვირთვებისთვის მზად არ იყო და კუნთები ასტკივდა — ამის გამო ვერ ითამაშებს ის ლატვიასთან. მუჯირმა საქმის კურსში ადრევე ჩააყენა **კლაუს ტოპმიოლერი** — ყოველივე ტელეფონით აუხსნა.

დათო მაინც ჩამოვა თბილისში, ოღონდ 6 თებერვალს, რადგან, უბრალოდ, ნაკრებთან ერთად იყოს.

გეხსომებათ, მუჯირი „ლოკომოტრივში" რომ გადავიდა, სამარელებმა ერთი ამბავი ატეხეს, მოსკოველებს ქართველის სანაცვლოდ ჩვენთვის ფული არ მოუციათო. ამ დროისთვის კი კონფლიქტი ამოწურულია — გაირკვა, რომ „ლოკომოტივმა" მუჯირის ტრანსფერის თანხა „კრილიას" უწინდელ მფლობელს გადაუხადა, ვისაც ეკუთვნოდა უფლება მუჯირის ტრანსფერზე.

**დავით თავართქილაძე**

მეტოქე. იტალია

# დელ პიერო არა, ბორიელო...

**როზერტო დონადონიმ** გამოაქვეყნა იმ 20 ფეხბურთელის სია, რომელთაც ციურიხში (6 თებერვალი), პორტუგალიასთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს. მოლოდინის საპირისპიროდ, სიაში არ ალმოჩნდა **ალესანდრო დელ პიერო**. სამაგიეროდ, „დონმა" უხმო „ჯენოას" ფორვარდ **მარკო ბორიელოს**, რომელიც ბრწყინვალე სეზონს ატარებს. ესეც სრული შემადგენლობა:

მეკარეები: **მარკო ამელია** (ლივორნო), **მორგან დე სანკტისი** (სევილია);

მცველები: **ანდრეა ბარძალი** (პალერმო), **ფაბიო კანავარო** (რეალი), **მარკო კასეტი** (რომა), **ფაბიო გროსო** (ლიონი), **მარკო მატერაცი** (ინტერი), **მასიმო ოდო** (მილანი), **ჯანლუკა ძამბროტა** (ბარსელონა);

ნახევარმცველები: **მასიმო ამბროზინი**, **ანდრე პირლო** (ორივე მილანი), **ალბერტო აკვლიანი**, **დანიელე დე როსი**, **სიმონე პეროტა** (ყველა რომა), **ფრანკო სემიოლი** (ფიორენტინა);

თავდამსხმელები : **მარკო ბორიელო** (ჯენოა), **ფაბიო კვალიარელა**, **ანტონიო დი ნატალე** (ორივე უდინეზე), **რაფაელე პალადინო** (იუვენტუსი), **ლუკა ტონი** (ბაიერნი).



დონადონიმ ნაკრებში ბორიელო გამოიძახა

# სტარკოვსის ოცეული დღეს გვეწვევა



ალექსანდრ სტარკოვსი

ლატვიის ნაკრები დღეს, ნაშუადღევის 16 საათზე გვეწვევა. ბალტიისპირელები სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდებიან. ალექსანდრ სტარკოვსი ქართველთა წინაალმდეგ ამ ოცეულს ამზადებს:

მეკარეები: **ალექსანდრ კოლინკო** (რუბინი, რუსეთი), **ანდრის ვანინსი** (ვენტსპილსი), **დენის რომანოვსი** (დინამო. რუმინეთი).

მცველები: **ოსკარს კლავა** (მეტალურგსი), **იგორს სტეპანოვსი** (ესბერგი, დანია), **დენის ივანოვსი** (მეტალურგსი), **კასპარს გორსკი** (ბლექპული, ინგლისი), **ძინტარს ზირნასი** (მეტალურგსი), **დენის კაჩანოვსი** (ვენტსპილსი).

ნახევარმცველები: **ალექსეი ვიშნიაკოვსი** (სკონტო), **ვიტალის ასტაფივსი** (სკონტო), **იურის ლაიზანსი** (შინიკი, რუსეთი), **ანდრეი რუბინსი** (სპარტაკი მ, რუსეთი), **იურის ჟიგავესი** (რიგა), **გენადის სოლონიჩინსი** (მეტალურგსი), **ალექსანდრს კაინა** (სკონტო).

თავდამსხმელები: **მარის ვერპაკოვსკისი** („ჰაიდუკი, ხორვატია), **გარტს კარლსონსი** (უკლუბოდ), **ვიტს რიმკუსი** (ვენტსპილსი), **ანდრეის პერეპლოტკინსი** (სკონტო).

თბილისში გამომგზავრებამდე ლატვიელებმა რიგაში წაივარჯიშეს.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ საქართველო-ლატვიის ამხანაგურ მატჩს ბელარუსი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **სერგეი შმოლიკი** იქნება, თანამსაჯები **დმიტრი სემიონოვი** და **ალექსეი კოლბი**, მეოთხე მსაჯი კი ქართველი **მამუკა ურუშაძე**.

**დავით ცაბაძე**

# ლატვიასთან ეროვნულზე თუ ვაკეში?

**დიდმა** ყინვებმა და თოვლმა ეროვნულ სტადიონს კარგი ამბავი ვერ დამართა. მოედანი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი იქ გაიმართება თუ არა საქართველო-ლატვიის მატჩი. მოედნის საფარის მდგომარეობამ გუნდებს თამშის საშუალება თუ არ მისცა, მაშინ შეხვედრას სხვა არენა უმასპინძლებს.

საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს მას შემდეგ, რაც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და ნაკრების მწვრთნელები ეროვნულის მოედნის მოინახულებენ და შეხვდებიან სტადიონის ხელმძღვანელობას.

*„ხვალ დავათვალიერებთ მოედანს, სტადიონის ხელმძღვანელობასთანაც გვექნება საუბარი და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. დღეს მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მატჩი 80 პროცენტით ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. თუ მოედნის საფარი საშუალეას მოგვცემს თამაშის მასპინძელი არენა არ შეიცვლება. თუ არა და მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება"*, - გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

საქართველო-ლატვიის მატჩზე დასაწრები ბილეთების ღირებულება 3 ლარი გახლავთ.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge


გიორგი ონიანი

# იმედაშვილი პაოკიდან გამოუშვეს

## ფარცვანია კიეველთა დუბლში ვარჯიშობს

დავით იმედაშვილს სალონიკის პაოკში გადასვლა გამოირიცხა. კიევის „დინამომ" ის და ხორვატი **გორან გავრანჩიჩი** გაუშვა საბერძნეთში.

დათომ ჩასვლისთანავე საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, გოლი გაიტანა და იმედი გაუჩნდა, რომ ბერძნები კონტრაქტს გაუფორმებდნენ, ისევე როგორც გავრანჩიჩის შემთხვევაში მოხდა. ორივე მათგანი იჯარით უნდა დაეტოვებინა პაოკს, თუმცა ქართველი მცველს იმედები გაუცრუვდა.


დავით იმედაშვილი

კიევის „დინამომ" დათო იმედაშვილსაც ისევე აურია გზა-კვალი, როგორც **კახა ალადაშვილს, ალეკო ამისულაშვილს, ოთარ მარცვალაძეს**. წინსვლას ვინ ჩივის, დათოს ელემენტარულად, ფორმის შენარჩუნებაც კი უჭირს, რადგან მუდამ გაურკვევლობა, კლუბების ხშირი ცვლა და გასინჯვები მის თავდაჯერებულობაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ორი წელია 23 წლის მცველს „დინამო" ვერც ელევა და აქეთ-იქით აწონიალებს. საწყენია, რომ ნიჭიერი ბიჭი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

იმედაშვილს კვლავ კლუბის ძიება მოუწევს. დათო კიევში დაბრუნდება და „დინამოს" ხელმძღვანელობასთან გაარკვევს, გაზაფხულზე რომელი კლუბის ფორმას მოირგებს.

კიევის „დინამო 2-ში" ვარჯიშები განაახლა **თემურ ფარცვანიამ**, რომელმაც „თანამეგობრობის თასი" ტრავმის გამო გამოტოვა. ის ახლა, „დინამო 2-თან" ერთად, მოსამზადებლად კვიპროსში გაემგზავრა. თემური ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს და კიევის „დინამოს" აკადემიის გაზრდილია.

# მაჩანჩალა მეოთხედფინალისტი

**მეორე ბუნდესლიგის მაჩანჩალამ, იენის „კარლ ცაისმა" გერმანიის თასის მერვედფინალში ბილეფელდის „არმინიას" 2:1 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა.**

**გერმანიაში ხშირად მომხდარა, რომ არცთუ ძლიერ მეორე ბუნდესლიგელს სათასო მატჩში ბუნდესლიგელისთვის მოუგრეხია კისერი. „კარლ ცისმა" ეს უქართველებოდ მოახერხა - გიორგი ონიანი ტრავმირებული გახლდათ, გიორგი სეთურიძეც ჯერ არ არის ოპტიმალურ ფორმაში, ხოლო ილია კანდელაკი „არმინიასთან" სათადარიგო იყო.**

**მაინც, როგორ შესძლო „კარლ ცაისმა" ბუნდესლიგელის დამარცხება. ამაზე, გიორგი ონიანს დავეკითხეთ.**

- „კარლ ცაისისთვის" ეს მართლაც დიდი ამბავია - მეორე ბუნდესლიგაში ბოლოდან მეორე ადგილზე ვართ და გერმანიის თასის მეოთხედფინალში გავედით. „კარლ ცაისმა" ეს მატჩი კარგად ითამაშა, თუმცა ისიცაა, რომ „არმინია" არ გამოდგა ძლიერი გუნდი - ეს ფაქტორი ძალიან დაგვეხმარა. უნდა აღვნიშნო ჩვენი ახალი მეკარის, ბელარუსი ვასილი ხამუტოვსკის ჩინებული თამაშიც - როცა 0:1-ს ვაგებდით, მან 3-4 ძალიან რთული ბურთი მოიგერია, რამაც დამატებითი მუხტი გაულვივა „კარლ ცაისს".

**- ტრიბუნები ალბათ სავსე იყო...**

- კი, თუმცა ჩვენს სტადიონზე მხოლოდ 16 000 მაყურებელი ეტევა. რაც მთავარია, კარგი, დაძაბული თამაში გამოდგა. ანგარიში ძირითადი დროის ბოლოს გავათანაბრეთ. დამატებითი დროის პირველივე ტაიმში ჩვენ გაგვიძევეს ფეხბურთელი, მეორეში მეტოქეს და გამარჯვების გოლიც მერელა შევაგდეთ.

**- ტრავმის მოშუშებამდე ბევრი გიკლია?**

- არა, უკვე რამდენიმე დღეა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. კუნთი გაწყვეტილი არ არის, მაგრამ ცოტათი ისევ მაწუხებს და საფუძვლიანი გამოკვლევა უნდა ჩავიტარო.

**- გიორგი სეთურიძეს ბევრი უკლია ოპტიმალურ ფორმამდე?**

- მას შვიდი თვე გაუცდა და ბოლომდე ჯერ არ აღუდგენია კონდიციები. 4 თებერვალს განახლებულ მეორე ბუნდესლიგაში პირველი თამაში „ალემანიასთან" გვაქვს. მე ნაღდად ვერ ვითამაშებ და ალბათ, ვერც კანდელაკი.

დავით თავართქილაძე

სიონი

# მოგება ოლიმპიკთან

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას განაგრძობს ბოლნისის „სიონი". **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა მორიგი ამხანაგური მატჩი თბილისის „ოლიმპიკთან" გამართა. შეხვედრა, რომელიც რატევანში შედგა, ბოლნისელებმა 4:1 მოიგეს. კლუბის მენეჯერ **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, ანგარიშის მიუხედავად თამაში საინტერესოდ წარიმართა. მე-11 წუთზე ანგარიში **დავით სვანიძემ** გახსნა. მეორე ტაიმის სტარტზე, 48-ე წუთზე **ბესიკ ქარდავამ** პენალტით ორამდე გაზარდა ანგარიში. მატჩის ბოლოს კი სამი გოლი ვიხილეთ. ჯერ იყო და 81-ე წუთზე **მალხაზ ოქროპირიძემ** 3:0 გახადა ანგარიში. თუმცა მალევე სტუმრებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. 86-ე წუთზე კი გოლით **ლევან შავგულიძე** გამოირჩა. ისრაელიდან „სიონს" კამერუნელი ფორვარდი **ერიკ რომეო ჩასემი** დაუბრუნდა და ამ შეხვედრაშიც მიღო მონაწილეობა. ახალი ფეხბურთელებიდან, თბილისის „დინამო 2"-ის ახალგაზრდა ნახევარმცველ **ვალერი ბოლქვაძის** შემდეგ, ბოლნისელებს გარკვეულ მიზეზთა გამო **ირაკლი ჩირიკაშვილი** და **ნიკა გუგავაც** გამოეთხოვნენ.

„ოლიმპიკთან" სიონმა" შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა:

**ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, გ. ოქროპირიძე, სვანიძე, ბოიომო, შავგულიძე, სანიკიძე, ბ. ნოზაძე, ბაჯელიძე, ჩასემი, შ. ჯიქია.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **გავაშელი, ტუხაშვილი, შაიშმელაშვილი, ავალიანი, მ. ოქროპირიძე.**

ბოლნისის „სიონი" კიდევ რამდენიმე დღეს ადგილზე მოემზადება. 8 თებერვლიდან კი ყიფშიძის გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე ბათუმში გაემგზავრება. აჭარაში ბოლნისელები რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. „სიონი" თითო ამხანაგურ შეხვედრას „ბათუმთან" და ზუგდიდის „მგლებთან" გამართავს.

დავით ცაბაძე


გიორგი ყიფშიძე

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

ზესტაფონი

# ფრე ყარაღანდელებთან და გამარჯვება ბრაზილიელებთან



გოგი ფიფიამ ბრაზილიელებს გაუტანა

ბელექშიმყოფმა "ზესტაფონმა" 1 თებერვალს "არკადიის თასის" პირველი მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე ყაზახეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი, ყარაღანდის "შახტიორი" იყო. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოვიდა და ნულოვანი ფრით დასრულდა.

**რევაზ ძოძუაშვილის** გუნდში ორი ქართველი ასპარეზობს და "ზესტაფონის" წინაალმდეგ ორივემ ითამაშა – **ლაშა ნოზაძე** ძირითად შემადგენლობაში იყო, **ლევან მელქაძე** კი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა. "ზესტაფონმა" კი ამ შემადგენლობით ითამაშა:

**ჭანტურია, საჯაია, რ. ონიანი, თოდუა, ლობჟანიძე (46. შ. ღონღაძე), ხიდეშელი (46. ბენაშვილი), კესანი, ვიეირა, ნ. კვასხვაძე (56. გელაშვილი), ფიფია (46. ბ. გოცირიძე), იონანიძე (60. ბიტოო).**

ფეროოელთა რიგებიდან საგოლე შანსები **გოგი ფიფიასა** და **ნიკოლოზ გელაშვილს** ჰქონდათ, 58-ე წუთზე კი "ზესტაფონი" რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა – მოედნიდან **პოლ კესანი** გააძევეს.

გუშინ კი იმერულმა კლუბმა "არკადიის თასზე" მეორე შეხვედრა გამართა. ტურნირის ერთი მონაწილე შეიცვალა და რუმინული "ჩახლაულის" ნაცვლად, **თემურ მახარაძის** გუნდი ბრაზილიურ "პტაკის" დაუპირისპირდა. 'ზესტაფონის" წევრებმა 19-20 წლის ყმაწვილებით დაკომპლექტებულ მეტოქეს იოლად აჯობეს და 4:0 გაიმარჯვეს. მე-12 წუთზე ანგარიში **ბექა გოცირიძემ** გახსნა, 57-ე წუთზე **ჟილვან ვიეირამ** გამოიჩინა თავი, 74-ე და 83-ე წუთებზე კი ბრაზილიელებს შესაბამისად, **გოგი ფიფიამ** და **როინ ონიანმა** გაუტანეს.

პირველ ტაიმში "პტაკი" რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა, მეორე ნახევარში კი **ბექა გოცირიძეც** გააძევეს. ამაზე უარესი კი ისაა, რომ "ზესტაფონის" ახალწვეულმა **ნიკა გელაშვილმა** მძიმე ტრავმა მიიღო.

ბრაზილიურ კლუბს "ზესტაფინის" ეს ფეხბურთელები დაუპირისპირდნენ:

**რ. კვასხვაძე, საჯაია (61. თოდუა), შ. ღონღაძე, ლობჟანიძე, ვიეირა, ბენაშვილი (74. ბახტურიძე), ხიდეშელი (46. დაუშვილი), რ. ონიანი, ბიტოო (46. ფიფია), ბ. გოცირიძე, გელაშვილი (24. ნ. კვასხვაძე).**

ჯგუფის ბოლო მატჩს "ზესტაფონი" ხვალ ჩაატარებს კორეულ "ჟეჯუსთან" და გამარჯვების შემთხვევაში, "არკადიის თასის" ფინალში გავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



პავლე დათუნაიშვილმა ვიტ ჯორჯია დატოვა

ვიტ ჯორჯია

# სპარტაკი ბელექის წინ

ხვალ "ვიტ ჯორჯია" ბელექისკენ დაიძვრება, სადაც ორკვირიან შეკრებას გაივლის. გუშინ კი ვეტერინარებმა თურქეთამდე ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. **ნესტორ მუმლაძის** ბიჭები თბილისის "სპარტაკს" გაეჯიბრნენ და მეტოქეს იოლად სძლიეს. "ჯორჯიამ" ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანა, თავი **გიორგი დათუნაიშვილმა** (36-ე წუთზე), **ვასილ ლუჭაშვილმა** (42), **გიორგი ბერიაშვილმა** (80) და **ბაჩანა ცხადაძემ** (85) გამოიჩინეს.

"ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში: **ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია.**

"ვიტ ჯორჯია" მეორე ტაიმში: **მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კასრაძე, მაისაშვილი, ინჯგია, ვასაძე, კვალინიძე, ლიპარტია, ცხადაძე, ბერიაშვილი.**

ვეტერინართა რიგები უკვე დატოვა მცველმა **პავლე დათუნაიშვილმა**, რომელსაც "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი ამოეწურა და ახალი კლუბის ძიებაშია.

# სამედიცინოში ექს-დინამოელებმა კლუბი ჩამოაყალიბეს

## მალე გერმანელები ჩამოვლენ და სტადიონს ავაშენებთ



**თბილისის „დინამოდან' წამოსვლის შემდეგ, კახა ჭუმბურიძის საქმიანობაზე არაფერი გვსმენოდა. როგორც აღმოჩნდა, კახა თავის ძველ მეგობრებთან ერთად დიდი საქმეს შესჭიდებია - მან, გიორგი ნემსაძემ, დავით პეტრიაშვილმა და გიორგი დევდარიანმა, „იბერია ბიზნეს ჯგუფთან" ერთად, საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" ფეხზე დაყენება და საქართველოში საუკეთესო სკოლად გადაქცევა გადაწყვიტეს.**

**- ყველაზე ცნობილი ქართული კლუბის შემდეგ, საფეხბურთო სკოლა მცირე სარბიელი არ არის?**

- არა, რატომ? „საბურთალოს" მეპატრონე შეეცვალა, ჰოლდინგმა „იბერია ბიზნეს ჯგუფმა" აიყვანა, ჩვენთან ბევრი ცნობილი და კვალიფიციური ადამიანი შეიკრიბა და სკოლის მიზნები მთლიანად შეიცვალა. გადაწყვეტილია გუნდის ჩამოყალიბებაც, სკოლას კლუბი მიებმება.

**- კლუბი რომელ ლიგაში ითამაშებს?**

- ეს მალე გადაწყდება - მეპატრონის შესაძლებლობისა და კლუბის ამბიციის შესაბამისად. არ გვსურს მოვლენებს გავუსწროთ, გეგმებს მიზანმიმართულად განვახორციელებთ.

**- ასეთი რა მიზნები დაისახეთ?**

- კლუბის ყველანაირად გაძლიერება, უპირველესად, სტრუქტურულად. ძლიერი სკოლის და კლუბის ჩამოყალიბება სხვაგვარად წარმოუდგენელია. მეორე - სკოლამ კლუბი მუდმივად უნდა მოამარაგოს ძლიერი ფეხბურელებით. მესამე მიზანი წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში პარტნიორი სკოლის და გუნდის მოძებნაა.

**- სურვილი კარგია, რეალური ნაბიჯები თუ გადადგით?**

- 10-12 იანვარს მე და დათო პეტრიაშვილი მაგდებურგს ვესტუმრეთ. მაგდებურგის „დინამო" დღეს რეგიონალლიგაშია, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გერმანული კლუბია, 1974 წელს თასების თასი აიღო, სადაც ფინალში წინა წლის გამარჯვებული „მილანი" 2:0 დაამარცხა. ერთი სიტყვით, ისტორიული კლუბია, რომელთან თანამშრომლობაც ჩვენთვის სასიამოვნოცაა და სასურველიც.

**- თუმცა, დღეს, დიდი სახელი აღარ აქვს.**

- სამაგიეროდ, დიდი პერსპექტივა გააჩნია. ნანახით გაოცებული დავრჩით. „მაგდებურგს" გამართული ინფრასტრუქტურა აქვს, ხუთი ბალახის მოედანი, ხუთიც ხელოვნურსაფარიანი, 27-ათასიანი სტადიონი, ორი დახურული დარბაზი, საცხოვრებელი კომპლექსი და კიდევ ბევრი რამ... და გუნდი მესამე ლიგაშია (?!) ასეთი გამართული ინფრასტრუქტურა კლუბის სოლიდურობაზე მეტყველებს და რა თქმა უნდა, მათთან თანამშრომლობა ჩვენთვის საინტერესოა. უახლოეს პერიოდში, მეორე ბუნდესლიგაში გადასვლა და ძველი სახელის დაბრუნება სურს. გამომდინარე აქედან, პარტნიორობა კიდევ უფრო სასურველი გახდება.

**- ვიზიტი შედეგიანად დასრულდა?**

- დიახ, შევთანხმდით, გაზაფხულზე „მაგდებურგის" პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი თბილისში გვესტუმრებიან და საბოლოო შეთანხმებას აქ გავაფორმებთ.

**- პარტნიორობაში რა იგულისხმება?**

- გამორჩეულ ბავშვებს, მწვრთნელებსა და მედპერსონალს სტაჟირებაზე გავუშვებთ. თუკი ამ დროისთვის მეორე ბუნდესლიგაში გადასვლას მოახერხებენ, საუკეთესო ფეხბურთელს დაიტოვებენ და საქართველოს მომავალი თაობის გაზრდაში დაეხმარებიან. ერთი სიტყვით, ჩვენთვის „მაგდებურგი" ევროპული ტრამპლინი უნდა გახდეს.

**- „მაგდებურგი" კი არის ისტორიული კლუბი, მაგრამ პროფესიონალურ გუნდთან ჯერ მხოლოდ საფეხბურთო სკოლით ითანამშრომლებთ?**

- 1992-93-წლიანების ბაზაზე, მალე პროფესიონალური კლუბი ჩამოყალიბდება. ფეხბურთელებთან კონტრაქტები გავაფორმეთ, ხელფასები დავუნიშნეთ და საქმე ადგილიდან დაიძრა. ეს გუნდი ამჟამად ჭაბუკთა ლიგაში „მერანის" სახელით გამოდის.

სკოლა უნდა იყოს ნიჭიერი ბავშვების გამზრდელი და მომწოდებელი. შემდეგ ვითარებას შევხედავთ, ღირს თუ არა უფრო დიდ სარბიელზე გამოჩენა.

სკოლას წარმატებით ხელმძღვანელობდა კახა ამირიძე, რომელიც ახლა დირექტორად დაინიშნა, მთავარ მწვრთნელად კი, ერთი წელია, გიორგი დევდარიანი მუშაობს. დათო პეტრიაშვილი უცხოეთთან ურთიერთობას მიხედავს. სკოლის მეპატრონე „იბერია ბიზნეს ჯგუფი" სოლიდური ორგანიზაციაა და ერთობლივ ძალებით, ვფიქრობთ, ძლიერ სკოლას და კლუბს ჩამოვაყალიბებთ.

**- კი მაგრამ, ამ დიდ გეგმებს „საბურთალოს"'სკოლის ხუთი მინი-მოედნით შეეჭიდეთ? რომელი სოლიდური კლუბის ჩამოყალიბებაზეა საუბარი?**

- მრავალწლიანი იჯარით სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონი გადმოგვეცა, ,სადაც, სექტემბრისთვის, ახალი თაობის ხელოვნური საფარის დაგებას და ტრიბუნების მოწყობას ვაპირებთ. ვფიქრობ, ეს იქნება თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო და ლამაზი კოხტა სტადიონი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბუნდესლიგას მოგებებით ვიწყებთ

დღეიდან ვანახლებთ ჩვენს ტრადიციულ ლეგიონის მიმოხილვას, ამის მიზეზი კი გერმანიასა და შვეიცარიაში განახლებული სეზონია. ამ უქმეებზე ქართული ლეგიონიდან გოლი ვეტერანმა ლევან ქებაძემ გაიტანა, რომელიც კარიერას კვიპროსულ „ეთნიკოსში" ასრულებს.

## კობიაშვილი და იაშვილი მოგებით იწყებენ

**ლევან კობიაშვილის** „შალკემ" სეზონი დიდებულად განაახლა, შინ ჩემპიონი „შტუტგარტი" გაანადგურა - 4:1. ლევანმა 90 წუთი ითამაშა, არადა თავიდან **ლოვენკრანდსს** უნდა ეთამაშა, თუმცა ბოლო მომენტში მან თამაში ტრავმის გამო ვერ შეძლო. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" შინ 2:0 დაამარცხა „ნიურნბერგი", ქართველმა ფორვარდმა 88-ე წუთამდე ითამაშა და კარგადაც. „შალკე" 32 ქულით მეხუთეა, „კარლსრუე" 31 ქულით - მეექვსე. „შპორტალმა" ლევან კობიაშვილს 3,5 დაუწერა, ხოლო ალექსანდრე იაშვილს - 3.

მეორე ბუნდესლიგის ყველაზე ქართული გუნდი, „კარლ ცაისი" სეზონს დღეს განაახლებს „ალემანიასთან" საშიანო მატჩით. **გიორგი ონიანი** ტრავმირებულია, ნაკლებსავარაუდოა **გიორგი სეთურიძის** თამაშიც, **ილია კანდელაკი** კი ალბათ სათადარიგოთა სკამზე იქნება. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა" ჩემპიონატის მეორე ნაწილი ისე დაიწყო, ალბათ ბუნდესლიგაში ალზევებაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. „ლომებმა" შინ 0:3 წააგეს „აუგსბურგთან". ტრავმირებულ ღვინიანიძეს არ უთამაშია. ბოლადგილოსანი „პადერბორნი" სტუმრად 1:2 დამარცხდა „ოფენბახთან". **დავით სირაძეს** არ უთამაშია. არ უთამაშია არც „ფრაიბურგელ" **ოთარ ხიზანეიშვილს**, ის „ოსნაბრიუკთან" 1:1 დასრულებულ მატჩში სათადარიგო იყო.

## დუელი თავხოტორა ჯონსონთან

იტალიურ სერია A-ში წუხელ „მილანი" „ფიორენტინას" ესტუმრა. **კახა კალაძე**, ტრადიციულად, სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან თავიდან ბოლომდე ითამაშა, „მილანმა" კი **პატოს** გოლით 1:0 მოიგო.

ინგლისში დაცვის ცენტრში პარტნიორის, **კრისტოფერ სამბას** დისკვალიფიკაციის წყალობით „ევერტონთან" ძირითადში **ზურაბ ხიზანიშვილმა** ითამაშა და ძირითადად სტუმართა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელ **ენდი ჯონსონსთან** გამკლავება მას მოუწია. ზურას განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაუჭირდა, როცა ორიოდ ეპიზოდში მსაჯმა აშკარად დაინდო და ყვითელი ბარათი არ აჩვენა. ტაიმის მიწურულს ენდი ჯონსონი ხიზანიშვილთან მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ ამაოდ ითხოვდა პენალტის დანიშვნას. ხიზანიშვლმა 90 წუთი ითამაშა, მეორე ტაიმში ის მაინც გააფრთხილეს. „სეტანტა სპორტსის" შეფასებით მან 6,5 ქულა დაიმსახურა ათბალიანი სისტემით, „ბლექბერნი" კი მეტოქეს 0:0 დაუზავდა.



ზურაბ ხიზანიშვილი

ესპანეთში ამაოდ ველით **შოთა არველაძის** დებიუტს, „ლევანტემ" შინ 1:1 ითამაშა „რასინგთან", თუმცა ტრავმირებული ვეტერანი ფორვარდი კვლავ ვერ ვიხილეთ განაცხადში.

## სანდრომ ვერ ითამაშა

გერმანიის პარალელურად განახლდა შვეიცარიის ჩემპიონატი, „თუნს" ვერც ზამთრის შესვენებამ არგო, კლუბი სტუმრად „ციურიხთან" 0:1 დამარცხდა, ქართველი ფორვარდი **სანდრო იაშვილი** განაცხადშიც კი არ ყოფილა. წინა დღეებში იაშვილი ავადმყოფობდა, ასე რომ ის თამაშისთვის ჯერ მზად არ იყო. „თუნი" 17 ქულით სუპერლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა.

## წლეულს მეოთხე გოლი

კვიპროსში მორიგ ტურში გოლი გაიტანა **ლევან ქებაძემ**. „ეთნიკოსმა" შინ „დოხა" დაამარცხა - 3:1, ბოლო გოლი ქებაძის ანგარიშზეა. ქებაძემ 90 წუთი ითამაშა და მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გაიტანა. ქებაძემ წლეულს უკვე მეოთხე გოლი გაიტანა (სეზონში - მეშვიდე). მატჩი **ლევან მაღრაძის** „აპოლონსა" და აპოელ-ს შორის ვერ დასულდა. 2:1-ზე მასპინძლებს ორი კაცი გაუგდეს და პენალტი დაუნიშნეს, რომელიც სტუმრებამ გაიტანეს. ამას საყოველთაო არეულობა მოყვა. ლევანს არ უთამაშია. სტუმრად „ალკის" დაუზავდა **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი", **კლიმენტი წიტაიშვილმა** სრულად ითამაშა და აქტიურიც იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XVIII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-შტუტგარტი | 4:1 | 90 წუთი | 4თ. 1გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ნიურნბერგი | 2:0 | 90 წუთი | 12თ. 0გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XVII ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-ალემანია | - | დღეს | 9თ. 0გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-ალემანია | - | | 9თ. 0გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-ალემანია | - | | 0თ. 0გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-ოსნაბრიუკი | 1:1 | სათადარიგო | 1თ. 0გ. |
| დავით სირაძე | ოფენბახი-პადერბორნი | 2:1 | არ უთამაშია | 9თ. 0გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-აუგსბურგი | 0:3 | ტრავმა | 13თ. 0გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXV ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ევერტონი | 0:0 | 90 წუთი. გააფრთხილეს | 5თ. 0გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-რასინგი | 1:1 | ტრავმა | 0თ. 0გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXI ტური | | | | |
| კახა კალაძე | ფიორენტინა-მილანი | 0:1 | 90 წუთი | 13თ. 0გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XIX ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | ციურიხი-თუნი | 1:0 | არ უთამაშია | 15თ. 1გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. XIX ტური | | | | |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი-დოხა | 3:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 7 გოლი |
| ლევან მაღრაძე | აპოლონი-აპოელ | 2:2 | მატჩი შეწყდა: არ უთამაშია | 0 გოლი |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ალკი-ანორთოსისი | 0:0 | 90 წუთი | 1 გოლი |

## ხუთი ქართველი ანჟიში

უზბეკურ "ნაფასთან" მახაჭყალური კლუბის ერთბაშად ხუთმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. "ანჟის" შემადგენლობაში **ვალერი აბრამიძემ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** შეუცვლელად ითამაშეს, **მიხეილ აშვეთია** და **გოჩა ხოჯავა** მეორე ტაიმში შეცვალეს, **რევაზ ბარაბაძე** კი შეცვლაზე შევიდა. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

## ჯაკობიამ სტანდარდს სძლია

**კახა ცხადაძის** "სტანდარდი" თურქეთში ამხანაგურად უკრაინულ "ვორსკლას" შეხვდა. მატჩის პირველივე ტაიმში ბაქოელებს ორი კაცი გაუძევეს, 90-ე წუთზე კი თავი "ვორსკლას" ახალწვეულმა **ლაშა ჯაკობიამ** გამოიჩინა. მან "სტანდარდის" კარი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით დალაშქრა.

## მხოლოდ სალუქვაძე

**ნუკრი რევიშვილს**, რომელიც კლუბის შეცვლას არ აპირებს, არც "რუბინის" ბოლო საკონტროლო მატჩში მიუღია მონაწილეობა. ნორვეგიულ "ჰამ კამთან" შეხვედრაში, რომელიც ნულოვანი ფრით დასრულდა, ყაზანელთა კარი გუნდის ახალწვეულმა **რიჟიკოვმა** დაიცვა. **ლაშა სალუქვაძემ** მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

## ქართული დერბი თურქეთში

თურქეთში ერთმანეთს ამხანაგურად უკრაინული "ხარკოვი" და მოლდოვური "დაჩია" დაუპირისპირდნენ. მატჩი "ხარკოვის" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. უკრაინელთა ძირითად შემადგენლობაში **კახა ალადაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, მოლდოველთა რიგებში კი ასევე პირველივე წუთებიდან გამოჩდნენ **ჯაბა დვალი** და **ლევან კორღალიძე**. შეგახსენებთ, ეს უკანასკნელი "დაჩიაში" ისინჯება და კიშინიოვურ კლუბში ჩარიცხვის არცთუ ურიგო შანსი აქვს.

## ქართველებს გრანდები ერგოთ

რამდენიმე დღის წინათ ერთმანეთს ამხანაგურად "ბაიერნი" და "მიუნხენ 1860" შეხვდნენ. **მათე ღვინიანიძეს** ტრავმის გამო ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ქართველი მცველი მოედანს, ალბათ, უახლოეს დღეებში დაუბრუნდება და "რეკორდმაისტერის" წინააღმდეგ ოფიციალურ შეხვედრაში ითამაშებს. საქმე ისაა, რომ "ბაიერნი" და "მიუნხენი" ერთმანეთს გერმანიის თასის მეოთხედფინალში გადაეყარნენ. მატჩი 26 თებერვალს გაიმართება და ნომინალური მასპინძელი **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი იქნება.

ნილისყრაში არც **გიორგი ონიანის, ილია კანდელაკისა** და **გიორგი სეთურიძის** "კარლ ცაისს" გაუმართლა. 26 თებერვალსვე იენელები "შტუტგარტს" ესტუმრებიან. შეგახსენებთ, გერმანიის თასის შემდგომ ეტაპზე გასული გუნდი ერთი თამაშით ირკვევა. "შალკე" ამ ტურნირს მერვედფინალში გამოეთიშა, "კარლსრუე" და "პადერბორნი" კი უფრო ადრე.

## მწვრთნელმა თარხნიშვილის დამსახურება აღიარა

ტირასპოლის „შერიფის" მთავარმა მწვრთნელმა **ლეონიდ კუჩუკმა** ბელორუსულ გაზეთ „პრესბოლთან" ინტერვიუში გუნდის ქართველ კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილზე** ისაუბრა.

*„ერთ-ერთ ინტერვიუში ვაჟა თარხნიშვილმა თქვა, თითქოს, გუნდს მოტივაცია არ ჰყოფნის და ამის გამო, მწვრთნელებს ხელოვნურად უხდებათ ფეხბურთელთათვის მოტივაციის გაზრდა. სხვანაირად ვერც გამოვა. მაგალითად, პირველ წრეში მიზნად დავისახეთ, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაგვეგო. ბიჭებმა დავალება შეასრულეს, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეები უდიდეს პრობლემებს გვიქმნიდნენ. „შერიფთან" ხომ ყველა ორმაგად მოტივირებულია. ვაჟა გუნდისადმი უზომოდ ერთგულია. ის მშვენიერი ფეხბურთელი და ადამიანია, რომელიც შეულახავი ავტორიტეტის პატრონია. სხვათაშორის, დნესტრისპირეთში თარხნიშვილის სახელობის მონეტა პრიდნესტროვიეს ბანკმა ხმარებაში 2003 წელს გამოუშვა, „თანამეგობრობის თასის" მოპოვების აღსანიშნავად და ნუმიზმატებისთვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს."*

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ნაჩუქარი პენალტი ამჯერზეც აუღელვებლად შეასრულა

იტალია. სერია A. XXI ტური

# ინტერი: მადლობა სეზარს, არბიტრს და სიენას

## ახალი პოლემიკა პენალტის გამო. ეჰ, რომა, რომა...

"პალერმომ" წელს პირველი გამარჯვება მოიპოვა. შესაძლოა, ეს იყოს იმ კრიზისიდან გამოსვლის წინაპირობა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოდან იღებს. ჩემპიონატის განახლების შემდეგ კი **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდმა ზედიზედ სამი მარცხი და თასიდან გავარდნა იწვნია. "ლივორნოს" საქმე კი პირიქით იყო. **ჯანკარლო კამოლეზემ** გუნდი ფერზე მოიყვანა და ვიდრე წინა კვირას "იუვენტუსთან" დაუცდებოდა ფეხი, 9 ტურის განმავლობაში არ დამარცხებულა. არადა, ტოსკანელებისთვის ეს თამაშიც წარმატებული შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ არა პირველი ტაიმის მიწურულს **ტავანოს** მიერ გაფუჭებული პენალტი: **ფონტანა** ბურთს თითებით მიწვდა და კუთხურზე მოიგერია. საერთოდაც, არ გამოვრიცხავთ, რომ 41 წლის კიპერისთვის ეს კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩიც იყო. 11-მეტრიანის ეპიზოდის გარდა, მან კიდევ რამდენჯერმე იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან.

თავის მხრივ, **ამელიასაც** უამრავი საქმე ჰქონდა. მასპინძელთა შორის გამორჩეული ფიგურა იყო მცველი **ძაკარდო**, რომელსაც სამჯერ (!) მიეცა საგოლე შანსი, ამას გარდა, სწორედ ის იყო დამნაშავე (სახეზე ხელი აიფარა და უნებლიედ ბურთს მიმართულება შეუცვალა) იმ პენალტშიც, რომელზეც ზემოთ მოგიყევით. მასპინძელთა თავგამოდებამ კი ნაყოფი 76-ე წუთზე მოიტანა, როცა კუთხურიდან უშნოდ მოგერიებულ ბურთს **მიკოლი** საჯარიმოს ხაზთან დახვდა და მიზანში დასცხო. ბოლო წუთებზე სიცილიელებს ანგარიშის გაორმაგებაც შეეძლოთ, მაგრამ ამელია **ამაურის** "მკვდარ" თავურს გაუმკლავდა. საინტერესოა, რომ 1934 წლის შემდეგ, სერია A-ს ეგიდით ამ გუნდებს ფრედ არ უთამაშიათ...

"ნაპოლი" ამ ჩემპიონატის პირველი სენსაციური ანგარიშის ავტორია: მეორე ტურში მან "უდინეზე" სტუმრად 5:0 დაამცირა. ფრიულელებს არც ამჯერად გაუმართლათ, არადა, "სან პაოლოზე" 1996 წლის მერე არ წაეგოთ. "უდინეზე" თავიდანვე დაითარსა, როცა მე-3 წუთზე მცველმა **საპატამ**, მოგერიების ნაცვლად, **ლავეცის** გასწვრივ პასს საკუთარი კარისკენ შეუცვალა მიმართულება. წარმოიდგინეთ, იმავე ლავეცის, ამ გოლამდე, ორჯერ (!) შეეძლო **ჰანდაროვიჩის** გამწარება. და რაც ვერ მოახერხა თამაშის დებიუტში, არგენტინელმა ფორვარდმა მატჩის დასკვნით ნაწილში აინაზღაურა: ჯერ იყო და შორი მანძილიდან შეაგდო ეფექტურად, ორიოდ წუთში კი ერთხელაც ისარგებლა საპატას შეცდომით, ოღონდ, ამჯერზე გოლი პირად ანგარიშზე ჩაიწერა.

კვირის მთავარი ამბავი სიენური შოკი იყო. "არენა მონტეპასკიზე" **ლუჩანო სპალეტის** "რომამ" 3:0 იგემა. არ ვიცით, რატომ, მაგრამ "ჯალოროსი" აბსოლუტურად დემორალიზებული იყო. მიზეზები მწვრთნელმა უნდა გაარკვიოს. ალბათ, თვითგადარჩენის ინსტინქტმა იმუშავა და "სიენას" ბოლო პერიოდის საუკეთესო მატჩი გამოუვიდა. მაგრამ განა ნაკლები მოტივაციაა სკუდეტო? "რომამ" საკუთარი ხელით გაითხარა სამარე და ის 5 ქულა, რაც ამ მატჩამდე "ინტერთან" აშორებდა, უკვე რვამდე გაზარდა. **მასიმო მორატიმ** ტყუილად არ თქვა ნამატჩევს - 5 მაისს ჩემპიონობას ვიზეიმებთო. მაგრამ იქამდე ჯერ მაინც გრძელი გზაა...

ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა. **ჰუსეინ ხარჯამ**, რომელმაც თავის დროზე "რომაში" ვერ გაამართლა, მარჯვენა ფლანგი აიკლო და **ვერგასოლას** დასარტყმელად დაუგორა. **დონი** უძლური იყო - 1:0. "სიენა" თამაშის იშტაზე მოვიდა, **ტოტი** და კომპანია კი პირიქით, თავიდან ბოლომდე მოიშალა. დემორალიზაციის ბრწყინვალე ნიმუში იყო გოლი, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. ბურთის მოგერიებისას ჯერ **მექსეს** აუცდა ფეხი, მერე **ტონეტოც** შეცდა და ესეც ავტოგოლი - 2:0.

მეორე ტაიმში სპალეტიმ მთელი ძალები შეტევაში გადაისროლა. **ტადეისა** და **პეროტას** ნაცვლად **ჟიული** და **ვუჩინიჩი** გამოვიდნენ, დავუმატოთ ამას ტოტი და **მანსინი**, რაც ფაქტობრივად ოთხ თავდამსხმელს ნიშნავდა, მაგრამ ხეირის ნაცვლად ცვლილებებმა რგოლებს შორის დისბალანსი გამოიწვია. შუა ხაზში "სიენა" გაბატონდა და აქედან შეუდგა მწვავე კონტრდარტყმების განხორციელებას. სწორედ ამგვარ სიტუაციაში, ტოსკანელთა ახალწვეულმა **რიგანომ** კარგად გაუჭრა ბურთი **ფრიკს** და ლიხტენშტაინელმა ფორვარდმა ბურთი დონისგან შორეულ კუთხეში გაახვია - 3:0.

"ინტერმა" მინიმალური სხვაობით სძლია "ემპოლის", მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტუმრები სულ ცოტა ფრეს იმსახურებდნენ. მატჩის მთავარ მოქმედ პირად არბიტრი **ჯუზეპე ტალიავენტო** იქცა. ძალაუნებურად, გაგვახსენდა "ინტერი"-"პარმას" მატჩი, რომლის ბოლო წუთზე, ვითომდაც ხელით თამაშისთვის, უსამართლო 11-მეტრიანი დაინიშნა და "ნერაძურიმ" დრამატული გამარჯვება (3:2) მოიპოვა. ის 3 ქულა გუნდს ყელში ამოუყვანეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, პირიქით, ანალოგიური საჩუქარი ჩემპიონმა "ემპოლისთან" მატჩშიც მიიღო. 34-ე წუთზე, სტუმართა მცველი **ვანუკი სტანკოვიჩის** დარტყმულს გადაეფარა და როგორც ვიდეოგამეორებამ აჩვენა, ბურთი სახეში მოხვდა, ტალიავენტომ კი, რატომღაც, ხელით თამაში დაინახა და პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. **იბრაჰიმოვიჩს** არც ამჯერად აუკანკალდა ფეხი - 1:0.

უნდა ითქვას, რომ უსამართლობამ **ალბერტო მალეზანის** შეგირდები ვერ გატეხა. "ინტერის" მეკარე **ჟულიო სეზარმა** რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. კულმინაცია კი 83-ე წუთზე დადგა. ამჯერად, უკვე სამართლიანად, ტალიავენტომ პენალტი "ემპოლის" სასარგებლოდ დანიშნა, **მატერაცის** მიერ **საუდატის** წაქცევის გამო. დარტყმა თავად დაზარალებულმა შეასრულა, მაგრამ "ნერაძური" კვლავ მეკარემ იხსნა. საინტერესო დეტალი: ბოლო ოთხ მატჩში მესამედ მოხდა, რომ "ინტერი" პირველივე ტაიმში 10 კაცით დარჩა. **ვიეირამ**, რომელიც ტრავმის შემდეგ პირველად თამაშობდა ძირითადში, 39-ე წუთისთვის ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და ახლა ერთკვირიანი დასვენება გამოიწერა. მოკლედ, "ინტერი" ახლა 8 ქულით უსწრებს "რომას", რისთვისაც მადლობა "სიენას", არბიტრსა და მეკარე ჟულიო სეზარს უნდა უთხრას.

"მილანის" არ იყოს, ახლა "იუვენტუსი" ვეღარ იგებს საკუთარ კედლებში. **კლაუდიო რანიერის** გუნდმა ტურინის "ოლიმპიკოზე" ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა, თანაც აუტსაიდერ "კალიარისთან". "სინიორამ" "რომასთან" ორ ქულაზე მიახლოების ჩინებული შანსი გაანიავა. შანსი, ეს ზოგადად, თორემ კონკრეტულ ეპიზოდს რაც შეეხება, როგორ დავივიწყოთ მატჩის ბოლო წუთი, როცა კალიარელმა **კანინიმ** 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი გააფუჭა?

ლამის ორთვიანი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, "ლაციომაც" გაიმარჯვა. ამას გარდა, გასულ კვირას რომაელები თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ. ეტყობა, **დელიო როსის** ქუჩაზეც მოდის გაზაფხული. საეჭვო პენალტის გამო ჩიოდა "რეჯინის" მწვრთნელი **რენცო ულივიერიც**. ის გადაჭრით ამტკიცებდა, რომ **ჩირილოს ლაზეტიჩის** წინააღმდეგ წესები არ დაურღვევია. მაგრამ კალაბრიელთა კარში სხვა 11-მეტრიანიც დაინიშნა და ესეც **როზინამ** აქცია გოლად. საბოლოოდ, 3:1 და "ტორინოს" გასვლითი გამარჯვება. ისე, თავისი გუნდის ბოლო 3 ქულა, შეიძლება, **ვალტერ ნოველინოსაც** არ ახსოვდეს. სამაგიეროდ, ჩვენ გვახსოვს: "ტოროს" 27 ოქტომბრის მერე აღარ მოეგო...

ბოლო 34 წლის განმავლობაში "ატალანტამ" "ენიო ტარდინიზე" პირველი გამარჯვება მოიპოვა. საგულისხმოა, რომ **ლუკარელიმ**, რომელსაც ძირითადში დებიუტი ჰქონდა, ეს ფაქტი გაფუჭებული პენალტით აღნიშნა. სამაგიეროდ, არაფერი შეშლია **ბორიელოს**, რომლის 11-მეტრიანმა "ჯენოას" "კატანიასთან" მოაგებინა.

ტურის ბოლო მატჩში "მილანმა" გასვლაზე "ფიორენტინას" მოუგო და ჩემპიონთა ლიგის ზონას კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. ძნელი სათქმელია, გაიმარჯვებდა თუ არა "როსონერი", რომ არა **პატო**. ვუნდერკინდმა, რომელიც **კარლო ანჩელოტიმ** მეორე ტაიმის შუიდან ათამაშა, 77-ე წუთზე **კაკასგან** მიიღო გადაცემა და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა. მაგრამ სიხარულს მალე ტკივილიც მოჰყვა: თამაშის მიწურულს პატომ ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა (ბოლო ინფორმაციით, ბრაზილიელი ერთი თვით გამოვიდა მწყობრიდან). რაკი სამი ცვლილება გაკეთებული ჰქონდა, "მილანს" 10 კაცით მოუწია თამაშის ჩამთავრება, თუმცა "ფიორენტინამ" ამით ვერ ისარგებლა, უბრალოდ, დრო აღარ დარჩა.

რაც შეეხება **კახა კალაძეს**, მან ერთ ეპიზოდში დაუშვა შეცდომა, როცა **მონტოლივოს** ჩაწოდებული ბურთი ვერ დაიმორჩილა და რომ არა **მალდინი**, "მილანის" საქმე ცუდად იქნებოდა. მანამდე კი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი შეტევაში ჩაერთო და **პირლოს** კუთხურს თავურიც დასცხო. მომენტი ძელთან მდგომმა **იორგენსენმა** განმუხტა.

### მომდევნო ტური

9 თებერვალი. **ატალანტა-ფიორენტინა, რომა-რეჯინა.** 10 თებერვალი. **კალიარი-პარმა, ემპოლი-ლაციო, ლივორნო-ჯენოა, მილანი-სიენა, სამპდორია-ნაპოლი, ტორინო-პალერმო, უდინეზე-იუვენტუსი, კატანია-ინტერი.**

### პალერმო-ლივორნო 1:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-7, ბიავა-6, ბალცარეტი-6.5, ძაკარდო-6.5, ბარძალი-5.5, მილიაჩო-5.5, გუანა-6, კაზერტა-6, კავანი-5 (63. ბრეშანო-შ.გ), ამაური-6, მიკოლი-7 (90. კასანი-შ.გ).

**ლივორნო:** ამელია-6, კნეჟევიჩი-5, გალანტე-5.5, პასკუალე-5.5, ბალერი-5.5 (80. ალვარესი-შ.გ), პავანი-6, ვიდიგალი-6, პულცეტი-6.5, ლოვიზო-6.5 (64. ე. ფილიპინი-შ.გ), ტავანო-5.5, ბოგდანი-5 (78. როსინი-შ.გ).

**გოლი:** 1:0 მიკოლი (76)

*45-ე წუთზე ტავანომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაფრთხილება: 1-3; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 28-11 (14-7); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 23 033

### ნაპოლი-უდინეზე 3:1

**ნაპოლი:** ჯანელო-6, კანავარო-6, კონტინი-6.5, დარიში-5 (51. სანტაკროჩე-6), გრავა-6, გარგანო-6.5, მანინი-5, ბლაზი-7, ჰამსიკი-6.5 (75. პაციენცა-6), ლავეცი-7.5 (86. ბოლიაჩინო-შ.გ), სალაიეტა-6.5.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-5, ფელიპე-5.5 (78. ფლორო ფლორესი-შ.გ), ლუკოვიჩი-5, ფერონეტი-6 (70. კოლომბო-5.5), დოსენა-6, საპატა-6, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-5.5 (88. ერიომენკო-შ.გ), პეპე-6, კვალიარელა-5.5, დი ნატალე-5.5.

**გოლები:** 1:0 საპატა (3-საკ. კარში), 1:1 პეპე (8), 2:1 ლავეცი (73), 3:1 ლავეცი (75)

**გაძევება:** კანავარო (36. ნაპოლი), პეპე (60. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 2-11; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 16-10 (8-8); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 45 000

### ინტერი-ემპოლი 1:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7.5, კივუ-6.5, მატერაცი-6, ბურდისო-6, ვიეირა-4, კამბიასო-6.5, ხიმენესი-6 (46. მაქსველი-6), ხ. ძანეტი-6.5, სტანკოვიჩი-6.5 (49. რივასი-6.5), იბრაჰიმოვიჩი-6.5, კრუსი-6 (56. სუასო-6).

**ემპოლი:** ბასი-6.5, პიკოლო-6.5, რაჯი-6, მარძორატი-6.5 (59. აბატე-6), ვანუკი-6 (83. ჯაკომაცი-შ.გ), ბუდელი-6, მორო-6 (55. საუდატი-5.5), ანტონინი-6, ბუშე-6.5, მარიანინი-6, პოცი-6.5.

**გოლი:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (34-პენ)

*83-ე წუთზე საუდატიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაძევება: ვიეირა (39. ინტერი)

გაფრთხილება: 3-5; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 15-16 (6-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 40 000

### სიენა-რომა 3:0

**სიენა:** მანინგერი-6.5, როსეტინი-6, ხარჯა-7 (63. მ. კოპოლა-6), დე ჩელიე-6.5, ლორია-6.5, პორტანოვა-6.5, იაროლიმი-7, კოდრეა-6.5, ვერგასოლა-7, მაკარონე-6.5 (80. რიგანო-6), ფრიკი-7 (90. ალბერტო-შ.გ).

**რომა:** ა. დონი-5.5, ფერარი-5, კასეტი-5, მექსე-5, ტონეტო-5, პეროტა-5.5 (63. ჟიული-6), დე როსი-5.5 (79. აკვილანი-შ.გ), პისარო-5, ტადეი-5 (51. ვუჩინიჩი-შ.გ), მანსინი-5, ტოტი-5.

**გოლები:** 1:0 ვერგასოლა (12), 2:0 ტონეტო (42-საკ. კარში), 3:0 ფრიკი (83)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 22-21 (13-11); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 14 500

### იუვენტუსი-კალიარი 1:1

**იუვენტუსი:** ბელარდი-6, გრიგერა-5.5, ლეგროტალიე-6, მოლინარო-6, ნოჩერინო-6, ტიაგო-6 (67. სისოკო-6), სალიჰამიჯიჩი-5.5, ნედვედი-6.5, პალადინო-5.5 (46. კამორანეზი-5.5), დელ პიერო-6, ტრეზეგე-6.

**კალიარი:** სტორარი-6.5, ლოპესი-შ.გ (16. კანინი-6), აგოსტინი-6, ფერი-6, ბიანკო-7, ფოჯა-6.5 (46. კოსუ-6), კონტი-6.5, ფინი-6, პაროლა-6, ლარივეი-5 (71. აკვაფრესკა-შ.გ), ჟედა-6.5.

**გოლები:** 0:1 ბიანკო (54), 1:1 ნედვედი (55)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 12-21; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 17-11 (9-7); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 13 000

### ლაციო-სამპდორია 2:1

**ლაციო:** ბალოტა-6.5, სივილია-5.5, რადუ-6, კრიბარი-6, ლედესმა-6, მაური-6.5 (85. როზენალი-შ.გ), ბეჰრამი-5.5, დაბო-6 (51. კ. მანფრედინი-6), მუდინგაი-6, როკი-6.5 (90. ტარე-შ.გ), პანდევი-6.

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, აკარდი-6.5, კამპანიარო-6, გასტალდელო-6, მაჯო-6, პალომბო-5.5, დ. ფრანჩესკინი-5.5 (80. ბონაცოლი-შ.გ), ვოლპი-შ.გ (17. დელვეკიო-5.5), პიერი-5.5 (86. ციგლერი-შ.გ), ბელუჩი-6, კასანო-6.5.

**გოლები:** 1:0 მაური (36), 1:1 კასანო (45), 2:1 როკი (76)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 27-19; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 10-8 (8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 20 000

### პარმა-ატალანტა 2:3

**პარმა:** ბუჩი-6, ფალკონე-5, მ. როსი-5.5, დ. ძენონი-5.5, კასტელინი-6, პიზანუ-5.5, მარიგა-5.5, ჩიგარინი-6, კორადი-5 (65. ბუდანი-5.5), კ. ლუკარელი-6, რეჟინალდო-6 (70. გასბარონი-7).

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-7, კაროციერი-6.5 (58. კაპელი-6), პელეგრინო-6.5, ბელინი-6.5, რივალტა-6, კ. დონი-5.5, გუარენტე-6.5, დე აშენტისი-6, პინტუ-6, ლანჯელა-5.5 (46. ს. ინძაგი-6), ფლოკარი-6.5 (83. პადოინი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 პელეგრინო (19), 1:1 კ. ლუკარელი (39), 1:2 ბელინი (55), 1:3 ფლოკარი (72), 2:3 გასბარონი (90-პენ)

*34-ე წუთზე კ. ლუკარელიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაფრთხილება: 3-5; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 24-21; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 15-12 (11-9); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 12 000

### ჯენოა-კატანია 2:1

**ჯენოა:** სკარპი-5.5, ბოვო-5, სანტოსი-5.5, კრიშიტო-6, იურიჩი-6.5, პარო-6, მ. როსი-6.5 (79. ა. ლუკარელი-შ.გ), კონკო-6.5, დანილო-6.5, ბორიელო-7 (84. სკული-შ.გ), ლეჩო-6 (74. დი ვაიო-6).

**კატანია:** პოლიტო-7, ტერლიცი-5.5, სარდო-6, სილვესტრი-6, სტოვინი-6, კოლუჩი-5, ბაიოკო-5.5, ბიაჯანტი-5 (55. იცკო-5.5), ჯაკ. ტედესკო-5.5 (53. მორიმოტო-6.5), სპინეზი-5 (80. პია-შ.გ), მასკარა-5.5.

**გოლები:** 1:0 დანილო (13), 1:1 ბოვო (58-საკ. კარში), 2:1 ბორიელო (70-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 24-21; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14-8 (9-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 23 000

### რეჯინა-ტორინო 1:3

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ვალდესი-5, ჩირილო-6, მოდესტო-5, ლანძარო-6, მისიროლი-6, კოცა-6, ტონიოცი-5 (53. ჰალფრედსონი-6.5), ვიჯანი-6 (52. ამორუზო-7), ბრიენცა-6, ჩერავოლო-5 (64. სტუანი-5.5).

**ტორინო:** სერენი-6, დი ლორეტო-6, მ. პიზანო-6, მოტა-6 (56. კომოტო-7), ნატალი-6, დიანა-6.5, კორინი-6 (78. ბოტონე-6), გრელა-6, როზინა-7, ლაზეტიჩი-7, სტელონე-7.5 (73. დი მიკელე-შ.გ).

**გოლები:** 0:1 როზინა (24-პენ), 0:2 სტელონე (35), 1:2 ამორუზო (58), 1:3 როზინა (65-პენ)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 12-12 (6-10); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 15 000

### ფიორენტინა-მილანი 0:1

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, უიფალუში-5.5, კროლდრუპი-6, გამბერინი-6, პასკუალი-5.5, კუზმანოვიჩი-5.5, მონტოლივო-5.5 (78. ვიერი-შ.გ), იორგენსენი-5.5 (81. გობი-შ.გ), სანტანა-6, პაცინი-5.5, მუტუ-6.5.

**მილანი:** კალაჩი-7, ოდო-6.5, ნესტა-6.5, კალაძე-6.5, მალდინი-6.5, ბროკი-5.5 (73. ემერსონი-6.5), ამბროზინი-6, პირლო-6.5, ზეედორფი-5.5 (66. პატო-7.5), კაკა-6.5 (81. ფავალი-შ.გ), ჯილარდინო-5.5.

**გოლი:** 0:1 პატო (77)

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 22-14 (16-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 21 | 16 | 5 | 0 | 44-13 | 53 |
| 2. რომა | 21 | 13 | 6 | 2 | 38-22 | 45 |
| 3. იუვენტუსი | 21 | 11 | 8 | 2 | 40-18 | 41 |
| 4. ფიორენტინა | 21 | 10 | 7 | 4 | 32-19 | 37 |
| 5. მილანი | 20 | 9 | 6 | 5 | 32-16 | 33 |
| 6. უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 24-25 | 33 |
| 7. ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 32-30 | 29 |
| 9. სამპდორია | 21 | 8 | 4 | 9 | 27-26 | 28 |
| 9. პალერმო | 21 | 7 | 7 | 7 | 28-34 | 28 |
| 10. ჯენოა | 21 | 7 | 7 | 7 | 22-28 | 28 |
| 11. ნაპოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 33-32 | 27 |
| 12. კატანია | 21 | 5 | 8 | 8 | 19-24 | 23 |
| 13. ლაციო | 21 | 5 | 8 | 8 | 24-30 | 23 |
| 14. ტორინო | 21 | 3 | 12 | 6 | 20-25 | 21 |
| 15. ლივორნო | 20 | 5 | 6 | 9 | 23-32 | 21 |
| 16. სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 25-31 | 20 |
| 17. პარმა | 21 | 4 | 7 | 10 | 24-32 | 19 |
| 18. რეჯინა | 21 | 3 | 9 | 9 | 18-32 | 18 |
| 19. ემპოლი | 21 | 3 | 7 | 11 | 15-29 | 16 |
| 20. კალიარი | 21 | 3 | 5 | 13 | 16-38 | 14 |

**ბომბარდირები:** 15 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 13 - მუტუ (ფიორენტინა); 12 - ბორიელო (ჯენოა); 10 - კრუსი (ინტერი), ტოტი (რომა); 9 - ბელუჩი (სამპდორია), დელ პიერო (იუვენტუსი), ტავანო (ლივორნო); 8 - ამაური (პალერმო), კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი), პანდევი (ლაციო); 7 - დი ნატალე (უდინეზე), ჯილარდინო (მილანი), კვალიარელა (უდინეზე), სალაიეტა (ნაპოლი).

## სერია B

XXIII ტური

**ასკოლი-რავენა 5:0**

**გოლები:** 1:0 სომეზე (24), 2:0 ბერნაჩი (45), 3:0 ბერნაჩი (50), 4:0 ბერნაჩი (57), 5:0 მანიერო (73)

**გაძევება:** მარუოკო (45. რავენა)

**ბარი-რიმინი 0:1**

**გოლი:** 0:1 რეგონეზი (31)

**გაძევება:** სტელინი (79. ბარი)

**ბოლონია-სპეცია 3:2**

**გოლები:** 1:0 ტერცი (22), 2:0 მარაცინა (23), 3:0 ბუკი (32), 3:1 მილეზი (54), 3:2 გუიდეტი (76)

**გაძევება:** ტედესკი (89. სპეცია)

**ბრეშა-გროსეტო 4:1**

**გოლები:** 0:1 ლაძარი (3), 1:1 ტაკინარდი (26-პენ), 2:1 კარაჩოლო (77), 3:1 ტაკინარდი (79), 4:1 ფრედი (90-საკ. კარში)

**ჩეზენა-მესინა 1:0**

**გოლი:** 1:0 მოსკარდელი (2-პენ)

**ფროზინონე-პიზა 1:5**

**გოლები:** 0:1 კუტუზოვი (5), 0:2 ძავანიო (17), 0:3 დ'ანა (28), 0:4 კუტუზოვი (31), 1:4 ლოდი (38), 1:5 კასტილიო (60)

**მანტოვა-აველინო 2:0**

**გოლები:** 1:0 დოგა (18), 2:0 დუ პრადუ (83)

**გაძევება:** დოგა (81. მანტოვა), მენგონი (81. აველინო)

**მოდენა-პიაჩენცა 2:0**

**გოლები:** 1:0 ანტონაცო (6), 2:0 ოკაკა-ჩუკა (25)

**ტრევიზო-ლეჩე 0:0**

**გაძევება:** კოტაფავა (52. ლეჩე)

**ტრიესტინა-კიევო 1:1**

**გოლები:** 0:1 ლუსიანო (72), 1:1 მინელი (90)

**ალბინოლეფე-ვიჩენცა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლონია | 23 | 14 | 7 | 2 | 31-12 | 49 |
| 2. კიევო | 23 | 14 | 5 | 4 | 43-27 | 47 |
| 3. ლეჩე | 23 | 13 | 7 | 3 | 37-14 | 46 |
| 4. პიზა | 23 | 13 | 7 | 3 | 41-27 | 46 |
| 5. ალბინოლეფე | 23 | 13 | 6 | 4 | 35-17 | 45 |
| 6. ბრეშა | 22 | 12 | 5 | 5 | 35-20 | 41 |
| 7. მანტოვა | 23 | 12 | 4 | 7 | 36-27 | 40 |
| 8. რიმინი | 23 | 9 | 6 | 8 | 29-24 | 33 |
| 9. მოდენა | 23 | 8 | 8 | 7 | 33-28 | 32 |
| 10. მესინა | 23 | 9 | 5 | 9 | 19-26 | 32 |
| 11. ასკოლი | 22 | 7 | 9 | 6 | 32-22 | 30 |
| 12. ტრიესტინა | 23 | 7 | 8 | 8 | 28-37 | 29 |
| 13. ფროზინონე | 23 | 7 | 6 | 10 | 28-37 | 27 |
| 14. პიაჩენცა | 23 | 8 | 2 | 13 | 18-28 | 26 |
| 15. გროსეტო | 23 | 6 | 7 | 10 | 20-32 | 25 |
| 16. ბარი | 23 | 4 | 9 | 10 | 26-36 | 21 |
| 17. აველინო | 23 | 5 | 6 | 12 | 23-34 | 21 |
| 18. ტრევიზო | 23 | 5 | 6 | 12 | 21-31 | 20 |
| 19. ჩეზენა | 23 | 3 | 10 | 10 | 23-34 | 19 |
| 20. სპეცია | 23 | 4 | 7 | 12 | 25-37 | 19 |
| 21. ვიჩენცა | 23 | 3 | 9 | 11 | 20-36 | 18 |
| 22. რავენა | 23 | 4 | 5 | 14 | 26-43 | 17 |

**ბომბარდირები:** 16 - კასტილიო (პიზა), გოდეასი (მანტოვა); 14 - ჩელინი (ალბინოლეფე); 13 - გრანოკე (ტრიესტინა), მარაცინა (ბოლონია); 12 - ჟედა (რიმინი); 11 - გუიდეტი (სპეცია), ლოდი (ფროზინონე), მოსკარდელი (ჩეზენა), პელისიერი (კიევო), ტირიბოკი (ლეჩე).

## სერია C1/A

XXII ტური

**პრო სესტო-პაგანეზე 3:0; კრემონეზე-ტერნანა 1:0; ფოჯა-პროპატრია 3:2; ლენიანო-მანფრედონია 3:0; მონცა-ლეკო 2:1; ნოვარა-ჩიტადელა 2:2; სასუოლო-ვენეცია 1:0; ვერონა-კავეზე 0:1; პადოვა-ფოლინიო დღეს.**

## სერია C1/B

XXII ტური

**არეცო-პერუჯა 1:0; კროტონე-მარტინა 3:1; ლანჩანო-პოტენცა 1:1; ლუკეზე-სანჯოვანეზე 1:1; მასეზე-ანკონა 1:1; პესკარა-იუვე სტაბია 0:0; პისტოიეზე-გალიპოლი 0:3; სორენტო-სამბენედეტეზე 1:1; ტარანტო-სალერნიტანა 4:2.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

# არსენალი ისევ ლიდერია

## დეფომ დებიუტი არისტოკრატების დამწუხრებით აღნიშნა...



მანჩესტერ სიტი-არსენალი. ემანუელ ადებაიორმა მორიგი დუბლი გამოაცხო

"არსენალი" პირველი კლუბია, რომელმაც მიმდინარე სეზონში ისტლენდზე მოიგო. "მანჩესტერ სიტიმ" წაუგებელი საშინაო სერია "მეთოფეებთან" შეწყვიტა. **ემანუელ ადებაიორმა** მორიგი დუბლი მიითვალა. მას **ედუარდო და სილვამ** აუბა მხარი. **ჟელსონ ფერნანდესმა** პრესტიჟის გოლი გაიტანა. ლონდონელები ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ, რადგან "მანჩესტერ იუნაიტედმა" და "ჩელსიმ" თავიანთი მატჩები ფრედ დაასრულეს.

"სიტიმ" შეხვედრა აქტიურად დაიწყო. **დიტმარ ჰამანს** ხელსაყრელ პოზიციაზე გაჰყავდა **სტივ ირლანდი**. ამ უკანასკნელმა კომბინაცია ვერ წაიკითხა. **იენს ლემანი** ბურთს მშვიდად დაეუფლა. "არსენალი" გამოფხიზლდა და საქმეს შეუდგა. მე-9 წუთზე ადებაიორმა ანგარიში გახსნა. საგოლე შეტევა **მარტინ პეტროვის** დაუდევრობას მოჰყვა. მან ბურთი **ბაკარი სანიას** ჩააბარა. სანიას დრო აღარ დაუკარგავს და ტოგოელ თავდამსხმელს გრძელი პასი გაუკეთა. ადებაიორმა დასცხო. ბურთი **მიკა რიჩარდსს** მოხვდა და კარში შევარდა.

"არსენალმა" მეორე გოლი 25-ე წუთზე გაიტანა. ამჯერად ადებაიორმა ასისტენტობა იკისრა. მან ედუარდოს თავით დაუგდო ბურთი. ხორვატმა თავდამსხმელმა ეფექტური მაკრატელათი იხეირა. ორ წუთში "სიტიმ" ერთი გოლი გაქვითა. მის თანაავტორად, შეგვიძლია, **გაელ კლიში** მივიჩნიოთ. მან მარჯვენა ფლანგზე, აუტის ხაზთან დაკარგა ბურთი. **ვედრან კორლუკამ** შეცდომით ისარგებლა და საჯარიმოში ჩაჰკიდა. ჟელსონმა ლემანს ერთი შეხებით გაუტანა.

30-ე წუთზე ადებაიორი მეორედ დაემუქრა მეტოქის კარს. მან სანიასაგან მორიგი გრძელი გააცემა მიიღო. "სიტის" გოლკიპერმა **ჯო ჰარტმა** დროულად დატოვა კარი და ბურთი მოიგერია. **ვილიამ გალასმა** დაამატა, მაგრამ ააცილა.

მეორე ტაიმში **სვენ გორან ერიქსონმა დენიელ სტარიჯის** ნაცვლად **დარიუს ვასელი** გამოიყვანა. გალასმა სტარიჯს გასაქანი არ მისცა. მწვრთნელმა იფიქრა, რომ გამოცდილი ვასელი უფრო იოლად გაუმკლავდებოდა მეტოქეს. მის გამოჩენას თამაშში გარდატეხა არ მოჰყოლია. "არსენალი" აქტიურობდა. ადებაიორმა **სესკ ფაბრეგასს** კარგი პასი გაუკეთა. ესპანელმა ნახევარმცველმა კარს ზემოდან გადააცილა. სვენმა მოთმინება დაკარგა. შვედი მწვრთნელი სკამიდან იშვიათად დგება ხოლმე, მაგრამ შაბათ საღამოს ტექნიკური ზონიდანაც კი გადიოდა, რომ შეგირდებისათვის შეტევაში წასვლა ეთხოვა.

66-ე წუთზე მწვრთნელის შეგონებამ კინაღამ შედეგი გამოიღო: ჰამანის ვასელს "არსენალის" საჯარიმოში გადააწოდა, ლემანმა ბურთი მოიგერია, **ელანომ** დაამატა, მაგრამ არაზუსტად. 77-ე წუთზე მეთოფეებმა კონტრშეტევით უპასუხეს. ადებაიორმა ედუარდოს მარცხენა ფლანგზე გადაუგდო ბურთი. ის ფაბრეგასის ერთ-ერთიზე გაყვანას შეეცადა, მაგრამ **მაიკლ ბოლმა** მისი პასი ჩაჭრა. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ადებაიორმა წერტილი დასვა. საგოლე გადაცემა ფაბრეგასის აქტივში ჩაიწერა...

"მანჩესტერ იუნაიტედმა" ორი ქულა გაანიავა, მაგრამ უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, ერთი ქულა მოიპოვაო. "ტოტენჰემი" "ეშმაკებს" ბოლო წამებამდე ამარცხებდა. სტუმრები **კარლოს ტევესმა** გადაარჩინა. "მამლებმა" პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში. გოლი **დიმიტარ ბერბატოვმა** გაიტანა. მანჩესტერელები მის გაუქმებას მოითხოვდნენ: მათი მტკიცებით, **ჯერმეინ ჯენასმა** ხელით გაისწორა ბურთი, როცა ის **აარონ ლენონს** გადააწოდა. ლენონმა ბულგარელი თავდამსხმელი მოძებნა. მან კი **ედვინ ვან დერ სარი** დაამწუხრა. ჰოლანდიელმა მეკარემ ემოციები ვერ მოთოკა და თანამსაჯ **მო მატადარს** მივარდა. მას დაუყოვნებლივ ყვითელი ბარათი აუფრიალეს.

შაბათს საღამოს "იუნაიტედმა" შვიდი გაფრთხილება დაიმსახურა. მანჩესტერელი ფეხბურთელების უდისციპლინობა პრესკონფერენციაზე განხილვის უმთავრესი საგანი იყო. **სერ ალექს ფერგიუსონმა** მთავარი მსაჯი **მარკ კლეტენბურგი** გააკრიტიკა - "იუნაიტედი" უხეში გუნდი არ არის, ამიტომ როცა შვიდჯერ აფრთხილებენ, მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთო. შვიდი ყვითელი ბარათი იმას ნიშნავს, რომ "ეშმაკებს" საფეხბურთო ასოციაციისაგან სასჯელი არ ასცდებათ. გააფრთილეს კარლოს ტევესიც, რომელმაც გოლის გატანისას მაისურა გაიხადა.

ფერგიმ მისი აზრით, რამდენიმე საკამათო ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება. მან თქვა, რომ **ჯენასი კრისტიანო რონალდოსთან** უხეშობისათვის პირველსავე ტაიმში იმსახურებდა გაძევებას. მწვრთნელს არც **უეინ რუნის** გაფრთხილება დაუტოვებია უკომენტაროდ. კლეტენბურგმა მას ყვითელი ბარათი სიმულაციისათვის უჩვენა. სერ ალექსი გაკვირვებას ვერ მალავდა: თუ რუნიმ ისიმულიანტა, ორიოდე წუთის შემდეგ **ჰადლსტონმაც** იგივე გააკეთა, მაგრამ რადგან უკვე გაფრთხილებული იყო, კლეტენბურგმა თვალები დახუჭაო.

"ტოტენჰემმა" "იუნაიტედს" უკანასკნელად 2001 წელს მოუგო. მას წარუმატებელი სერიის დასასრულებლად რამდენიმე წამი დააკლდა. **ხუანდე რამოსი** მაინც კმაყოფილი იყო. შთამბეჭდავად ითამაშა დებიუტანტმა **ალან ჰატონმა**. **ჯონათან ვუდგეიტმა** "უაით ჰართ ლეინზე" პირველი მატჩი ჩაატარა. **პასკალ შიმბონდა** მარცხენა ფლანგზე გაამწესეს. "მამლების" დაცვა გადახალისებული იყო. ერთი კვირის წინანდელი ისტორია (ასოციაციის თასზე "იუნაიტედმა" "ტოტენჰემს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა) აღარ განმეორდა.

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. კრისტიანო რონალდომ ბურთი **ვეს ბრაუნს** გაუგორა. ამ უკანასკნელმა არაზუსტად დაარტყა. მასპინძლებმა ბერბატოვის შეტევით უპასუხეს. ის მარცხენა ფლანგზე **რიო ფერდინანდს** გასცდა და საჯარიმოში ჩააწოდა. **ოუენ ჰარგრივსმა** დაზღვევაზე საიმედოდ ითამაშა. ორიოდ წუთში ტომ ჰადლსტონმა **რობი კინს** საჯარიმოში გადააგდო ბურთი. **ნემანია ვიდიჩმა** ის კუთხურზე მოიგერია.

ამასობაში, გოლიც გამოცხვა. კონტრშეტევა ჰადლსტონმა წამოიწყო. მან კინი მოძებნა. კინმა ჯენასს გაუგორა. ჯერმეინი საჯარიმოს მისადგომებთან ჰარგრივსმა შეაჩერა. ბურთს ლენონი დაეუფლა და საჯარიმოში შეიჭრა. ვან დერ სარმა მისი ჩაწოდება მოიგერია, მაგრამ ბერბატოვის დარტყმას ველარაფერი მოუხერხა.

ლენონი კუთხურებს სახიფათოდ აწოდებდა. **მაიკლ დოსონის** დარტყმას ვიდიჩი გადაელობა, ბერბატოვის თავური გვარიანად ასცდა მიზანს. ბულგარელმა კიდევ რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენა. "იუნაიტედი" "ტოტენჰემის" კართან მდგომარეობის გამწვავებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ტაიმის მიწურულს რონალდოს საჯარიმოს **რაიან გიგზი** გამოეხმაურა - **რადეკ ჩერნი** აუღელვებლად დაეუფლა ბურთს.

მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა. მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. ფერგიმ ვეტერანების - **სქოულზისა** და გიგზის ნაცვლად, ახალგაზრდები - **ნანი** და **ანდერსონი** გამოიყვანა. "მენიუმ" ნანატრი გოლი მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე გაიტანა, მაგრამ გასარკვევია, ტევესმა შეაგდო ის, თუ **დოსონმა** საკუთარ კარში...

"ჩელსიმ" რეკორდი ვერ დაამყარა. მან ყველა ტურნირში ზედიზედ მე-10-დ ვერ გაიმარჯვა. "არისტოკრატებს" ორი ქულა "პორტსმუთმა" აართვა. მასპინძელთა გოლი დებიუტანტმა **ჯერმეინ დეფომ** შეაგდო. მას კლუბის კიდევ ერთმა ახალწვეულმა, **მილან ბაროშმა** გაუწია ასისტენტობა.

"პორტსმუთმა" შეხვედრა აქტიურად დაიწყო. პირველი მომენტი ბაროშმა შექმნა (ჩეხი თავდამსხმელი "ფრეტონ პარკზე" პირველად თამაშობდა). **ლასანა დიარამ** (ისიც ახალწვეულია, "არსენალიდან" ერთი თვის წინ შეიძინეს) ბაროშს გრძელი დიაგონალური გადაცემა გაუკეთა. მილანმა ბურთი კარიდან 20 იარდში მიიღო, მაგრამ ძალიან არაზუსტად დაარტყა. რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთივე პოზიციიდან ვერ გაიტანა **მიხაელ ბალაკმა**. გერმანელ ნახევარმცველს უფრო რეალური მომენტიც ჰქონდა. კუთხურისას მან თავით ძლიერად დაარტყა. **ნიკო კრანჩარმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ტაიმის მიწურულს კრანჩარმა კუთხური სახიფათოდ მოაწოდა. **ნოელ პამაროს** თავური "ჩელსის" კარის მარჯვენა ძელს მოხვდა. იქვე ლონდონელები პენალტს გადაურჩნენ. **კლოდ მაკელელემ** საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი დაკარგა. ბაროში კარისაკენ დაიძრა. მას ბალაკი ჩაუხტა და წააქცია. არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** წესების დარღვევა ვერ დაინახა და თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დეფომ სოლო-რეიდი მოაწყო. ის სამ მეტოქეს გასცდა. ჯერმეინი **შონ რაიტ-ფილიპსმა** შეაჩერა. შეტევა ბაროშმა გააგრძელა, მაგრამ მისი დარტყმა წაქცეულმა **პეტრ ჩეხმა** მოიგერია.

ამასობაში, 55-ე წუთიც დადგა. "ჩელსიმ" კონტრშეტევა წამოიწყო. "პორტსმუთის" თავდამსხმელებს მოეჩვენათ, რომ მაკელელემ საჯარიმოდან ბურთის გამოტანისას ხელით ითამაშა. მატჩი არ შეჩერებულა. **ფლორან მალუდა** მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და მეტოქის საჯარიმოში, შორ ძელთან ჩააწოდა. **ჯო კოულმა** ბურთს რბილად დაჰკრა ფეხი და კარისკენ გადააგდო. **ნიკოლა ანელკამ** შანსი ხელიდან არ გაუშვა. "პორტსმუთმა" ცხრა წუთში გაათანაბრა. დეფომ მასპინძელ ქომაგებს დიდი სიხარული მოჰგვარა. ჯერმეინს გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლო: მან წინ გამოსულ ჩეხს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ კარს ააცილა. ბოლო წუთზე **დევიდ ჯეიმსმა ჟულიანო ბელეტის** იერიშს ეფექტური სეივით უპასუხა.

სხვა მატჩებში, "ლივერპულმა" ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია "სანდერლენდის" განადგურებით დაასრულა. **რაფა ბენიტესის** გუნდმა 26 დეკემბრის შემდეგ პირველად გაიმარჯვა. "ევერტონმა" "ბლექბერნთან" მატჩში ორი ქულა დაკარგა. არბიტრმა ლივერპულელ **ენდი ჯონსონს** გოლი არ ჩაუთვალა. "ვიგანმა" ვესტ ჰემს მოუგო და გასავარდნი ზონიდან ამოვიდა. ქულები გაიყვეს "ბირმინგემმა" და "დერბიმ", ხოლო "ბოლტონმა" მიმდინარე სეზონში მეტოქის მოედანზე პირველად მოიგო.

### მომდევნო ტური.

**9 თებერვალი. ასტონ ვილა-ნიუკასლი, ბოლტონი-პორტსმუთი, დერბი-ტოტენჰემი, ევერტონი-რედინგი, მიდლსბრო-ფულჰემი, სანდერლენდი-ვიგანი, ვესტ ჰემი-ბირმინგემი. 10 თებერვალი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი, ჩელსი-ლივერპული. 11 თებერვალი. არსენალი-ბლექბერნი.**

### მანჩესტერ სიტი-არსენალი 1:3

**სიტი:** ჰარტი, ბოლი, კორლუკა, რიჩარდ დანი, რიჩარდსი, ელანო, ჟელსონი, ჰამანი (75. ჯოვანი), ირლანდი (83. მპენზა), მარტინ პეტროვი, სტარიჯი (55. ვასელი).

**არსენალი:** ლემანი, კლიში, გალასი, სანია, სენდეროსი, დიაბი, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (89. ჰოიტი), ადებაიორი, ედუარდო.

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (9), 0:2 ედუარდო (26), 1:2 ჟელსონი (28), 1:3 ადებაიორი (88).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 5(2)-14(9); **ჯარიმა:** 7-7; **კუთხური:** 1-9; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 46 426

### ბირმინგემი-დერბი 1:1

**ბირმინგემი:** მეიკ ტეილორი, კელი, დევიდ მერფი, რიჯველი, მარტინ ტეილორი, დემიენ ჯონსონი, კაპო, ლარსონი (76. სარატე), მუამბა, მაკფადენი, ოკონორი.

**დერბი:** ქეროლი, ედვორთი, ლიკოკი, მური (67. ტოდი), სტაბსი, გალი, რობერი (60. ბარნესი), სევიჯი, ერნშო (61. ვილია), ფეგანი, მილერი.

**გოლები:** 1:0 ლარსონი (68), 1:1 ვილია (89).

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 12(7)-6(3); **ჯარიმა:** 7-11; **კუთხური:** 5-5; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 25 924

### ბლექბერნი-ევერტონი 0:0

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ხიზანიშვილი, ოოიერი, უორნოკი, ბენტლი, დევიდ დანი (56. მაკარტი), ემერტონი, პედერსენი, რიდი, დერბიშირი (73. თუგაი), სანტა კრუსი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბაინესი, ლესკოტი, ფილ ნევილი, არტეტა, ტიმ კაჰილი, კარსლი, ფერნანდესი, ჟაგიელკა, ოსმანი (75. ვოგანი), ენდი ჯონსონი.

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 15(3)-12(4); **ჯარიმა:** 18-15; **კუთხური:** 4-9; **ბურთის ფლობა:** 41%-49%.

**მაყურებელი:** 27 946

### პორტსმუთი-ჩელსი 1:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, პრეიდარსონი, გლენ ჯონსონი, პამარო, შონ დევისი (68. მვუემბა), ლასანა დიარა, ჰიუზი, კრანჩარი, ბაროში, დეფო.

**ჩელსი:** ჩეხი, ალექსი, ბელეტი, ბენ-ჰაიმი, ეშლი კოული, ბალაკი, ჯო კოული, მაკელელე, მალუდა (74. პისარო), რაიტ-ფილიპსი, ანელკა.

**გოლები:** 0:1 ანელკა (55), 1:1 დეფო (64).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 20(6)-22(12); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 4-8; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 20 488

### რედინგი-ბოლტონი 0:2

**რედინგი:** ჰანემანი, ინგიმარსონი, მერტი, შორი, სისე, ჰარპერი (73. სონკო), ჰანტი, მატეიოვსკი, დოილი, კიტსონი (67. ოსტერი), ლიტა (76. ლონგი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, გარი კაჰილი, ენდი ობრაიენი, სტეინსონი, კამპო, რიკარდო გარნდერი, გუტრი (75. კოენი), ნოლანი, მეტიუ ტაილორი (67. სამუელი), კევი დევისი, ჰელგუსონი (67. დიუფი).

**გოლები:** 0:1 ნოლანი (33), 0:2 ჰელგუსონი (58).

*24-ე წუთზე მეტიუ ტეილორმა ვერ გაიტანა პენალტი.*

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 10(6)-9(4); **ჯარიმა:** 14-16; **კუთხური:** 13-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 21 893

### ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ 1:1

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, დოსონი, ჰატონი, ვუდგეიტი, ჰადლსტონი, ჯენასი, ლენონი (79. ბოატენგი), მალბრანკი, ბერბატოვი, რობი კინი (90. ოჰარა).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, გიგზი (60. ნანი), ჰარგრივსი (46. ქერიკი), რონალდო, სქოულზი (60. ანდერსონი), რუნი, ტევესი.

**გოლები:** 1:0 ბერბატოვი (21), 1:1 ტევესი (90).

**გაფრთხილება:** 3-7; **დარტყმა:** 12(8)-16(10); **ჯარიმა:** 18-10; **კუთხური:** 8-9; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 36 075

### ვიგანი-ვესტ ჰემი 1:0

**ვიგანი:** კირკლანდი, ბოისი, მელხიოტი, გარნერი, რაიან ტეილორი (84. კუმასი), ბრაუნი, კილბეინი, პალასიოსი, ვალენსია, ჰესკი (57. მარკუს ბენტი), მარლონ კინგი (90. სიბირსკი).

**ვესტ ჰემი:** გრინი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ეთერინგტონი (48. სოლანო), ლიუნგბერგი, მულინზი, ნობლი (73. ბოუიერი), ეშტონი, კარლტონ კოული (68. ბელამი).

**გოლები:** 1:0 კილბეინი (45).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 11(3)-5(1); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 20 525

### ლივერპული-სანდერლენდი 3:0

**ლივერპული:** რეინა, აურელიო (46. ფინენი), კარაგერი, ჰიპია, შკრტელი, ჯერარდი, ლუკასი (61. ბენაიუნი), მასკერანო, პენანტი, კრაუჩი (83. კუიტი), ტორესი.

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, კოლინსი, ევანსი, ნოსვორთი, მილერი, რიჩარდსონი (7. პრიცა/55. ოდონოვანი), უაითჰედი, ჩოპრა (83. ვოგპორნი), ჯოუნსი, დერილ მერფი.

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (57), 2:0 ტორესი (69), 3:0 ჯერარდი (89-პენ).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15(11)-7(3); **ჯარიმა:** 8-10; **კუთხური:** 4-1, **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 43 244

### ნიუკასლი-მიდლსბრო 1:1

**ნიუკასლი:** გივენი, კასაპა, კარი, ს. ტეილორი, ბარტონი, ბატი, დაფი, ემრე (65. მილნერი), ნ'ზოგბია, ოუენი, ა. სმიტი (66. ვიდუკა).

**მიდლსბრო:** შვარცერი, პატი, პოგატეტცი, ვიტერი, იანგი, არკა, კატერმოლი (71. ლი), დაუნინგი, ო'ნილი, როშემბაკი (80. ა. ჯონსონი), ალიადიერი.

**გოლები:** 1:0 ოუენი (60), 1:1 ჰუტი (87)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 11(8)-21(11); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 11-6; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 51 105

### ფულჰემი-ასტონ ვილა 2:1

**ფულჰემი:** ნიემი, ანდრეასენი, ბერდი, ჰანგელანდი, ა. ჰიუზი, კონჩესკი, ბალარდი, ს. დევისი, დემპსი (79. დ. კამარა), დ. მერფი, ნევლანდი (70. მაკბრაიდი).

**ვილა:** კარსონი, ბუმა (87. გარდნერი), კ. დევისი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, მელონი, ს. პეტროვი, რეო-კოკერი, აგბონლაჰორი (46. ჰეირვუდი), კარიუ.

**გოლები:** 0:1 ა. ჰიუზი (69-საკ. კარში), 1:1 ს. დევისი (73), 2:1 ბალარდი (86)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 13(8)-11(6); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 3-10; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 25 | 18 | 6 | 1 | 52-18 | 60 |
| 2. მანჩ. იუნ | 25 | 18 | 4 | 3 | 49-12 | 58 |
| 3. ჩელსი | 25 | 16 | 6 | 3 | 38-17 | 54 |
| 4. ევერტონი | 25 | 13 | 5 | 7 | 40-23 | 44 |
| 5. ლივერპული | 24 | 11 | 10 | 3 | 40-17 | 43 |
| 6. ასტონ ვილა | 25 | 11 | 8 | 6 | 44-33 | 41 |
| 7. მანჩ. სიტი | 25 | 11 | 8 | 6 | 32-28 | 41 |
| 8. ბლექბერნი | 25 | 10 | 9 | 6 | 32-31 | 39 |
| 9. პორტსმუთი | 25 | 10 | 8 | 7 | 35-26 | 38 |
| 10. ვესტ ჰემი | 24 | 10 | 6 | 8 | 29-22 | 36 |
| 11. ტოტენჰემი | 25 | 7 | 8 | 10 | 45-41 | 29 |
| 12. ნიუკასლი | 25 | 7 | 7 | 11 | 28-43 | 28 |
| 13. მიდლსბრო | 25 | 6 | 8 | 11 | 22-38 | 26 |
| 14. ბოლტონი | 25 | 6 | 7 | 12 | 26-34 | 25 |
| 15. ვიგანი | 25 | 6 | 5 | 14 | 24-40 | 23 |
| 16. სანდერლენ. | 25 | 6 | 5 | 14 | 24-45 | 23 |
| 17. რედინგი | 25 | 6 | 4 | 15 | 30-52 | 22 |
| 18. ბირმინგემი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-37 | 21 |
| 19. ფულჰემი | 25 | 3 | 10 | 12 | 25-43 | 19 |
| 20. დერბი | 25 | 1 | 6 | 18 | 13-52 | 9 |

**ბომბარდირები:** 19 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 18 - ადებაიორი (არსენალი); 12 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ბენჯანი (პორტსმუთი); 11 - სანტა კრუსი (ბლექბერნი), კინი (ტოტენჰემი), ტევესი (მანჩესტერ იუნ), ანელკა (ჩელსი); 9 - აიეგბენი (ევერტონი), ბერბატოვი (ტოტენჰემი); 8 - ჯერარდი (ლივერპული); 7 - ფაბრეგასი (არსენალი).

## ჩემპიონატი

XXX ტური

**სტოკი-კარდიფი 2:1**

**გოლები:** 1:0 რ. ჯონსონი (39-საკ. კარში), 2:0 ფულერი (57-პენ), 2:1 ჰასელბანკი (63)

**ბლეკპული-ლესტერი 2:1**

**გოლები:** 1:0 ტეილორ-ფლეტჩერი (3), 1:1 ს. ჰოვარდი (62), 2:1 დიკოვი (90)

**კოლჩესტერი-შეფილდი 2:2**

**გოლები:** 0:1 შელტონი (45), 1:1 ლისბი (46), 2:1 არმსტრონგი (64-საკ. კარში), 2:2 კარნი (66)

**ქოვენთრი-ბარნსლი 4:0**

**გოლები:** 1:0 ბესტი (37), 2:0 გრეი (70), 3.0 ტები (75), 4:0 ბესტი (84)

**კრ. პალასი-საუთჰემპტონი 1:1**

**გოლები:** 1:0 სკოუკროფტი (73), 1:1 შ. ჯონი (84)

**ნორვიჩი-პრესტონი 1:0**

**გოლი:** 1:0 რასელი (90)

**პლიმუტი-ჰალი 0:1**

**გოლი:** 0:1 უინდესი (45)

**ქუინზ პარკი-ბრისტოლი 3:0**

**გოლები:** 1:0 აგიემანგი (18), 2:0 აგიემანგი (33), 3:0 ბუჟაკი (63)

**სკანთორფი-ჩარლტონი 1:0**

**გოლი:** 1:0 პატერსონი (63)

**უენსდი-იფსვიჩი 1:2**

**გოლები:** 0:1 ქუინი (4), 1:1 ტადგე (12), 1:2 ლი (71)

**ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი 2:1**

**გოლები:** 0:1 ო'კონორი (3), 1:1 სესარი (26), 2:1 ბედნარი (60)

**უოტფორდი-ვულვზი 3:0**

**გოლები:** 1:0 კაბა (1), 2:0 ტ. სმიტი (76), 3:0 ტ. სმიტი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ბრომვ. | 30 | 16 | 6 | 8 | 65-38 | 54 |
| 2. უოტფორდი | 30 | 15 | 7 | 8 | 49-37 | 52 |
| 3. ბრისტოლი | 30 | 14 | 9 | 7 | 36-37 | 51 |
| 4. სტოკი | 30 | 13 | 11 | 6 | 48-37 | 50 |
| 5. ჩარლტონი | 30 | 13 | 8 | 9 | 42-34 | 47 |
| 6. იფსვიჩი | 30 | 12 | 9 | 9 | 47-38 | 45 |
| 7. კრ. პალასი | 30 | 11 | 12 | 7 | 37-29 | 45 |
| 8. ჰალი | 29 | 12 | 8 | 9 | 35-32 | 44 |
| 9. კარდიფი | 30 | 11 | 10 | 9 | 41-38 | 43 |
| 10. ბარნლი | 30 | 11 | 10 | 9 | 39-38 | 43 |
| 11. ვულვზი | 30 | 11 | 10 | 9 | 28-30 | 43 |
| 12. პლიმუთი | 30 | 10 | 10 | 10 | 36-32 | 40 |
| 13. ნორვიჩი | 30 | 10 | 8 | 12 | 29-35 | 38 |
| 14. საუთჰემპტ. | 30 | 10 | 8 | 12 | 38-47 | 38 |
| 15. ბლეკპული | 30 | 9 | 10 | 11 | 38-38 | 37 |
| 16. შეფილდი | 30 | 9 | 10 | 11 | 34-36 | 37 |
| 17. ბარნსლი | 30 | 9 | 10 | 11 | 35-45 | 37 |
| 18. ქუინზ პარკი | 30 | 9 | 9 | 12 | 37-43 | 36 |
| 19. ქოვენთრი | 29 | 10 | 5 | 14 | 34-45 | 35 |
| 20. ლესტერი | 30 | 7 | 13 | 10 | 29-29 | 34 |
| 21. უენსდი | 29 | 9 | 4 | 16 | 32-38 | 31 |
| 22. პრესტონი | 30 | 8 | 6 | 16 | 29-38 | 30 |
| 23. სკანთორფი | 30 | 7 | 9 | 14 | 29-45 | 30 |
| 24. კოლჩესტერი | 29 | 5 | 12 | 12 | 41-49 | 27 |

**ბომბარდირები:** 16 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი); 13 - მორისონი (კრ. პალასი), ბიტი (შეფილდი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი), ფულერი (სტოკი); 11 - გრეი (ბარნლი), პატერსონი (სკანთორფი), კინგი (უოტფორდი); 10 - კუნაგო (იფსვიჩი), ჰენდერსონი (უოტფორდი), უოლტერსი (იფსვიჩი), ჰოვარდი (ბარნსლი), შ. ჯონი (საუთჰემპტონი), ლისბი (კოლჩესტერი).

## I დივიზიონი

XXX ტური

**სუონსი-ოლდჰემი 2:1; ბორნმუთი-ნოტინგემი 2:0; ბრაიტონი-ქრიუ 3:0; როვერსი-პორტ ვეილი 3:2; კარლაილი-უოლსოლი 2:1; ჯილინგემი-ჩელტენემი 0:0; ჰარტლპული-ლუტონი 4:0; ლიდსი-ტრანმერი 0:2; ლეიტონი-საუთენდი 2:2; მილუოლი-დონკასტერი 0:3; სუინდონი-ნორთჰემპტონი 1:1; იეოვილი-ჰადერსფილდი 0:2.**

## II დივიზიონი

XXX ტური

**რექსჰემი-დარლინგტონი 2:0; აკრინგტონი-უიკომბი 0:2; ბარნეტი-მორეკამბი 0:1; ბერი-მილტონი 1:5; ჩესტერფილდი-ჩესტერი 1:1; დაგენჰემი-სტოკპორტი 0:1; მაკლსფილდი-ბრედფორდი 0:1; მენსფილდი-ბრენტფორდი 2:3; ნოტსი-გრიმსბი 1:1; როჩდეილი-პიტერბრო 0:2; როტერჰემი-ჰერეფორდი 0:1; შრიუსბერი-ლინკოლნი 1:2.**

## კონფერენსი

XXIX ტური

**ექსეტერი-ფარსლი 4:0; კიდერმინსტერი-გრავესენდი 0:0; სალისბერი-ფორესტ გრინი 0:0; დანარჩენი მატჩები გადაიდო.**

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური

# შალკემ ტრიუმფით დაიწყო!

## ბუნდესლიგაში ახალი ვარსკვლავი გაბრწყინდა: მარტინ ფენინი ის კაცია, ვინც დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს...




მეორე წრე ყველაზე უკეთ შალკემ დაიწყო!

თუკი მე-18 ტური მეორე წრის ერთგვარი პრელუდიაა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიის ჩემპიონატის მეორე ნახევარი უაღრესად დაძაბული და დრამატული იქნება. ეს განსაკუთრებით ცხრილის ქვედა ნაწილს ეხება, სადაც გუნდებმა უკვე დაიწყეს გაშმაგებული ბრძოლა გადარჩენისთვის. „დუისბურგმა" დორტმუნდის „ბორუსიას" კვლავ ჯოჯოხეთი მოუწყო, ისევე, როგორც სეზონის დასაწყისში, მაგრამ BVB-მ ბოლოს ძალები მოიკრიბა და ქულა გადაარჩინა. „ნიურნბერგმა" კარლსრუეში ვერაფერი გააწყო და დამარცხდა – **იაშვილის** გუნდის გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია. მაგრამ ფრანკები ბოლო ადგილზე დაქვეითებას გადაურჩნენ, რადგან „კოტბუსმა", მართალია, „ლევერკუზენთან" უჩვეულოდ კარგად ითამაშა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა. შაბათს, ყველასათვის მოულოდნელად ვერ მოიგო „ჰამბურგმა" (ფრე ჰანოვერთან) და ამით ჩემპიონობისთვის ბრძოლას ამ ეტაპზე გამოეთიშა.

ბუნდესლიგის მეორე წრე პარასკევს, როსტოკის „ჰანზასა" და „ბაიერნის" დაპირისპირებამ გახსნა. რეკორდმაისტერს სამი ქულის მოპოვება რომ არ უნდა გასჭირვებოდა, ეს ისედაც ფაქტი იყო, მაგრამ ამას ისიც დაემატა, რომ ბავარიელები საკმაოდ მალევე დაწინაურდნენ. FCB-ს პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა, რომელიც **ფრანკ რიბერის** ანგარიშზეა – ფრანგმა გადამწყვეტ მომენტში ტრადიციულად ცივსისხლიანად იმოქმედა და მეკლენბურგელები დასაწყისშივე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. რიბერის საგოლე მომენტი **ზე რობერტომ** და **მიროსლავ კლოზემ** ჩინებული კომბინაციით შეუქმნეს. ამრიგად, რიბერის გოლის შემდეგ როლები განაწილებული იყო: „ბაიერნი" კონტროლიორის რანგში მოგვევლინა, როსტოკელები კი უიმედოდ იყვნენ. ტაიმის მიწურულს **ლუკა ტონიმ** სხვაობა ორამდე გაზარდა და ამრიგად, შესვენებაზე ეჭვი ალარავის ეპარებოდა იმაში, რომ ბავარიელებს 3 ქულა ჯიბეში ედოთ. მეორე ტაიმი კი, მიუნხენელებმა მოულოდნელად ინერტულად დაიწყეს, თითქოს ეგონათ, რომ საქმე მოთავებული ჰქონდათ, რისთვისაც მალევე დაისაჯნენ. 52-ე წუთზე **ენრიკო კერნის** მიერ გატანილმა გოლმა როსტოკულ კლუბს იმედი დაუბრუნა. „ბაიერნი" გაშვებული გოლის შემდეგ გამოცოცხლდა და რა გასაკვირია, რომ **ფრანკ პაგელსდორფის** გუნდს ალარ ეყო ძალა, ტექნიკა და უბრალოდ გაქანება იმისათვის, რომ შემოდგომის ჩემპიონთან ფრისთვის მიეღწია. თუმცა როსტოკელებს შანსი ჰქონდათ, მაგრამ ზე რობერტომ ბოლო მომენტში **ბარტელსს** ბურთი სუფთად და მოხდენილად ააცალა. საბოლოოდ 2:1, რითაც რეკორდმაისტერმა მდევრებზე ზეწოლა გაზარდა.

...და შაბათს, „ჰამბურგმა" ამ ზეწოლას ვერ გაუძლო. ექსპერტებმა **ჰუუბ სტევენსის** გუნდი „ვერცხლის სინისტვის" ბრძოლაში ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხეს, მაგრამ მეორე წრის პირველი მატჩით თუ ვიმსჯელებთ, HSV-ს პრობლემები აქვს. მოკლედ, ჩრდილოეთის მცირე დერბიში გამარჯვებულინ არ გამოვლინდა – „ჰანოვერმა" „ჰამბურგს" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. „წითლები" 41-ე წუთზე **ჟაბოლჩ ჰუშტის** მიერ გატანილი პენალტით დაწინაურდნენ და 71-ე წუთამდე იგებდნენ. აქ კი, სტევენსის გუნდმა მეტწილად კლასის ხარჯზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება – გოლი **ივიცა ოლიჩის** ანგარიშზეა. გამარჯვებული არ გამოვლინდა, მაგრამ „AOL-არენაზე" შეკრებილმა ქომაგებმა ძალიან საინტერესო დაპირისპირება იხილეს, სადაც გამარჯვებას ოდნავ უფრო მეტად „ჰამბურგი" იმსახურებდა.

„ჰამბურგის" ნაფორხილებით „ლევერკუზენმა" იხეირა – „ფარმაცევტებმა" დრამატულ ბრძოლაში „კოტბუსი" დაამარცხეს და მესამე ადგილზე წამოსკუპდნენ. დრამატიზმში კი იმას ვგულისხმობთ, რომ „ლევერკუზენმა" თამაში ორჯერ შეატრიალა თავის სასარგებლოდ. თავიდან კოტბუსელები დაწინაურდნენ და უნდა ალინიშნოს, რომ გოლი **პაპადოპულოსის** ანგარიშზეა, რომელიც „ენერგიში" სწორედ „ბაიერიდან" (არენდით) გადავიდა. ამრიგად, ამ უკანასკნელმა თავის ყოფილ კლუბს გაუტანა. პირველი ტაიმი **ბოიან პრასნიკარის** გუნდმა მოიგო, ლევერკუზენელებმა კი მეორე ტაიმში ამოისუნთქეს. ჯერ იყო და **სიმონ როლფესმა** წონასწორობა ალადგინა, მერე კი, შეცვლაზე შესულმა **დმიტრი ბულიკინმა** სულაც დააწინაურა „ბაიერი". **მიხაელ სკიბემ** რუსი თავდამსხმელი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩართო – ბულიკინმა გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **თეოფანის გეკასი** შეცვალა. „კოტბუსმა" ანგარიში მაინც გაათანაბრა (**ბასილა**), მაგრამ ლევერკუზენელებმა კიდევ ერთხელ მოიკრიბეს ძალები და სტადიონ „ფროინდშაფტიდან" მეტად საჭირო 3 ქულა წაიღეს – გამარჯვების გოლი როლფესის ანგარიშზეა (პენალტით). ამრიგად, გერმანიის ნაკრების კანდიდატმა დუბლი გააფორმა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსაჯმა **ლუტც ვაგნერმა** „ენერგის" 2 გოლი არ ჩაუთვალა, რითაც „ფროინდშაფტის" პუბლიკა ალაშფოთა. მეორე მომენტში კოტბუსელი **სკელა** მართლაც თამაშგარე მდგომარეობაში იყო, პირველი ეპიზოდი კი სადაო გახლდათ.

ბევრი ფიქრობდა, რომ „კარლსრუე" მეორე წრეს წარუმატებლად დაიწყებდა. ამ მოსაზრებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მათ შორის, მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ ბადენელთა მეტოქე „ნიურნბერგი" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მაგრამ **ედე ბეკერის** გუნდმა **ჰანს მაიერის** კოლექტივს თამაშითაც აჯობა და მოუგო კიდეც (2:0). ბადენელებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში და კერძოდ მას მერე გაიტანეს, რაც „ნიურნბერგი" კაცნაკლული დარჩა – 57-ე წუთზე მსაჯმა მოედნიდან ფრანკების მცველი **ვოლფი** გააძევა. მატჩის გმირი კი „კარლსრუეს" ახალწვეული, ცენტრფორვარდი **იოშუა კენედი** გახდა და უპრიანია, შევახსენოთ, რომ ეს ფეხბურთელი ბადენელებმა სწორედ „ნიურნბერგიდან" გადაიბირეს. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ კენედი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობდა. იოშუამ ჯერ მარცხენა მცველ **აიხნერს** გაატანინა, მერე კი თვითონაც იხეირა. „ნიურნბერგის" შემადგენლობაში საკმაოდ კარგად ითამაშა **იან კოლერმა**, მაგრამ მისი გარჯა შედეგის მისაღწევას საკმარისი არ აღმოჩნდა.

მესამე გუნდი, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ძალიან სერიოზულად ემუქრება, „დუისბურგი" გახლავთ. „ზებრები" „დორტმუნდს" მასპინძლობდნენ და მიმდინარე სეზონში რიგით მეხუთე გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყვნენ (3:1-ს იგებდნენ), მაგრამ მერე „ბორუსიის" თავკაცმა **თომას დოლმა** მოედანზე **დიეგო კლიმოვიჩი** შეიყვანა, რომელმაც დუბლი შეასრულა და BVB-ს ქულა გადაურჩინა. დოლმა მეორე ტაიმში თამაშში გამოჯანმრთელებული **ალექს ფრაიც** ჩართო, რომელიც ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ტურის გმირი ულაპარაკოდ **მარტინ ფენინია** – „აინტრახტის" თავდამსხმელი, რომელიც ფრანკფურტელებმა ცოტა ხნის წინ 5 მილიონ ევროდ იყიდეს. ფენინი რომ დიდი ტალანტია, ეს ისედაც ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ მოელოდა იმას, რომ ჩეხი პირველსავე მატჩში ჰეთ-თრიკს შეასრულებდა. მოკლედ, „აინტრახტმა" ბერლინის უსირცხვილო „ჰერტა" სტუმრად 3:0 გაანადგურა და სამივე გოლი ფენინის ანგარიშზეა, რომელმაც უკვე დაიპყრო ფრანკფურტელი ქომაგების გულები. ბილეფელდის „არმინიისა" და „ვოლფსბურგის" შეხვედრის ბედი კი **გრაფიტეს** გოლმა გადაწყვიტა – „მგლებმა" მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე წრე შესანიშნავად დაიწყეს.

გუშინ, ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მოქმედი ჩემპიონები დაეცნენ. დაეცნენ და მერე როგორ – 1:4 გელზენკირხენში! დასკვნა: ასეთი „შალკე" ძალიან საშიშია! **ლევან კობიაშვილის** გუნდმა "შტუტგარტს" არაფერი გააბედინა. ჩინებული გახლდათ კობიც, რომელმაც ამჯერად შემტევი ნახევარმცველის, ფაქტობრივად მარცხენა თავდამსხმელის პოზიციაზე (სასტარტოდან **პეტერ ლოვენკრანდსი** ამოაგდო) თამაშობდა და რამდენიმე მომენტში ცენტრფორვარდის პოზიციაზეც აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ქართველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო! გოლები კი **კევინ კურანიმ** (დუბლი), **ჰაიკო ვესტერმანმა** და „შალკეს" ახალწვეულმა **ზე რობერტომ** გაიტანეს. ბრაზილიელს სულ რაღაც 1 წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ ბუნდესლიგაში გოლთა აქტივი გაეხსნა. აქვე გეტყვით, რომ კურანიმ მეორე გოლი აკრძალული ჟესტით აღნიშნა – მაისური გაიხადა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ეს მისთვის მე-5 გაფრთხილება გამოდგა, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ კურანი მომდევნო ტურში, რურის დიდ დერბიში (დორტმუნდში) ვერ ითამაშებს! მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე წრე თამაშის ხარისხისა და შედეგის მხრივ, ყველაზე უკეთ „შალკემ" დაიწყო.

აბსოლუტურად საპირისპირო რამ უნდა ვთქვათ ვერდერზე, რომელმაც გუშინ დიდი სირცხვილი ჭამა. ბრემენელები საკუთარ მოედანზე „ბოხუმთან" 1:2 დამარცხდნენ, თანაც ისე, რომ პირველი ტაიმი 1:0 მოიგეს, მეორეში კი ორი ბურთი გაუშვეს. ჰო, 70-ე წუთიდან „ვერდერი" კაცნაკლული იყო (**ნალდო** გააძევეს), მაგრამ ეს ფაქტი „მუსიკოსთა" მარცხს ვერანაირად ვერ გაამართლებს...

### მომდევნო ტური

8 თებერვალი. **აინტრახტი-არმინია.**
9 თებერვალი. **ლევერკუზენი-ჰამბურგი, შტუტგარტი-ჰერტა, ბოხუმი-კოტბუსი, ჰანოვერი-კარლსრუე, ნიურნბერგი-ჰანზა, ვოლფსბურგი-დუისბურგი.**
10 თებერვალი. **ბორუსია (დ)-შალკე, ბაიერნი-ვერდერი.**

### ჰანზა-ბაიერნი 1:2

**ჰანზა:** ვეხტერი-3, დ. ლანგენი-4, ორესტესი-4.5, მ. შტაინი-3.5, რათგები-3.5, ბარტელსი-4, კერნი-3, იელენი-3 (83. დორნი), რანი-4 (83. ცეტკოვიჩი), აგალი-4.5 (88. ჰენგე).

**ბაიერნი:** კანი-3, სანიოლი-4, ლუსიო-3, დემიკელისი-3, ლამი-4, ვან ბომელი-2.5, ზე რობერტო-3, სოსა-4, რიბერი-3 (46. ჰამით ალთინთოფი-4), კლოზე-4 (77. ოტლი), ტონი-2.5.

**გოლები:** 0:1 რიბერი (10), 0:2 ტონი (42), 1:2 კერნი (52).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 9-17; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 22-23; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 29 000.

### ჰერტა-აინტრახტი 0:3

**ჰერტა:** დრობნი-3.5, ჩაჰედი-5 (72. პიეჩეკი), შიმუნიჩი-4, ფათი-4.5, ბილერი-4.5, დარდაი-4, კაჩარი-5 (63. არგუესი-4.5), ებერტი-4.5, ედე-4.5 (68. ოკორონკვო-4), რაფაელი-5.5, პანტელიჩი-3.5.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3, პ. ოხსი-21.5, გალინდო-4, კირიაკოსი-3, შპიხერი-2.5, კრისი-2.5, მ. ფინკი-2.5 (89. რუსი), კიოლერი-2.5, ვაისენბერგერი-2.5 (75. მაჰდავიკია), ფენინი-1, ამანატიდისი-1.5.

**გოლები:** 0:1 ფენინი (39), 0:2 ფენინი (60), 0:3 ფენინი (90).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 11-22; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 19-17; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 40 000.

### დუისბურგი-ბორუსია (დ) 3:3

**დუისბურგი:** ბოიკერტი-2, ლამეი-4.5, ფილიპესკუ-4.5, შლიკე-4.5, ვილი-2.5 (59. ვებერი-5), ტარარაჩე-3.5, გრლიჩი-2, გეორგიევი-4, ტიფერტი-4.5 (87. ვრუჩინა), ლავრიჩი-4, ნიკულესკუ-4 (76. მიოლდერსი).

**ბორუსია (დ):** ციგლერი-4, რუკავინა-2.5, ამედიკი-3, ვიორნსი-3.5, დედე-4 (62. ბაკლი-4.5), კელი-2.5, კრინგე-4 (65. კლიმოვიჩი-2), ტინგა-3.5, ფედერიკო-2.5, ვალდესი-5 (65. ფრაი-3.5), პეტრიჩი-3.5.

**გოლები:** 1:0 ფილიპესკუ (18), 2:0 ვილი (30), 2:1 კელი (51), 3:1 ტარარაჩე (59), 3:2 კლიმოვიჩი (68), 3:3 კლიმოვიჩი (92).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 15-21; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 20-25; **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 29 120.

### არმინია-ვოლფსბურგი 0:1

**არმინია:** ჰაინი-3.5, კირხი-4, მიატოვიჩი-4.5 (60. ბოლმანი-4), კუჩერა-4.5, შულერი-5, კაუფი-3.5, ტ. მარქსი-4.5, კამპერი-4.5, ნკოსი-5, ბიომე-4.5 (46. აიგლერი-4.5), ვიხნიარეკი-4.5.

**ვოლფაბუსრგი:** ბენალიო-3.5, რიტერი-3.5, შიმუნეკი-3, მადლუნგი-3, კარიმოვი-4, გენტნერი-3.5, ჟოსუე-4 (46. ჰასებე-3.5), სანტანა-2.5, მარსელინიო-2.5 (88. დეჟაგა), ჯეკო-4, გრაფიტე-2.5 (61. ლიუბოჟა-3).

**გოლი:** 0:1 გრაფიტე (27).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15-11; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 7-22; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 18 100.

### ჰამბურგი-ჰანოვერი 1:1

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2.5, დემელი-4.5, კომპანი-3, მატიისენი-2.5, ჯ. ბოატენგი-3 (77. ბენჯამინი), იაროლიმი-4.5 (46. ბ. რაინჰარდტი-3), დე იონგი-4.5, ჩუპო-მოტინგი-4.5 (59. გერერო-3), ტროხოვსკი-4, ვან დერ ვაარტი-4, ოლიჩი-3.

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-3.5, ფარენჰორსტი-3.5, ვინიციუსი-4, კ. შულცი-2.5, ლალა-3.5, ბალიტში-4 (69. როზენტალი-4), შტაინერი-3 (75. ს. პინტუ), ბრუგინკი-4, ჰუშტი-2 (87. ლაუთი), ჰანკე-4.5.

**გოლები:** 0:1 ჰუშტი (41-პენ), 1:1 ოლიჩი (71).

**გაძევება:** ს. პინტუ (90. ჰანოვერი).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 12-17; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 24-18; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 57 000.

### კარლსრუე-ნიურნბერგი 2:0

**კარლსრუე:** მ. მილერი-2.5, ა. გიორლიტცი-3, ფრანცი-2.5, ეგიმანი-3, აიხნერი-2, მუტცელი-3, ადუბე-3.5, ტიმი-4, ჰაინალი-2.5 (90. შტაფელდტი), იაშვილი-3 (88. ფრაისი), კენედი-2.5 (84. კაპლანი).

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი-2.5, დ. რაინჰარდტი-5, ა. ვოლფი-4.5, გლაუბერი-4 (75. ნ. ადლერი), პინოლა-4, გალაშეკი-3.5, კლუგე-3.5 (25. რ. შმიდტი-5), ხარისტეასი-5, მინტალი-4.5 (61. ბოშამი-4.5), ენგელჰარდტი-3.5, კოლერი-3.5.

**გოლები:** 1:0 აიხნერი (66), 2:0 კენედი (74).

**გაძევება:** ა. ვოლფი (57. ნიურნბერგი).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 13-19; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 15-21; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 29 000.

### კოტბუსი-ლევერკუზენი 2:3

**კოტბუსი:** ტრემელი-3, იპსა-3.5, მიტრესკი-3, კვიტანოვიჩი-4, ს. ანგელოვი-5, ბასილა-3, ვასილიევიჩი-5 (63. რივიჩი-4.5), ტ. როსტი-4 (89. ალონეფტისი), სკელა-3, პაპადოპულოსი-2.5 (70. იელიჩი), დ. სიორენსენი-3.5.

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-4, კასტრო-2.5, მ. ფრიდრიხი-3.5, კალსენ-ბრაკერი-4.5, გრეშკო-3.5, ბარნეტა-1.5 (92. ვიდალი), როლფესი-2, ბ. შნაიდერი-3 (81. შვეგლერი), ბარბარესი-3.5, კისლინგი-4, გეკასი-5.5 (46. ბულიკინი-2.5).

**გოლები:** 1:0 პაპადოპულოსი (15), 1:1 როლფესი (59), 1:2 ბულიკინი (69), 2:2 ბასილა (77), 2:3 როლფესი (86-პენ).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 6-13; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 15-17; **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 13 000.

### შალკე-შტუტგარტი 4:1

**შალკე:** ნოიერი-4, რაფინია-2, ბორდონი-3.5, კრსტაიჩი-3, ვესტერმანი-1.5, ჯონსი-3, ფ. ერნსტი-3.5, რაკიტიჩი-1.5 (90. ზე რობერტო II), კობიაშვილი -3.5, ასამოა-3.5 (86. სანჩესი), კურანი-2 (77. ლარსენი).

**შტუტგარტი:** რ. შეფერი-4.5, ბეკი-5.5, მეირა-4.5, დელპიერი-5, ტრეში-5.5 (59. მანინი-3.5), ხედირა-4, ჰილბერტი-5.5 (46. ა. და სილვა-3), ჰიტცლშპერგერი-4.5, ბაშთურქი-5, მარიკა-4.5, გომესი-5.

**გოლები:** 1:0 კურანი (32), 2:0 კურანი (62), 2:1 ა. და სილვა (61), 3:1 ვესტერმანი (76), 4:1 ზე რობერტო II (91).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12-12; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 25-24; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 61 482.

### ვერდერი-ბოხუმი 1:2

**ვერდერი:** ვიზე-4, პასანენი-5.5, მერტეზაკერი-4.5, ნალდო-5.5, ტოშიჩი-4.5, ბაუმანი-4, დ. იენსენი-3.5, ბოროვსკი-5, დიეგო-4, როზენბერგი-5, ჰანტი-4.

**ბოხუმი:** ლასტუვკა-3.5, პფერტცელი-2.5, მალტრიტცი-3, იაჰია-2, ბიონივი-3.5 (88. დრშეკი), იმჰოფი-4, ჟდებელი-3.5 (75. ო. შრიოდერი), დაბროვსკი-3, აზაუაგი-4 (67. ონო-3.5), სესტაკი-3, აუერი-2.

**გოლები:** 1:0 დ. იენსენი (44), 1:1 აუერი (68), 1:2 იაჰია (84).

**გაძევება:** ნალდო (70. ვერდერი).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 20-8; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 21-24; **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 37 149.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 11 | 6 | 1 | 33-9 | 39 |
| 2. ვერდერი | 18 | 11 | 3 | 4 | 43-26 | 36 |
| 3. ლევერკუზენი | 18 | 10 | 3 | 5 | 35-18 | 33 |
| 4. ჰამბურგი | 18 | 9 | 6 | 3 | 25-14 | 33 |
| 5. შალკე | 18 | 8 | 8 | 2 | 30-18 | 32 |
| 6. კარლსრუე | 18 | 9 | 4 | 5 | 21-21 | 31 |
| 7. ჰანოვერი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-29 | 28 |
| 8. აინტრახტი | 18 | 6 | 8 | 4 | 22-23 | 26 |
| 9. შტუტგარტი | 18 | 8 | 1 | 9 | 25-29 | 25 |
| 10. ვოლფსბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 31-30 | 23 |
| 11. ბოხუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 27-28 | 22 |
| 12. ბორუსია (დ) | 18 | 6 | 4 | 8 | 29-33 | 22 |
| 13. ჰერტა | 18 | 6 | 2 | 10 | 19-27 | 20 |
| 14. არმინია | 18 | 5 | 3 | 10 | 19-39 | 18 |
| 15. ჰანზა | 18 | 5 | 2 | 11 | 17-28 | 17 |
| 16. ნიურნბერგი | 18 | 4 | 3 | 11 | 21-30 | 15 |
| 17. კოტბუსი | 18 | 3 | 6 | 9 | 19-30 | 15 |
| 18. დუისბურგი | 18 | 4 | 2 | 12 | 17-29 | 14 |

**ბომბარდირები:** 10 – ტონი (ბაიერნი); 9 – დიეგო (ვერდერი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), კლოზე (ბაიერნი); 8 – სესტაკი (ბოხუმი), პეტრიჩი (ბორუსია დ), ოლიჩი (ჰამბურგი), ჰანკე (ჰანოვერი), გეკასი (ლევერკუზენი), კურანი (შალკე); 7 – პანტელიჩი (ჰერტა), ვიხნიარეკი (არმინია), უგო ალმეიდა (ვერდერი), სანოგო (ვერდერი), ჰუშტი (ჰანოვერი), გომესი (შტუტგარტი.

### II ბუნდესლიგა

XVIII ტური

**ბორუსია (მ)-კაიზერსლაუტერნი 1:1**

გოლები: 1:0 რიოსლერი (1), 1:1 რანსტრიომი (90).

**ვეენი-ჰოფენჰაიმი 0:2**

გოლები: 0:1 სალიჰოვიჩი (10), 0:2 ბა (17).

**კიოლნი-ზტ. პაული 1:1**

გოლები: 0:1 მეგლე (45), 1:1 ჩიჰი (84).

**კობლენცი-მაინცი 1:1**

გოლები: 0:1 სუბოტიჩი (10), 1:1 მ. ჰარტმანი (36).

**მიუნხენი-აუგსბურგი 0:3**

გოლები: 0:1 თურკი (43), 0:2 ვენცელი (52), 0:3 თურკი (62).

**ფიურტი-აუე 2:0**

გოლები: 1:0 რაიზინგერი (14), 2:0 კოსი (29-საკ. კარში).

**ოფენბახი-პადერბორნი 2:1**

გოლები: 1:0 ბანჩე (12), 2:0 ტიურკერი (24), 2:1 კ. მიულერი (42-საკ. კარში).

**ფრაიბურგი-ოსნაბრიუკი 1:1**

გოლები: 1:0 პიტროიპა (28), 1:1 რაიხენბერგერი (33).

**კარლ ცაისი-ალემანია დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 18 | 10 | 7 | 1 | 37-19 | 37 |
| 2. მაინცი | 18 | 9 | 5 | 4 | 32-17 | 32 |
| 3. ფიურტი | 18 | 9 | 5 | 4 | 31-21 | 32 |
| 4. კიოლნი | 18 | 9 | 4 | 5 | 33-24 | 31 |
| 5. ფრაიბურგი | 18 | 8 | 7 | 3 | 28-21 | 31 |
| 6. მიუნხენი | 18 | 7 | 7 | 4 | 29-21 | 28 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 7 | 5 | 26-27 | 25 |
| 8. აუგსბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 26-28 | 23 |
| 9. ვეენი | 18 | 5 | 8 | 5 | 26-28 | 23 |
| 10. კობლენცი | 18 | 5 | 8 | 5 | 22-26 | 23 |
| 11. ზტ. პაული | 18 | 6 | 5 | 7 | 21-25 | 23 |
| 12. ალემანია | 17 | 5 | 6 | 6 | 22-23 | 21 |
| 13. ოსნაბრიუკი | 18 | 5 | 6 | 7 | 16-33 | 21 |
| 14. ოფენბახი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-30 | 21 |
| 15. კაიზერ. | 18 | 3 | 7 | 8 | 18-22 | 16 |
| 16. აუე | 18 | 4 | 4 | 10 | 21-32 | 16 |
| 17. კარლ ცაისი | 17 | 3 | 4 | 10 | 23-33 | 13 |
| 18. პადერბორნი | 18 | 1 | 9 | 8 | 11-21 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 – ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 13 – რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი); 10 – ფრინდი (ბორუსია მ); 9 – რაიზინგერი (ფიურტი), ბორხა (მაინცი); 7 – გუნკელი (მაინცი), ნოივილი (ბორუსია მ), რიოსლერი (ბორუსია მ), დი სალვო (მიუნენი); 6 – კოპადო (ჰოფენჰაიმი), ობასი (ჰოფენჰაიმი), ჰელმესი (კიოლნი), გიოქთანი (მიუნხენი), ტიურკერი (ოფენბახი).

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXII ტური

# პრიმერას ინტრიგა დაუბრუნდა

## ბარსა კინაღამ წყალმა წაიღო. კატალონიელებს თავსხმა წვიმაში ოსასუნას დამარცხება გაუ□ირდათ



ალმერიამ ჩემპიონატს ინტრიგა შეუნარჩუნა

მადრიდის "რეალმა" "სანჩეს პისხუანზე" გამართული შეხვედრის შემდეგ პრიმერა დივიზიონში პირველად წააგო. იმ დღიდან ზუსტად სამი თვე გავიდა. ანდალუსიელებმა 2007 წლის 3 ნოემბერს იყოჩაღეს. შაბათამდე **ბერნდ შუსტერის** ბიჭებს ზედიზედ რვა ორთაბრძოლა ჰქონდათ მოგებული. გარდა ამისა, სამეფო კლუბს ავადსახსენებელი 3 ნოემბრის შემდეგ უგოლოდ მოედანი ერთხელაც არ დაუტოვებიათ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დედაქალაქელებს დებიუტანტ "ალმერიასთან" მატჩში რა თქმა უნდა, უპირობო ფავორიტებად მიიჩნევდნენ, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. ბევრისთვის მოულოდნელად, მასპინძლებმა კარი მშრალად შეინახეს, **კასილიასს** კი ორჯერ შეუგდეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "ალმერიამ" სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. **უნაი ემერის** ბიჭები ნახევარდაცვაში უაღრესად გამართულად თამაშობდნენ და დაცვას საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ. ბუნებრივია, ორ ბურთს ისინი თავდასხმაზე უარის თქმით ვერ შეაგდებდნენ. პრიმერა დივიზიონის დებიუტანტები მრისხანე მეტოქეს არ უშინდებოდნენ და შეტევაში ძალიან თამამად მოქმედებდნენ. ამის წყალობით "ალმერიამ" ზედიზედ მეოთხე პრიმერა დივიზიონური გამარჯვება იზეიმა. შეგახსენებთ, წინა ტურში მათ "მესტალიაზე" ვალენსიას" ძლიეს.

ადრე "რეალის" მიერ ნაგებული შეხვედრების მიმოხილვისას მადრიდელების ცუდ თამაშზე საუბარი გვიწევდა. ამჯერად განსხვავებული სურათია. შუსტერის შეგირდებს ცუდად ნამდვილად არ უასპარეზიათ, მაგრამ მათდა საუბედუროდ "ალმერიამ" გაცილებით უკეთ ითამაშა. მასპინძლებმა პირველივე წუთიდან უდიდესი შემართება, ენთუზიაზმი, მოტივაცია და პასუხისმგებლობა გამოამჟღავნეს. ისინი მადრიდელ მცველებს ბურთისთვის არ ებრძოდნენ. მის ართმევას ალმერიელები მოედნის შუახაზში ინყებდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **გუტი** ამდენ სირთულეს დიდი ხანია არ გადაყრია. მასპინძლებმა მოწინააღმდეგეთა ნახევარდაცვის გაუვნებელყოფა შეძლეს. ამის გამო, **რუუდ ვან ნისტელროი** და **რაული** ფაქტობრივად, უბურთოდ დარჩნენ. მართალია, მათ რამდენჯერმე ჰქონდათ თამაშის გამწვავების შანსი, მაგრამ მთლიანობაში "რეალის" მრისხანე ფორვარდები გუნდს მოწყვეტილები იყვნენ. ალმერიელთაგან განსაკუთრებით **ფელიპე მელო** გამოირჩეოდა. მისი გასაოცარი თამაშის წყალობით მასპინძლებმა შუახაზში სერიოზული უპრატესობა მოიპოვეს. აქტიურად მოქმედებდნენ განაპირა ნახევარცველები... და რაც მთავარია, **ნეგრედო** თავდასხმაში იმდენად სახიფათო გახლდათ, რომ სამეფო კლუბის მცველები მის წინააღმდეგ ბრძოლამ ენაამოგდებულ ძაღლებად აქცია. **სერხიო რამოსმა** პრესკონფერენციაზე აღიარა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ნეგრედო ასეთი ძლიერი ფეხბურთელი თუ იყოო. "ალმერიამ" ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა. **ფაბიო კანავარომ** შეცდომა დაუშვა და ხუანიტომ კასილიასს შანსი არ დაუტოვა. წინ გასვლით ანდალუსიელებმა ძალიან გაიხარეს და მომდევნო წუთებიც შეტევაში გაატარეს. მადრიდელები კი მოულოდნელმა გოლმა უკიდურესად დააბნია. ისინი ძირითადად გრძელი გადაცემებით ცდილობდნენ თამაშის გამწვავებას, მაგრამ ეს ტაქტიკა განწირული აღმოჩნდა. რაული და ვან ნისტელროი ღირებულს კვლავ ვერაფერს აკეთებდნენ. სხვათა შორის, შესვენებამდე მცირე ხნით ადრე ჰოლანდიელმა ტრავმა მიიღო და შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო.

მეორე ტაიმის დასაწყისში კანავარომ "ალმერიას" შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. იტალიელმა მცველმა საჯარიმოში ნეგრედო წესების დარღვევით შეაჩერა. არბიტრმა პენალტი დაუფიქრებლად დანიშნა. 11-მეტრიანი თავად ნეგრედომ შეასრულა და სამეფო კლუბი უმძიმეს სიტუაციაში ჩააყენა.

ბერნდ შუსტერი ჰანდიკაპის ამოქაჩვის მიზნით ვა-ბანკზე წავიდა. მან **მიჩელ სალგადოს** ნაცვლად **ჟულიო ბაპტიშტა** გამოიყვანა. სტუმრებმა უფრო სახიფათოდ შეუტიეს. "ალმერია" გოლს რამდენჯერმე გადაურჩა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ საღამოს "რეალს" არათუ ბაპტიშტა, საერთოდ ვერაფერი უშველიდა. ანდალუსიელთა გამარჯვებაში მათ მეკარეს კოლოსალური ღვაწლი მიუძღვის. ბრაზილიელმა **დიეგო ალვეშმა** რაულსა და **იგუაინს** ეგრეთ წოდებული მკვდარი ბურთები აუღო.

შუსტერი წაგებით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ გერმანელ სპეციალისტს ჯერა, რომ "ალმერიასთან" განცდილი ფიასკო მის შეგირდებს ჭკუის სასწავლებლად გამოადგება: *"წინ უამრავი შეხვედრა გველის. ბიჭები ჭკუას ისწავლიან და მიხვდებიან, რომ ყველაფერი 38-ე ტურის შემდეგ დასრულდება. ეჭვი არ მეპარება, ეს წაგება საუკეთესო გაკვეთილი გახდება ჩვენთვის. გასულ საღამოს ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, პრიმერა დივიზიონმა ინტრიგა დაკარგაო. "რეალმა" "ალმერიასთან" სამი ქულა დაკარგა, ეს კი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ პრიმერა დივიზიონი პლანეტის ყველაზე კონკურენტული ჩემპიონატია. წარუმატებლობის მიუხედავად, ძალიან მშვიდად ვგრძნობ თავს. სამეფო კლუბის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. უწინდებურად გულმოდგიედ ვიმუშავებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პირველობა არავის დავუთმოთ. ვან ნისტელროის სტრავმა, რა თქმა უნდა, უაღრესად უსიამოვნოა, მაგრამ ისეთ გუნდს, როგორიც მადრიდის "რეალია" ყოველთვის უნდა შეეძლოს, ერთი ფეხბურთელის უმტკივნეულოდ შეცვლა. თუნდაც ის რუუდ ვან ნისტელროი იყოს. კაცი, რომელსაც ბევრი გოლი გააქვს. დღეს არაერთი მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ შევაგდეთ. მჯერა, მომდევნო შეხვედრებში უფრო მწვავედ შევუტევთ და ქულებს აღარ დავკარგავთ."*

"ბარსელონამ" "რეალის" წაფორხილებით ისარგებლა და უპირველეს კონკურენტთან არსებული ჩამორჩენა ექვს ქულამდე შეამცირა. კატალონიელებს წინა ტურში "ბილბაოსთან" დაკარგული ქულები ახლა ალბათ, უფრო დიდ ტკივილს მიაყენებს. მაშინ **ფრენკ რაიკაარდის** ბიჭებს საქმე გამარჯვებამდე რომ მიეყვანათ, ახლა სხვაობა ოთხი ქულა იქნებოდა. "ბარსას" "ოსასუნას" დამარცხება ძალიან გაუჭირდა. პირველ ტაიმში მასპინძლებლი დიდი ძალებით უტევდნენ. გულშემატკივრებმა არაერთი ლამაზი ეპიზოდი იხილეს, მაგრამ **რიკარდოს** კარის დალაშქვრა მაინც ვერ მოხერხდა. არადა, მასპინძლები გოლის გატანას აშკარად იმსახურებდნენ.

შესვენების შემდეგ კატალონიური გრანდი თითქოს სულ სხვა გუნდად გადაიქცა. "ოსასუნა" დაცვაში პრაქტიკულად 11 კაცით ასპარეზობდა. სტუმრები კონტრიერიშებსაც ძალიან იშვიათად აწყობდნენ. რაიკაარდის ბიჭებმა კი სისწრაფე დაკარგეს და გულშემატკივრები ძალიან ანერვიულეს. მასპინძელთა დამრიგებელმა შოკისმომგვრელი შეცვლები გააკეთა. მაშინ, როცა გუნდს გოლი სჭირდებოდა, ჯერ **ანრი** გაიყვანა, შემდეგ კი **მესის** დაატოვებინა მოედანი. გასაგებია, რომ ერთდროულად ხუთი ფორვარდით თამაში იდიოტობა იქნებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, მესისა და ანრის მოხსნით გუნდმა შეტევაში ძალა დაკარგა. იქნებ ბოიანის გაყვანა უკეთესი ყოფილიყო?! კატალონიელთა საბედნიეროდ, შეცვლაზე შესულმა **ჯოვანი დოს სანტოსმა** დამაჯერებლად ითამაშა. მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებს წარმოუდგენლად გაუმართლათ. გამარჯვების გოლი მათ საფინალო სასტვენამდე ორიოდ წუთით ადრე შეაგდეს. მანამდე ისინი უსახურად უტევდენ და რიკარდოს კართან სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდნენ. "ბარსას" რაიკაარდის მიერ ბოლო დროს მივიწყებულმა **ჩავიმ** უშველა. ერნანდესმა შორეული დარტყმით "ოსასუნას" მეკარისგან დაუცველ კუთხეში გაიტანა.

"ვალენსიამ" მოუგებელი ცხრატურიანი სვლის შემდეგ პირველად გაიმარჯვა. გასული კვირა "ღამურებისთვის" ძალიან წარმატებული გამოდგა. ვალიადოლიდურ დაპირისპირებას "ატლეტიკოსთან" სათასო შეხვედრა უძღვოდა. მართალია, **რონალდ კუმანის** ბიჭებმა "ვისენტე კალდერონზე" 2:3 წააგეს, მაგრამ მოწინაალმდეგის მოედანზე გატანილი ბურთების წყალობით ნახევარფინალში გაალწიეს. გუშინდელ მატჩში ინიციატივას "ვალიადოლიდი" ფლობდა. კასტილიელები დიდი ძალებითაც უტევდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის კონტრიერიშების გაუვნებელყოფას ვერ ახერხებდნენ. სწორედ ამის გამო **მატამ** და **ვილიამ** ისინი ქულების გარეშე დატოვა.

"ატლეტიკო" კვლავ კრიზისშია. მადრიდელებს მეორე წრეში ერთხელაც არ მოუგიათ. ორი წაგება და ერთი ფრე - ასეთია მათი მონაგარი. მრავალი სირთულის მიუხედავად, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ "როხიბლანკო" საკუთარ მოედანზე "მურსიას" ვერ გაუსწორდებოდა. თუმცა რომელ გამარჯვებაზეა საუბარი, როცა მასპინძლები წაგებას გადაურჩნენ. **ხოფრეს** მიერ რეალიზებული პენალტის შემდეგ დედაქალაქელებს მღელვარება დაეტყოთ. ისინი უამრავ შეცდომას უშვებდნენ. თითქოს, **აგირეს** ბიჭები სრულიად უძლურნი იყვნენ, მაგრამ "ატლეტიკოს" მხსნელად **ლუის გარსია** მოევლინა. მასპინძლეთა ფორვარდმა უმნიშვნელოვანესი გოლი შეცვლაზე შესვლიდან 6 წუთში გაიტანა.

**ხავიერ ირურეტამ** "სარაგოსას" მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვება იზეიმა. აღსანიშნავია, რომ ბასკმა სპეციალისტმა ამ წარმატებას მისი მშობლიური "ბილბაოს" წინააღმდეგ მიაღწია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ "სარაგოსას" პრიმერა დივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ჰყავს. **დიეგო მილიტო** კვლავ სახიფათოდ უტევდა. არგენტინელს კვირას არ გაუმართლა და მხოლოდ ძელის შეზანზარებას დასჯერდა. სამაგიეროდ, **რიკარდუ ოლივეირამ** იყოჩაღა. ბრაზილიელმა არაგონულ კლუბს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა შემატა, საბრალო **არმანდოს** კი სადებიუტო მატჩი ჩააშხამა. ხაზი უნდა გაესვას მეკარეების ფანტასტიკურ თამაშს. არმანდო მხოლოდ ოლივეირას ვერ გაუმკლავდა. "ბილბაოს" გოლკიპერმა მანამდე მრავალი სახიფათო დარტყმა მოიგერია. მისმა ვიზავიმ, **სესარ სანჩესმა** კი 86 წუთზე "სარაგოსა" 100-პროცენტიანი გოლისგან იხსნა.

### მომდევნო ტური

10 თებერვალი. **სევილია-ბარსელონა, ოსასუნა-სარაგოსა, ბილბაო-ლევანტე, რასინგი-ატლეტიკო, მურსია-ვილიარეალი, მალიორკა-ალმერია, რეალი-ვალიადოლიდი, ვალენსია-ბეტისი, დეპორტივო-ხეტაფე, ესპანიოლი-რეკრეატივო.**

### ალმერია-რეალი 2:0

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, კარლოს გარსია, პულიდო, მანე, ხუანიტო, ფელიპე მელო, კრუსატი, ხუანმა ორტისი (81. სორიანო), კორონა (65. ორტისი), ნეგრედო (79. კალუ უჩე).

**რეალი:** კასილიასი, კანავარო, სერხიო რამოსი, ტორესი, მიჩელ სალგადო (64. ჟოაო ბაპტიშტა), გუტი, დიარა, სნეიდერი (76. ბალბოა), რობინიო, რაული, ვან ნისტელროი (46. იგუაინი).

**გოლები:** 1:0 ხუანიტო (15), 2:0 ნეგრედო (46-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 13(4)-18(7); **კუთხური:** 7-8; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 20-14; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 20 000

### ბეტისი-დეპორტივო 0:1

**ბეტისი:** რიკარდო, დამია, მელი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, არსუ, რივერა (46. ჩისკო), კაფა (46. მარკ გონსალესი), ედუ, პავონე, კაპი (78. სობისი).

**დეპორტივო:** ფაბრი, მანუელ პაბლო, ლოპო, პაბლო ამო, კოლოჩინი, ფილიპე ლუისი, დე გუსმანი, ხუან როდრიგესი, გუარდადო (12. ვერდუ), ანტონიო ლოპესი (84. სერხიო), ჩისკო (62. ბოდიპო).

**გოლი:** 0:1 პაბლო ამო (34)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 10(1)-12(5); **კუთხური:** 7-6; **თამაშგარე:** 0-8; **ჯარიმა:** 17-13; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 28 000

### სარაგოსა-ბილბაო 1:0

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, აიალა, სერხიო, ხუანფრანი, ლუქსენი, სელადესი (60. საპატერი), გაბი (71. მუნიოსი), სერხიო გარსია, დიეგო მილიტო, რიკარდო ოლივეირა (81. პარედესი).

**ბილბაო:** არმანდო, ირაოლა, ამორებიეტა, კოიკილი (71. სუსაეტა), აიტორ ოსიო, ხავი მარტინესი, იესტე, დავიდ ლოპესი, მუნიოსი, გარმენდია (60. აიტორ რამოსი), ადურისი (46. ლორენტე)

**გოლი:** 1:0 რიკარდო ოლივეირა (27)

**გაძევება:** აიტორ ოსიო (90+4)

**გაფრთხილება:** 2-6; **დარტყმა:** 11(2)-11(4); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 19-15; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 34 000

### ლევანტე-რასინგი 1:1

**ლევანტე:** კუიოვიჩი, დესკარგა, ხოსე სერანო, ალვარო, დავიდ კასტედო, მიგელ ანხელი, ბერსონი, ხუანმა (80. ეტიენი), კურტუა (80. საული), იბორა (69. პედრო), რიგა.

**რასინგი:** კოლტორტი, სერხიო სანჩესი, ორიოლი, სესარ ნავასი, აიოსე, დუშერი, კოლსა (82. მორატონი), პაბლო ალვარესი (78. ჯონათან ვალე), სერანო (90+1. პინილიოსი), ჩიტე, სმოლიარეკი.

**გოლები:** 1:0 რიგა (57), 1:1 დუშერი (74-პენ)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 8(2)-10(4); **კუთხური:** 6-6; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 19-16; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 12 000

### ატლეტიკო-მურსია 1:1

**ატლეტიკო:** აბიატი, პერეა, პაბლო, პერნია, ელერი (56. ლუის გარსია), მოტა, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი, სიმაო (46. მიგელი), ფორლანი, აგუერო (73. პლებერ სანტანა).

**მურსია:** ნოტარიო, დავიდ ლა კოსი, ოჩოა, პენია, არსო, პაბლო გარსია, რიჩი, დე ლუკასი (90+1. მოვილია), ხოფრე (67. რეგეირო), გოიტომი, ივან ალონსო (81. ინიგო).

**გოლები:** 0:1 ხოფრე (51-პენ), 1:1 ლუის გარსია (62)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 14(3)-8(4); **კუთხური:** 4-3; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 17-28; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 43 000

### ვილიარეალი-მალიორკა 1:1

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გოდინი, გონსალო, კაპდევილა, ბრუნო, კასორლა, ხოსიკო (79. კანი), პირესი (86. ტომასონი), ნიჰათი, როსი (70. ფრანკო).

**მალიორკა:** მოია, ბალესტეროსი, რამისი, ექტორი, სკალონი, ბასინასი, ბორხა ვალერო, იონას გუტიერესი, არაგო, ტუნი (68. იბაგასა), გუისა (90. ნსუე).

**გოლები:** 1:0 როსი (26), 1:1 ბასინასი (38-პენ)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 15(7)-12(4); **კუთხური:** 1-7; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 12-19; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 30 000

### ვალიადოლიდი-ვალენსია 0:2

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, პედრო ლოპესი, რაფა, გარსია კალვო, მარკოსი, ვივარ დორადო, ალვარო რუბიო (75. ოგბეჩე). სისი (61. კომე), კაპდევილა (70. ბორხა), ვიქტორი, ლორენტე.

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, კანეირა, ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, მადურო, მარჩენა, მატა, ხოაკინი (68. არისმენდი), ბანეგა (69. სანი), ვილია (85. ჟიგიჩი).

**გოლები:** 0:1 მატა (59), 0:2 ვილია (71)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 12(6)-4(3); **კუთხური:** 7-1; **თამაშგარე:** 0-3; **ჯარიმა:** 18-23; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 24 000

### რეკრეატივო-სევილია 1:2

**რეკრეატივო:** სორენტინო, მარტინ კასერესი, იაგო ბუსონი, პოლი, ედუ მოია (46. ბეტო), ხესუს ვასკესი, აიტორი, ბარბერი (62. კარლოს მარტინსი), კამუნესი, ხავი გერერო, სინამა პონგოლე (73. ერსენ მარტინი).

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვესი, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა, ადრიანო, პოულსენი, რენატო, დე მული (46. ფასიო), მარესკა (86. დუდა), დიეგო კაპელი (90. ვასკესი), ლუის ფაბიანო.

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (45), 0:2 ლუიშ ფაბიანო (83), 1:2 ბეტო (88)

**გაძევება:** მოსკერა (41. სევილია), ერსენი მარტინი (81. რეკრეატივო)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 12(2)-14(7); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 2-5; **ჯარიმა:** 24-17; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 19 000

### ბარსელონა-ოსასუნა 1:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, ტიურამი, გ. მილიტო, აბიდალი, მარკესი, ინიესტა, დეკუ (82. ჩავი), კრკიჩი, მესი (68. რონალდინიო), ანრი (63. ჯოვანი).

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, კრუჩაგა, მონრეალი, მიგელ ფლანიო (46. ასტუდილიო), ხავი გარსია, პუნიალი (90. პანდიანი), ხუანფრანი, პლასილი, ველა (84. ექტორ ფონტი), სოლა.

**გოლი:** 1:0 ჩავი (88)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 17(6)-10(3); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 18-15; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 79 000

### ხეტაფე-ესპანიოლი 0:1

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, ბელენგერი (79. კეპა), კატა დიასი, ლიხტი, სელესტინი, დე ლა რედი (72. კასკერო), პაბლო ერნანდესი, გავილანი, ალბანი (61. ბრაულიო), მანუ დელ მორალი.

**ესპანიოლი:** კასილა, საბალეტა, ლაკრუსი, ტორეხონი, დავიდ გარსია (38. ჩიკა), დელა პენია, მოისეს ურტადო, რუფეტე, ვალდო (77. რიერა), ლუის გარსია, ჯონათან სორიანო (66. ანხელი).

**გოლი:** 0:1 ჯონათარ სორიანო (16)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 23(6)-6(3); **კუთხური:** 8-3; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 14-15; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 22 | 17 | 2 | 3 | 46-18 | 53 |
| 2. ბარსელონა | 22 | 14 | 5 | 3 | 41-14 | 47 |
| 3. ესპანიოლი | 22 | 11 | 6 | 5 | 32-24 | 39 |
| 4. ვილიარეალი | 22 | 12 | 3 | 7 | 40-34 | 39 |
| 5. ატლეტიკო | 22 | 11 | 5 | 6 | 36-23 | 38 |
| 6. რასინგი | 22 | 9 | 7 | 6 | 23-23 | 34 |
| 7. სევილია | 22 | 10 | 2 | 10 | 41-30 | 32 |
| 8. ალმერია | 22 | 9 | 5 | 8 | 20-21 | 32 |
| 9. ვალენსია | 22 | 9 | 3 | 10 | 24-33 | 30 |
| 10. სარაგოსა | 22 | 7 | 8 | 7 | 35-35 | 29 |
| 11. მალიორკა | 22 | 6 | 9 | 7 | 32-34 | 27 |
| 12. ვალიადოლ. | 22 | 7 | 6 | 9 | 30-34 | 27 |
| 13. ხეტაფე | 22 | 8 | 3 | 11 | 27-31 | 27 |
| 14. ბეტისი | 22 | 6 | 7 | 9 | 23-31 | 25 |
| 15. ბილბაო | 22 | 5 | 8 | 9 | 19-23 | 23 |
| 16. ოსასუნა | 22 | 6 | 5 | 11 | 23-28 | 23 |
| 17. დეპორტივო | 22 | 6 | 5 | 11 | 23-33 | 23 |
| 18. მურსია | 22 | 5 | 8 | 9 | 20-31 | 23 |
| 19. რეკრეატივო | 22 | 5 | 7 | 10 | 18-30 | 22 |
| 20. ლევანტე | 22 | 3 | 4 | 15 | 16-39 | 13 |

**ბომბარდირები:** 17 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 15 - დ. მილიტო (სარაგოსა); 12 - ვან ნისტელროი (რეალი); 11 - ლორენტე (ვალიადოლიდი), გუისა (მალიორკა), როსი (ვილიარეალი), ნიჰათი (ვილიარეალი); 10 - ტამუდო (ესპანიოლი); 9 - რაული (რეალი), აგუერო (ატლეტიკო), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა); 8 - მესი (ბარსელონა), კანუტე (სევილია), რობინიო (რეალი).

### II დივიზიონი

XXIII ტური

**მალაგა-ალავესი** 1:0
გოლი: 1:0 აპონო (65)

**ალბასეტე-ხერესი** 1:0
გოლი: 1:0 ალუსტისა (37)

**კადისი-ტენერიფე** 0:0

**სელტა-კასტელონი** 1:2
გოლები: 0:1 ტაბარესი (8), 0:2 ობერმანი (56), 1:2 ლარენა (77)

**სოსიედადი-ეიბარი** 1:1
გოლები: 0:1 გორია (67), 1:1 დე სერიო (69)

**სევილია A-სალამანკა** 2:1
გოლები: 1:0 სევილია (20), 1:1 ალონსო (66), 2:1 ხუანხო (88)

**სპორტინგი-ლას პალმასი** 0:1
გოლი: 0:1 ადრიანი (57)

**ხიმნასტიკი-კორდობა** 2:2
გოლები: 0:1 არტურო (4-პენ), 1:1 კამპანო (56), 2:1 კამპანო (62), 2:2 ხუანლუ (90)

**ერკულესი-გრანადა** 0:0

**ნუმანსია-ელჩე** 0:1
გოლი: 0:1 მიგელი (4)

**ფეროლი-ეხიდო** 2:0
გოლები: 1:0 ალვარო (61), 2:0 ალვარო (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 23 | 13 | 6 | 4 | 34-19 | 45 |
| 2. ნუმანსია | 23 | 13 | 6 | 4 | 33-19 | 45 |
| 3. სპორტინგი | 23 | 10 | 6 | 7 | 33-23 | 36 |
| 4. ელჩე | 23 | 10 | 6 | 7 | 28-24 | 36 |
| 5. სევილია B | 23 | 9 | 9 | 5 | 25-23 | 36 |
| 6. სელტა | 23 | 9 | 8 | 6 | 32-26 | 35 |
| 7. სოსიედადი | 23 | 9 | 8 | 6 | 25-21 | 35 |
| 8. კასტელონი | 23 | 9 | 7 | 7 | 23-18 | 34 |
| 9. გრანადა | 23 | 9 | 7 | 7 | 27-26 | 34 |
| 10. ტენერიფე | 23 | 7 | 11 | 5 | 28-27 | 32 |
| 11. ერკულესი | 23 | 7 | 9 | 7 | 31-27 | 30 |
| 12. ეიბარი | 23 | 8 | 6 | 9 | 24-29 | 30 |
| 13. სალამანკა | 23 | 7 | 8 | 8 | 29-27 | 29 |
| 14. კადისი | 23 | 8 | 5 | 10 | 21-23 | 29 |
| 15. კორდობა | 23 | 5 | 12 | 6 | 27-32 | 27 |
| 16. ლას პალმასი | 23 | 7 | 5 | 11 | 24-32 | 26 |
| 17. ალავესი | 23 | 6 | 7 | 10 | 24-28 | 25 |
| 18. ხიმნასტიკი | 23 | 5 | 9 | 9 | 24-28 | 24 |
| 19. ალბასეტე | 23 | 6 | 6 | 11 | 17-24 | 24 |
| 20. ფეროლი | 23 | 6 | 5 | 12 | 24-32 | 23 |
| 21. ხერესი | 23 | 4 | 10 | 9 | 26-35 | 22 |
| 22. ეხიდო | 23 | 5 | 6 | 12 | 19-35 | 21 |

## ჰოლანდია

XXIII ტური

**ბრედა-ტვენტე** 1:0

გოლი: 1:0 ცვანსვიიკი (22-პენ)

**ჰერენვეენი-ვიტესი** 7:0

გოლები: 1:0 სულეიმანი (9), 2:0 პრანიჩი (14), 3:0 ბრედლი (50), 4:0 ცუივერლონი (57), 5:0 ბეერენსი (66), 6:0 ბეერენსი (79), 7:0 პრეგერი (82)

**ალკმაარი-ეინდჰოვენი** 0:2

გოლები: 0:1 ლაზოვიჩი (12), 0:2 აფელეი (25)

**ექსელსიორი-გრააფსხაპი** 1:1

გოლები: 0:1 ტარვაირვი (22), 1:1 ლუიქსი (83)

**ჰერაკლესი-ნაიმეგენი** 0:2

გოლები: 0:1 ლენსი (25), 0:2 ლენსი (68)

**აიაქსი-ფეიენოორდი** 3:0

გოლები: 1:0 ჰეიტინგა (8), 2:0 ჰუნტელაარი (45), 3:0 ჰუნტელაარი (90)

**გრონინგენი-როდა** 1:1

გოლები: 1:0 პაუელი (14), 1:1 ოპერი (80)

**უტრეხტი-ვილემი** 2:0

გოლები: 1:0 ვან დენ გუნი (4), 2:0 ნელისე (55)

**სპარტა-ვენლო** 2:0

გოლები: 1:0 პრომესი (45), 2:0 როსე (49)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 23 | 16 | 4 | 3 | 50-17 | 52 |
| 2. აიაქსი | 23 | 12 | 8 | 3 | 60-31 | 44 |
| 3. ჰერენვეენი | 23 | 13 | 4 | 6 | 63-28 | 43 |
| 4. ფეიენოორდი | 23 | 12 | 5 | 6 | 41-23 | 41 |
| 5. გრონინგენი | 23 | 12 | 5 | 6 | 39-36 | 41 |
| 6. ბრედა | 22 | 11 | 5 | 6 | 28-26 | 38 |
| 7. ტვენტე | 23 | 9 | 9 | 5 | 35-23 | 36 |
| 8. უტრეხტი | 23 | 10 | 5 | 8 | 46-38 | 35 |
| 9. როდა | 23 | 9 | 7 | 7 | 39-36 | 34 |
| 10. ვიტესი | 23 | 9 | 5 | 9 | 30-37 | 32 |
| 11. ალკმაარი | 23 | 8 | 5 | 10 | 35-38 | 29 |
| 12. გრააფსხაპი | 23 | 7 | 5 | 11 | 26-42 | 26 |
| 13. ჰერაკლესი | 23 | 6 | 4 | 13 | 22-45 | 22 |
| 14. სპარტა | 22 | 5 | 6 | 11 | 33-49 | 21 |
| 15. ნაიმეგენი | 23 | 5 | 6 | 12 | 23-39 | 21 |
| 16. ვილემი | 23 | 5 | 4 | 14 | 26-31 | 19 |
| 17. ვენლო | 23 | 4 | 7 | 12 | 25-51 | 19 |
| 18. ექსელსიორი | 23 | 4 | 4 | 15 | 26-57 | 16 |

ბომბარდირები: 21 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 17 - ნ'კუფო (ტვენტე); 14 - ნელისე (უტრეხტი); 12 - ბრედლი (ჰერენვეენი), მაკაი (ფეიენოორდი); 11 - აფონსო ალვეში (ჰერენვეენი), კოვერმანსი (ეინდჰოვენი), სუარესი (აიაქსი), დენ ოუდენი (ექსელსიორი), ბერგი (გრონინგენი); 9 - პერესი (აიაქსი), სიბონი (ჰერენვეენი).

### II დივიზიონი

XXVI ტური

კამბური-ცვოლე 1:1; ემენი-ვოლენდამი 2:2; დორდრეხტი-ფორტუნა 1:0; ეინდჰოვენი II-როსენდალი 1:2; ომნივორლდი-ჰელმონდი 3:1; იგლზი-მაასტრიხტი 2:1; ვაალვიკი-ჰაარლემი 2:0; ტელსტარი-ვეენდამი 2:1; ტოპ ოსი-აპელდოორნი 2:0; დენ ჰააგი-დენ ბოში 0:1.

## ბელგია

XX ტური

**გენკი-ბრიუსელი** 1:0

გოლი: 1:0 გონსალესი (32)

**ანდერლეხტი-დენდერი** 1:0

გოლი: 1:0 შატელი (23-პენ)

**მეხელენი-შარლერუა** 1:0

გოლი: 1:0 იმსხოოტი (89)

**მონსი-მუსკრონი** 2:0

გოლები: 1:0 სტოლიკა (69), 2:0 ვ. დალმა (75)

**რუზელარე-გენტი** 0:0

**ვესტერლო-ვარეგემი** 1:1

გოლები: 1:0 მენესი (24), 1:1 როელანდტსი (81)

**სტ. ტრუიდენი-ბრიუგე** 1:1

გოლები: 0:1 ბლონდელი (67), 1:1 კანტალუპი (79)

**ბეერსხოტი-ლოკერენი** 1:1

გოლები: 0:1 გოლანი (34), 1:1 დეედენე (51-პენ)

**სერკლი-სტანდარდი** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 20 | 13 | 6 | 1 | 29-13 | 45 |
| 2. სტანდარდი | 20 | 12 | 8 | 0 | 40-13 | 44 |
| 3. სერკლი | 20 | 12 | 5 | 3 | 46-17 | 41 |
| 4. ბეერსხოტი | 20 | 11 | 4 | 5 | 30-18 | 37 |
| 5. გენტი | 20 | 9 | 7 | 4 | 40-26 | 34 |
| 6. ანდერლეხტი | 20 | 9 | 7 | 4 | 27-20 | 34 |
| 7. გენკი | 20 | 8 | 7 | 5 | 31-30 | 31 |
| 8. ვესტერლო | 20 | 6 | 8 | 6 | 29-20 | 26 |
| 9. ლოკერენი | 20 | 5 | 10 | 5 | 18-19 | 25 |
| 10. ვარეგემი | 20 | 7 | 4 | 9 | 26-35 | 25 |
| 11. შარლერუა | 20 | 7 | 3 | 10 | 22-28 | 24 |
| 12. მუსკრონი | 20 | 6 | 5 | 9 | 23-28 | 23 |
| 13. რუზელარე | 20 | 5 | 7 | 8 | 26-36 | 22 |
| 14. მეხელენი | 20 | 5 | 6 | 9 | 25-32 | 21 |
| 15. დენდერი | 20 | 5 | 4 | 11 | 18-32 | 19 |
| 16. სტ. ტრუიდ. | 20 | 3 | 5 | 12 | 16-35 | 14 |
| 17. მონსი | 20 | 3 | 4 | 13 | 20-34 | 13 |
| 18. ბრიუსელი | 20 | 3 | 2 | 15 | 15-45 | 11 |

ბომბარდირები: 10 - ბარდა (გენკი), დე სუტერი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), დისა (რუზელარე), მალკი (ბეერსხოტი); 9 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), ტომუ (მუსკრონი), რუის გონსალესი (გენტი); 8 - აკპალა (შარლერუა), გომბამი (სერკლი), ლეიე (ვარეგემი), ფოლეი (გენტი).

### II დივიზიონი

XXI ტური

ბევერენი-ნამენი 2:1; ლიერსი-ვაასლანდი 4:2; ოლიმპიკ შარლერუა-გეელი 3:1; ოსტენდე-ჰევერლე 2:1; ტურნე-ვირტონი 2:0; ტუბეკე-ეუპენი 0:0; ტინენი-ანტვერპენი 0:1.

## პორტუგალია

XXVIII ტური

**ამადორა-ბრაგა** 1:1

გოლები: 0:1 ჟორჟინიო (82), 1:1 რეჟესი (90-პენ)

**პორტუ-ლეირია** 4:0

გოლები: 1:0 ბოსინგვა (19), 2:0 ფარიასი (25), 3:0 ლ. ლოპესი (44), 4:0 ფარიასი (63)

**ბენფიკა-ნასიონალი** 0:0

**აკადემიკა-მარიტიმუ** 1:0

გოლი: 1:0 ედგარი (5),

**ბოავიშტა-ფერეირა** 4:3

გოლები: 0:1 რიკარდინიო (8), 1:1 ლაიონელი (18), 2:1 ლაიონელი (27), 2:2 ვესლი (37), 3:2 რიბეირო (44), 3:3 კრისტიანო (47), 453 ლაიონელი (77)

**გიმარაეში-ლეიქსოეში** 2:1

გოლები: 0:1 გონკალვეში (14), 1:1 მარკინიო (80), 2:1 რობერტო (87)

**ბელენენსეში-სპორტინგი** 1:0

გოლი: 1:0 პედრო (39)

**სეტუბალი-ნავალი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 18 | 14 | 2 | 2 | 32-7 | 44 |
| 2. ბენფიკა | 18 | 9 | 7 | 2 | 29-10 | 34 |
| 3. გიმარაეში | 18 | 9 | 4 | 5 | 22-22 | 31 |
| 4. სპორტინგი | 18 | 8 | 6 | 4 | 25-16 | 30 |
| 5. მარიტიმუ | 18 | 8 | 2 | 8 | 22-17 | 26 |
| 6. ბელენენსეში | 18 | 6 | 8 | 4 | 17-16 | 26 |
| 7. სეტუბალი | 17 | 5 | 10 | 2 | 22-16 | 25 |
| 8. ბრაგა | 18 | 6 | 7 | 5 | 20-21 | 25 |
| 9. ნასიონალი | 18 | 5 | 7 | 6 | 12-13 | 22 |
| 10. ბოავიშტა | 18 | 5 | 7 | 6 | 21-28 | 22 |
| 11. ლეიქსოეში | 18 | 3 | 10 | 5 | 17-20 | 19 |
| 12. აკადემიკა | 18 | 4 | 7 | 7 | 18-27 | 19 |
| 13. ამადორა | 18 | 3 | 9 | 6 | 19-21 | 18 |
| 14. ნავალი | 17 | 4 | 4 | 9 | 12-26 | 16 |
| 15. ფერეირა | 18 | 4 | 3 | 11 | 18-28 | 15 |
| 16. ლეირია | 18 | 1 | 5 | 12 | 13-31 | 8 |

ბომბარდირები: 14 - ლისანდრო ლოპესი (პორტუ); 9 - როლანდ ლინცი (ბრაგა); 8 - ჟოაო პაოლო (ლეირია); 7 - მაკუკულა (მარიტიმუ), კარდოსო (ბენფიკა); 6 - ედინიო (სეტუბალი), ნუნუ გომეში (ბენფიკა), ვესლი (ფერეირა).

### II დივიზიონი

XVIII ტური

გონდომარი-სანტა კლარა 4:0; ტროფენსე-ვიზელა 0:0; ეშტორილი-ავეში 2:2; რიუ ავე-ფატიმა 1:0; ბეირა მარი-ფრეამუნდე 1:1; ვარზიმი-ჟილ ვისენტე 2:1; ოლანენსე-პენაფიელი 3:1; ფეირენსე-პორტიმონენსე 0:2.

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXIV ტური

**კლაიდი-სტირლინგი** 1:3

### II დივიზიონი

XXIV ტური

**ეირდრი-რეითი** 3:0

**ქუინზ პარკი-ბრეჩინი** 2:3

### III დივიზიონი

XXIV ტური

**დამბარტონი-ელგინი** 1:4

**ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი** 1:0

**მონტროუზი-ალბიონი** 2:1

**სტენჰაუზმუირი-არბროთი** 0:3

**სტრანრაერი-ფორფარი** 2:1

### შოტლანდიის თასი

1/8 ფინალი

**კილმარნოკი-სელტიკი** 1:5

**აბერდინი-ჰამილტონი** 1:0

**მორტონი-ქუინი** 0:2

**ლივინგსტონი-პარტიკი** 0:0

**სტ. მირენი-დანდი იუნ** 0:0

**ინვერნესი-რეინჯერსი** 0:0

## საბერძნეთი

XIX ტური

**ატრომიტოსი-ქსანთი** 2:3

**ლევადია-ლარისა** 0:1

**ვერია-ირაკლისი** 1:2

**აპოლონი-ოლიმპიაკოსი** 1:0

**არისი-ერგოტელისი** 2:0

**ოფი-პაოკი** 2:0

**აეკ-პანიონიოსი** 2:3

**პანათინაიკოსი-ასტერასი** 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინ. | 19 | 13 | 4 | 2 | 28-7 | 43 |
| 2. აეკ | 19 | 14 | 0 | 5 | 41-12 | 42 |
| 3. ოლიმპიაკ. | 19 | 12 | 5 | 2 | 33-14 | 41 |
| 4. არისი | 19 | 9 | 5 | 5 | 20-11 | 32 |
| 5. ასტერასი | 19 | 8 | 7 | 4 | 17-10 | 31 |
| 6. ქსანთი | 19 | 8 | 4 | 7 | 22-18 | 28 |
| 7. პანიონიოსი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-27 | 28 |
| 8. პაოკი | 19 | 7 | 2 | 10 | 19-21 | 23 |
| 9. ლარისა | 19 | 4 | 10 | 5 | 15-17 | 22 |
| 10. ირაკლისი | 19 | 5 | 7 | 7 | 15-19 | 22 |
| 11. ატრომიტ. | 19 | 6 | 3 | 10 | 15-22 | 21 |
| 12. ოფი | 19 | 5 | 4 | 10 | 23-32 | 19 |
| 13. აპოლონი | 19 | 4 | 6 | 9 | 19-33 | 18 |
| 14. ლევადია | 19 | 5 | 3 | 11 | 14-33 | 18 |
| 15. ვერია | 19 | 4 | 5 | 10 | 14-26 | 17 |
| 16. ერგოტელ. | 19 | 2 | 7 | 10 | 11-28 | 13 |

## შვეიცარია

XIX ტური

**სიონი-გრასჰოპერსი** 0:2

**ციურიხი-ტუნი** 1:0

**არაუ-სტ. გალენი** 3:1

**ქსამაქსი-ლუცერნი** 0:1

**იანგ ბოიზი-ბაზელი** 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 19 | 12 | 3 | 4 | 38-21 | 39 |
| 2. ციურიხი | 19 | 10 | 6 | 3 | 42-19 | 36 |
| 3. იანგ ბოიზი | 19 | 10 | 6 | 3 | 45-30 | 36 |
| 4. არაუ | 19 | 5 | 9 | 4 | 30-26 | 27 |
| 5. გრასჰოპერ. | 19 | 6 | 5 | 8 | 28-34 | 23 |
| 6. ქსამაქსი | 19 | 5 | 7 | 7 | 27-29 | 22 |
| 7. სიონი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-27 | 22 |
| 8. ლუცერნი | 19 | 3 | 11 | 5 | 25-34 | 20 |
| 9. ტუნი | 19 | 4 | 5 | 10 | 17-28 | 17 |
| 10. სტ. გალენი | 19 | 3 | 4 | 12 | 22-48 | 13 |

## თურქეთის თასი

1/4 ფინალი

**ოფთასი-კაისერი** 0:0

**დემირი-გენჩლერი** 0:1

**რიზე-ბეშიქთაში** 1:0

**ფენერბაჩე-გალათასარაი** 0:0

## საფრანგეთის თასი

1/16 ფინალი

**ბულონი-ტური** 1:2 დ.დ.

**სტრასბური-მეცი** 0:3

**არლი-ნიორი** 0:0 პენ. 9:8

**ლიონ ლა დუშერი-ლილი** 0:1

**სედანი-ნანტი** 0:0 პენ. 4:2

**სოშო-მონპელიე** 1:1 პენ. 4:3

**პუარ სურ ვი-ასკ** 1:3

**პარიზი-დიჟონი** 0:0 პენ. 5:6

**ამიენი-GFCO** 1:0

**ანჟერსი-ნიცა** 3:1

**ბასტია-ოსერი** 3:0

**ლორიანი-რენი** 0:0 პენ. 3:1

**ბორდო-ლე მანი** 1:0

**კარკეფუ-ნანსი** 2:1 დ.დ.

**კრუა სავუა-ლიონი** 0:1

**მარსელი-მონაკო** 3:1

## ჩილე

### აპერტურა

II ტური

**უნ. ესპანიოლა-აუდაქსი** 1:0

**ლა სერენა-რეინჯერსი** 1:0

**ევერტონი-უნ. კატოლიკა** 0:2

**კოლო კოლო-მელიპილა** 4:3

**დ. კონსეპსიონი-ს. მორნინგი** 2:1

**ო'ჰიგინსი-პალესტინო** 0:2

**კობრესალი-კობრელოა** 1:0

**ანტოფაგასტა-უნ. კონსეპსიონი** 3:3

**აზ. ნუბლენსე-უნ. ჩილე** გვ. დასრულდა

**უაჩიპატო-ოსორნო** გვ. დასრულდა

## მექსიკა

### კლაუსურა

III ტური

**ვერაკრუსი-ს. ლაგუნა** 1:1

**კრუს ასული-სან ლუისი** 4:0

**მონტერეი-ხაგუარესი** 0:0

**პაჩუკა-ატლასი** 1:0

**ატლანტე-ტეკოსი** 1:2

**გვადალახარა-მორელია** 6:0

**პუებლა-ნეკაქსა** 1:1

**ტოლუკა-ტიგრესი** 2:0

**ამერიკა-პუმასი** გვ. დასრულდა

## აფრიკის თასი

1/4 ფინალი

**განა-ნიგერია 2:1**

განა: რ. კინგსტონი, ადო, მენსა, პანტსილი, სარპეი, ანანი, ესიენი, აგოგო, გიანი (62. ლ. კინგსტონი), მუნტარი, ოვუსუ-აბეიე (74. დრამანი).

ნიგერია: ეჯიდე, ნვანერი, შიტუ, ტაივო, იობო, ეტუჰუ (71. ერომოიგბე), ობი მიკელი (85. ობინა), ოლოფინჯანა, ოდემვინგი, უჩე ოკეჩუკვუ, აიეგბენი.

გოლები: 0:1 აიეგბენი (35-პენ), 1:1 ესიენი (45), 2:1 აგოგო (83)

გაძევება: მენსა (60. განა)

მაყურებელი: 47 000

**კოტ დ'ივუარი-გვინეა 5:0**

კოტ დ'ივუარი: ბარი, ბოკა, ებუე, მეიტე, რომარიკი, იაია ტურე, ზოკორა, დინდანე (72. ა. კონე), დროგბა (76. ბ. კონე), კალუ, აბ. კეიტა (75. ფაე).

გვინეა: კ. კამარა, იბ. კამარა, დიალო, ჟაბი, ზეიატი (83. კალაბანე), ბა, ჯონსონი (61. სუმა), მანსარე, ის. ბანგურა, საკო, ოულა (60. კ. სისე).

გოლები: 1:0 აბ. კეიტა (25), 2:0 დროგბა (70), 3:0 კალუ (73), 4:0 კალუ (81), 5:0 ბ. კონე (86)

მაყურებელი: 18 000

მანჩესტერ იუნაიტედი

# რონალდო, ინგლისის ყველაზე მდიდარი ფეხბურთელი

### ახალი კონტრაქტი 2014 წლამდე და ბოსინგვას მოსალოდნელი ტრანსფერი სეზონის ბოლოს...

**კრისტიანო რონალდო** პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. "მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა, მას ახალი კონტრაქტი 2014 წლამდე გაუფორმოს. შეთანხმების შემთხვევაში, მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ფეხბურთელს 44 მილიონი გირვანქას გადაუხდიან. ეს კვირაში 140 ათას გირვანქას უდრის, რაც 10 ათასი გირვანქით აღემატება "ჩელსის" კაპიტან **ჯონ ტერის** კვირეულ ხელფასს. აღარაფერს ვამბობთ **უეინ რუნისა** და **რიო ფერდინანდზე**, რომლებიც კვირაში მხოლოდ 110 ათას გირვანქას იხვეჭენ.

22 წლის რონალდომ მიმდინარე სეზონში, ყველა ტურნირში უკვე 27 გოლი გაიტანა. "მენიუს" ისტორიაში ყველაზე შედეგიანი გარემარბი **ჯორჯ ბესტი** იყო. მისი, როგორც გარემარბის რეკორდი, სეზონში 33 გოლია. კრისტიანოს ამ რეკორდისაგან ექვსი გოლი ჰყოფს. ერთი კვირის წინ **სერ ალექს ფეგიუსონმა** ხუმრობით თქვა, ახალი კონტრაქტს იმ შემთხვევაში შევთავაზებთ, თუ მარტო პრემიერლიგაში 30 გოლს გაიტანსო. "ეშმაკები" სეზონის დასრულებას აღარ დაელოდნენ. ისინი რონალდოს პასუხს ელოდებიან. "იუნაიტედს" სურს, წერტილი დაუსვას სპეკულაციებს პორტუგალიელი ვარსკვლავის შესაძლო აბარგების თაობაზე. ესპანური სააგენტოები ინტენსიურად განიხილავდნენ კრისტიანოს "რეალში" ტრანსფერის თემას.

"მანჩესტერ იუნაიტედში" სახელფასო ზღვარი არსებობს. კვირაში 110 ათას გირვანქაზე მეტს არცერთ ფეხბურთელს არ უხდიან. რონალდოსათვის გამონაკლისს დაუშვებენ. მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პრეცედენტის დაშვებისთანავე "იუნაიტედის" სხვა ვარსკვლავებსაც გაუჩნდებათ ხელფასის მომატების სურვილი და "მენიუს" მათი პრეტენზიების დაკმაყოფილებაც მოუწევს. რონალდომ დღევანდელი ხელშეკრულება ერთი წლის წინ გააფორმა. ის 2012 წლამდეა ძალაში. მაგრამ ბოლო ერთ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა. პორტუგალიელი "იუნაიტედის" მამოძრავებელი ელემენტი გახდა. ის გამოკვეთილი ლიდერია და განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს. თანაც "მანჩესტერმა" სხვა საფრთხეც დაინახა. 2010 წელს რონალდოს შეეძლო, კონტრაქტში დარჩენილი ორ წელი გამოესყიდა, თანაც მისი ორი წლის ხელფასის, სულ რაღაც 10 მილიონი გირვანქის საფასურად.

"მანჩესტერ იუნაიტედის" თემას ერთი სატრანსფერო ამბით დავასრულებთ. "ეშმაკებმა" "პორტოს" ცენტრალური მცველის, **ჟოზე ბოსინგვას** სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქას გაამზადეს. გარიგება ზაფხულისათვის იგეგმება. ინგლისელებს წინასწარი კონტრაქტის გაფორმება სურთ. ბოსინგვას ტრანსფერს კარლუშ კეიროში ლობირებს. 25 წლის ფეხბურთელი სისწრაფითა და საუცხოო პასებითაა ცნობილი. კლუბებს მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაუკეთებიათ.



მანჩესტერმა რონალდოს ახალი კონტრაქტი გაუმზადა

ინგლისის ნაკრები

# კაპელოს საბოლოო 23 კაცი

### დევიდ ბექჰემი მე-100 მატჩს 1 ივნისს ითამაშებსო...

**ფაბიო კაპელომ** შვეიცარიასთან მატჩისათვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. მას რამდენიმე ფეხბურთელის სამსახურზე მოუხდა უარის თქმა. რამდენიმე თვითონ გაუშვა და 23 მოთამაშეზე შეაჩერა არჩევანი. ბირმინგემელებმა - **გაბრიელ აგბონლაორმა** და **ეშლი იანგმა** ნაკრებში ადგილები შეინარჩუნეს.

კაპელოს ტრავმების გამო გამოაკლდნენ ვიგანელი თავდამსხმელი **ემილ ჰესკი** და ტოტენჰემელი მცველი **ლედლი კინგი**. მწვრთნელმა სიიდან ამოშალა **კერტის დევისი** (ასტონ ვილა), **გლენ ჯონსონი** (პორტსმუთი), **ნიკი შორი** (რედინგი), **მაიკლ ქერიკი** (მანჩესტერ იუნაიტედი) და **სტიუარტ დაუნინგი** (მიდლსბრო).

21 წლის აგბონლაორი ოთხიდან ერთი თავდამსხმელია. იმის გათვალისწინებით, რომ შვეიცარიასთან მატჩი ამხანაგურია, მან რამდენიმე წუთი მაინც უნდა ითამაშოს. ეს გაბრიელის მეორე სანაკრებო მატჩი იქნება. პირველად მან ნოემბერში, ავსტრიელთა წინააღმდეგ ითამაშა და გოლიც შეაგდო.

შემადგენლობის დაზუსტების შემდეგ კაპელომ განაცხადა: *"მინდა, ვუთხრა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდში ვერ მოხვდნენ - თითოეული მათგანი ჩემი გეგმის ნაწილია. ჩვენ ყველა საუკეთესო მოთამაშე გვჭირდება ოფიციალური მატჩებისათვის, რომელიც სექტემბერში დაიწყება. სამწუხაროა, რომ ლედლი კინგი და ემილ ჰესკი ვერ დაგვეხმარებიან. იმედია, ისინი მალე განაახლებენ თამაშს."*

ინგლისის ნაკრები ხვალ, დღის მეორე ნახევარში შეიკრიბება. კაპელო მხოლოდ თამაშის წინა დღეს შეარჩევს ძირითად შემადგენლობას. კაპიტნის ვინაობა უფრო ადრე გაირკვევა. მწვრთნელი ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ინგლისს რამდენიმე კაპიტანი ეყოლება.

აქვე გეტყვით, რომ **დევიდ ბექჰემი** ნაკრებში მე-100 მატჩს, სავარაუდოდ, 1 ივნისს ჩაატარებს. ამ დღეს ინგლისი ტრინიდადსა და ტობაგოს ეწვევა. ადგილობრივ საფეხბურთო ასოციაციას 100 წელი უსრულდება. ღირშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, ინგლისელები მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ტრინიდადული ფედერაციის პრეზიდენტია **ჯეკ უორნერი**. მას კიდევ ორი თანამდებობა უკავია. უორნერი შეთავსებით კონკაკაფის საფეხბურთო კონფედერაციის ხელმძღვანელი და ფიფას ვიცე-პრეზიდენტია. 2018 წლის მუნდიალის მასპინძლის ვინაობა ფიფას აღმასკომმა უნდა გადაწყვიტოს. აღმასკომში 24 წევრია. უორნერს ინგლისელებისათვის სამი ხმის შოვნა შეუძლია. ამიტომ ბრიტანელები ყველაფერს ილონებენ მისი გულის მოსაგებად. თანაც ბექჰემი "ინგლისი 2018-ის" კამპანიის ერთ-ერთი ელჩია.

შვეიცარიის შემდეგ, მომდევნო ამხანაგურ მატჩს ინგლისი 26 მაისს, საფრანგეთთან ჩაატარებს. მიმომხილველები ბექჰემის გამოძახებას არც ამ შეხვედრისათვის ელიან, რადგან ამერიკის ჩემპიონატის მხოლოდ 29 მარტს დაიწყება. ესე იგი, გალაქტიკოს სათამაშო პრაქტიკა კვლავ არ ექნება.

დასასრულს, ინგლისელთა 23-კაციანი შემადგენლობა ფაბიო კაპელოს სადებიუტო მატჩისათვის:

**მეკარეები** - სკოტ კარსონი (ევერტონი), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), კრის კერკლანდი (ვიგანი);

**მცველები** - უეინ ბრიჯი (ჩელსი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (ჩელსი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯოლეონ ლესკოტი (ევერტონი), მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), მეთიუ აპსონი (ბირმინგემი), ჯონათან ვუდგეიტი (ტოტენჰემი);

**ნახევარმცველები** - გარეთ ბერი (ასტონ ვილა), დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), ჯო კოული (ჩელსი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯერმეინ ჯენასი (ტოტენჰემი), შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი), ეშლი იანგი (ასტონ ვილა);

**თავდამსხმელები** - გაბრიელ აგბონლაორი (ასტონ ვილა), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი).



რეზო გიგაურის შეტევა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ერთა თასი

# დებიუტი, მოგება და მთავარი მატჩი რუმინეთთან

პირველი გვერდიდან

თამაშის დაწყებამდე, სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტმა“ მსოფლიო თასზე წარმატებული ასპარეზობისთვის ეროვნულ ნაკრებს 30 ათასი ამერიკული დოლარის ჩეკი გადასცა.

პირველი ხუთი წუთის განმავლობაში თამაშის მეტოქის მოედანზე გადატანა ვერაფრით მოვახერხეთ. საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან მერაბ კვირიკაშვილს ორჯერ აეჭრა ბურთი. მე-2 წუთზე პორტუგალიელებს ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ. კარიდან 40 მეტრში, რაკში წესის დარღვევისთვის იტალიელმა არბიტრმა დაგვაჯარიმა. სტუმართა დამრტყმელმა **პედრო კაბრალმა** ბურთი ხარიხას გაარტყა.

ამის შემდეგ ჩვენი მორაგბეები ნელნელა გონს მოეგნენ, დალაგდნენ. ამაში გადამწყვეტი როლი დერეფანში ბრწყინვალე თამაშმა იქონია. საწყის 15 წუთში ფლანკერმა **რატი ურუშაძემ** მეტოქის სამი დერეფანი მოიგო და შემდეგშიც არაერთხელ იყოჩაღა, თითქმის ასი პროცენტით წამოიღო საკუთარი აუტიც. ამ სტატიკურ სიტუაციაში მიღწეულმა უპირატესობამ და შერკინებაში უფრო მძლავრმა თამაშმა მოწინაალმდეგე საბოლოოდ გატეხა.

ანგარიში კურიოზული ლელოთი გაიხსნა. ჩვენი მორაგბეების პირველი მიძალება პორტუგალიელებმა წესის დარღვევით შეაჩერეს. დებიუტანტმა **ირაკლი ყიასაშვილმა** არცთუ ხელსაყრელი პოზიციიდან კარში დაარტყა. ბურთს ძელებს შუა არ გაუვლია, ისე ალმოჩნდა პორტუგალიელთა ფლანკერის **ჟუან სევერინოს** ხელში, თუმცა იქვე გაუვარდა. ამით მშვენივრად ისარგებლა ბორჯღალოსანთა შუამარბმა **დავით კაჭარავამ** და სეზონის პირველი ქართული ლელო გაიტანა, ყიასაშვილს ახლო მანძილიდან გარდასახვა არ გასჭირვებია – 7:0.

ანგარიშის გაზრდა ხუთიოდ წუთში შეგვეძლო. შერკინების მოთამაშეთა მოკლე დარტყმები პორტუგალიელებმა ლელოდან ორ მეტრში შეაჩერეს, იქ კი რაკში ბორჯღალოსნებმა ბურთი ვერ შეინარჩუნეს და მოწინაალმდეგეს სიტუაციის განმუხტვის საშუალება მისცეს. კიდევ ოთხ წუთში კი ყიასაშვილმა 35 მეტრიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

უპირატესობა ამ დროისთვის მთლიანად ქართველი მორაგბეების მხარეს იყო. მორიგი ლელო კი, ისევ მეტოქის შეცდომის ბოლომდე გამოყენებას მოჰყვა. პორტუგალიელთა მოედნის ათმეტრიან ხაზთან მათ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. ბურთი შერკინებიდან რვა ნომერმა **ტიაგუ ჟირაუმ** გამოიტანა, რომელიც იქვე შებოჭეს. თამაში რაკში გადავიდა, სადაც მიწაზე თამაშისას უკეთ ქართველი მორაგბეები გაიხარჯნენ, მოწინაალმდეგეს ბურთი აართვეს და გრძელ ფრთაზე უკანახაზელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს. **ირაკლი აბუსერიძემ** შუამარბ **რეზო გიგაურს** გადააწოდა, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა, ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია და კიდევ უფრო მარჯვნივ კიდისკენ გარემარბ **ბესიკ ხამაშურიძეს** გადააწოდა, რომელმაც თანაგუნდელებს გარჯა დაუფასა და მატჩში მეორე ლელო გაიტანა. გარდასახვა კიდიდან ყიასაშვილს გაუცუდდა 12:0.

ტაიმის მიწურულისკენ ბორჯღალოსნები ოდნავ მოდუნდნენ, რითაც მოწინაალმდეგეს საშუალება მისცეს გააქტიურებულიყვნენ. 33-ე წუთზე მოედნის საკუთარ ნახევარზე ქართველმა მორაგბეებმა ორჯერ დაარღვიეს თამაშგარის წესი და **პედრო კარბალმა** 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ანგარიში შეამცირა - 3:12.

მეორე ტაიმი ბორჯღალოსნებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე ოთხ წუთში მორიგი ლელო მიითვალეს. ამჯერად ჩვენმა მორაგბეებმა არაერთხელ ნაცადი ხერხი, მოლი გამოიყენეს. მეტოქის ლელოდან ხუთმეტრიანი დერეფანი **ურუშაძემ** სუფთად მოიგო. მოლი შეიკრა და მოწინაალმდეგის თავდადებული მცდელობის მიუხედავად ლელოში შეაღწია. ბურთით კვაჭი **დავით დადუნაშვილი** იყო, გარდასახვის დარტყმა ამჯერად **მერაბ კვირიკაშვილმა** ითავა და გაიტანა კიდეც 19:3.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების თამაში უფრო მრავალფეროვანი, უფრო გახსნილი, კომბინაციური გახდა. 53-ე წუთზე მეტოქე ისევ შეცდომაზე დავიჭირეთ. მოედნის ცენტრში აბუსერიძემ მოწინაალმდეგეს ბურთი ფეხით ჩაუჭრა, წინ გაიგდო, წამოეწია და იმდენი მოახერხა, ბურთი ლელოში შეაგორა. იქ კი ბრინჯივით დაბნეულ პორტუგალიელებს **რეზო გიგაურმა** დაასწრო და ბურთს ზემოდან დაახტა, კვირიკაშვილმა ისევ გარდასახა - 26:3.

ოთხიოდ წუთში საქართველოს ნაკრებისა კვაჭი **დავით დადუნაშვილი** განზრახ უხეში თამაშისთვის მატჩის არბიტრმა სინბინში გაუშვა. რიცხვობრივი ნაკლულობა ჩვენი გუნდის თამაშს იოტისოდენადაც არ დასტყობია. პორტუგალიელებმა ერთი, დაახლოებით ხუთწუთიანი შტურმი მაინც მოაწყვეს, გამორჩენით კი ვერაფერს გამორჩნენ.

75-ე წუთზე კი თავისი პირველი ლელო დებიუტანტმა, 8 ნომერმა **დიმიტრი ბასილაიამ** მიითვალა. შეცვლაზე შემოსულმა კიდევ ერთმა ახალბედამ, !10 ნომერმა **ლაშა მალაღურაძემ** ბურთი მეტოქის ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან მიიღო – მოძრაობით აჩვენა, რომ გადაცემის გაკეთებას აპირებდა, თვითონ კი წინ გაიჭრა, მართალია შეაჩერეს, მაგრამ სამი მოწინაალმდეგის მარწუხებში მოქცეულმა ათიოდე მეტრი მაინც გაიარა. რაკიდან ბურთი მარცხნივ გაიტანეს, სადაც შერკინების მოთამაშეებმა მოკლე დარტყმა განახორციელეს, ისევ რაკი, ახლა შეცვლაზე შემოსულმა 9 ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** შეტევის მიმართულება შეცვალა და ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაუშვა. უკანახაზელებმა ხელდახელ თამაშით კიდევ ხუთი მეტრი მოიგეს. კიდესთან ახლოს ისევ რაკი წარმოიქმნა, მარცხენა ფრთაზე ჩვენ მორაგბეებს რიცხვობრივი უპირატესობა შეექმნათ. ეს დროულად შენიშნა სამხარაძემ და ახლა რაკიდან გამოტანილ ბურთს პირი მარცხნივ უბრუნა. მალაღურაძემ გრძელი პასი ბასილაიას მიაწოდა. სამი ქართველი მორაგბე ორი პორტუგალიელის პირისპირ დარჩა. ბასილაია, მაშინ როცა ყველა მისგან პასს ელოდა, პირდაპირ ლელოსკენ დაიძრა, ზედ ხაზთან თითქოს შეაჩერეს კიდეც, მაგრამ დიმიტრიმ ბურთი ხაზს იქით გადადო. გარდასახვა ამჯერად ბარკალაიამ დაარტყა და ვერ გაიტანა - 31:3.

თამაშის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა. ამ მოგების შემდეგ საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების პირველი წრის გამარჯვებული გახდა.

### მატჩის შემდეგ:

**ტიმ ლეინი**: - კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა კარგად ითამაშეს. ახალმა მორაგბეებმა გაამართლეს. მართალია ძალიან ნერვიულობდნენ და შეცდომებიც ბევრი დაუშვეს, მაგრამ ბევრი კარგი რამეც გააკეთეს. რუმინეთთან სათამაშოდ მოსამზადებლად დრო მეტი გვაქვს. ვფიქრობ ამ შეხვედრაში უფრო თავდაჯერებულები იქნებიან. ხარვეზები ბევრი გვქონდა. ბევრი სამუშაო გვაქვს. გასაუმჯობესებელია ბურთის კონტროლი, პასები, ინდივიდუალური უნარჩვევები.

**ტომაშ მორაეში**: – საქართველოს ნაკრებმა შერკინებაში და დერეფანში აშკარად დაგვჯაბნა. მეტნაკლებად კმაყოფილი ვარ ჩვენი გუნდის დაცვაში თამაშით. ვფიქრობ, მარცხი მაინც პირველ 20 წუთში დაშვებულმა უმარტივესმა შეცდომებმა გამოიწვია. რუმინეთის ნაკრებს ორი თვის წინ ვეთამაშეთ ლისაბონში. თანაბარი თამაში იყო, უბრალოდ მოწინაალმდეგეს უფრო გაუმართლა და დავმარცხდით. მათაც საკმაოდ შეცვლილი, საგრძნობლად გახალისებული შემადგენლობა ჰყავთ.

**ირაკლი აბუსერიძე**: - მინდა გამარჯვება განსაკუთრებით იმ მორაგბეებს მივულოცო, ვისაც ეროვნული ნაკრების მაისური პირველად ეცვა. თამაშით კმაყოფილი ვარ. ხარვეზები ცხადია გვქონდა. მომავალ თამაშამდე წინ ერთი კვირაა და ვეცდებით შევამციროთ.

**ჟოაო კორეია**: - ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. ძალიან ბევრი ახალბედა მოთამაშე გვყავდა. შეხვედრა ჩვენთვის დაძაბული და ძალიან მძიმე გამოდგა. ახლა სამი კვირა გვაქვს იმისთვის, რომ მოვემზადოთ და 23 თებერვალს ლისაბონში საქართველოს ნაკრებს სათანადო წინააღმდეგობა გავუწიოთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 0 | 1 | +131 | 8 |
| 2. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 3. რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +71 | 6 |
| 4. ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| 5. პორტუგალია | 5 | 2 | 0 | 3 | -28 | 4 |
| 6. ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |

6 ერის პირველობა

# უელსმა ინგლისი და მსოფლიო გააოცა

ექვსი ერის პირველი მატჩი დუბლინის „კროუკ პარკზე“ გაიმართა. **ედი ოსალივანის** ირლანდიას ბევრი რამ ჰქონდა დასამტკიცებელი, თუნდაც ის, რომ მსოფლიო თასზე საქართველოსთან და ნამიბიასთან შემთხვევით გაუჭირდა. მაგრამ ამ თამაშით ირლანდიელებმა სკეპტიკოსებს მეტი სალაპარაკო მისცეს. პირველი ლელო მე-18 წუთზე გავიდა **რონან ო'გარას** შესანიშნავი პასის შემდეგ **ენდრიუ თრიმბლმა** ლელოში **გირვან დემფსი** გაიყვანა. ო'გარამ გარდასახა და საერთოს მატჩში 11 ქულა მან მიითვალა, ირლანდიელთა ათმა ნომერმა ძალიან კარგი წყვილი შექმნა ახალგაზრდა ნიჭიერ 9 ნომერ **ეოინ რედენთან** ერთად, თუმცა მეტით ირლანდიელები ვერაფრით გამოირჩნენ.

მატჩის ბედი ეჭქვეშ იტალიელთა კაპიტანმა **სერჯიო პარისემ** დააყენა, როდესაც აუტიდან მოპოვებული ბურთი წაილო და ლელო გაიტანა. ამას **დავიდ ბორტოლუსის** საჯარიმო მოყვა, თუმცა ამჯერად ირლანდიის ნაკრები გადარჩა და ხუთი ქულის სხვაობით მოიგო. პირველ ტაიმში მასპინძელთა ბეკმა **გორდონ დ'არსიმ** ხელი მოიტეხა და ექვსი ერის წლევანდელ პირველობას გამოტოვებს, ასე რომ 72 ათასი ფანი შინ განბილებული წავიდა.

„თვიქნემზე“ ნამდვილი სასწაულის მომსწრენი გახდნენ, თამაშის დაწყებიდან ერთი საათის მერე უელსი ინგლისთან 6:19 მარცხდებოდა, მაგრამ 20 უპასუხო ქულა მიითვალა და ამ სტადიონზე 1988 წლის მერე პირველად გამარჯვა. სტუმართა მწვრთნელმა **შონ ედვარდსმა** დებიუტშივე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ უელსელთა დამრტყმელი **ჯეიმს ჰუკი** დაასახელეს, რომელმაც 16 ქულა მიითვალა. მატჩის ბედი მეორე ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როცა მასპინძლებს ლელო **ჯერ ლი ბერნმა** დაუდო, შემდეგ კი **მაიკ ფილიპსმა**.

საფრანგეთის ნაკრები ედინბურგს ფავორიტის რანგში ეწვია და არცთუ უსაფუძვლოდ. პირველ ტაიმში სტუმრებმა ორი ლელო მიითვალეს, თავი კლერკმა და დებიუტანტმა მალზიუმ გამოიჩინეს. მეორეში ვენსან კლერკმა მეორე ლელოც გაიტანა.

**ექვსი ერი 2008**

**I ტური**

**ირლანდია-იტალია 16:11 (10:3)**

ლელო (დემფსი), გარდასახვა, 3 ჯარიმა (ო'გარა) - ლელო (კასტროჯოვანი), 2 ჯარიმა (ბორტოლუსი)

სინ-ბინი: ისთერბი, დელაპე

ირლანდია (15-9, 1-8): დემფსი, თრიმბლი, ბ. ო'დრისკოლი, დ'არსი (კერნეი 30), მერფი, ო'გარა, რედენი (სტრინგერი 79), ჰორანი, ბესტი (ჯეკმენი 66), ჰეისი (ბაკლი 79), ო'კალაჰენი, ო'ქელი (მ. ო'დრისკოლი 71), ისთერბი (ჰიზლიფი 62), უოლესი, ლიმი.

იტალია: ბორტოლუზი (მარკატო 78), რობერტსონი, კანალე, მირკო ბერგამასკო, კანავოზიო (გალონი 28), მაზი, ტრავალი, ლო ჩიჩერო (პერუჯინი 56), გირალდინი (ფესტუჩა 56), კასტროჯოვანი, დელაპე, დელ ფავა (რეატო 79), სოული (ძანი 40), მაურო ბერგამასკო, პარისე.

**ინგლისი-უელსი 16:29**

ლელო (ფლადი), გარდასახვა, არეკნი, 3 ჯარიმა (უილკინსონი) - 2 ლელო (ბერნი, ფილიპსი), 2 გარდასახვა, 4 ჯარიმა (ჰუკი)

ინგლისი: ბოლშო, საკი, თინდოლი (სიპრიანი 63), ფლადი, სტრეტლი (ვაინიკოლო 12), უილკინსონი, გომერსოლი, შერიდანი, რეგანი (მიერსი 57), ვიკერი (სტივენსი 70), შოუ (კეი 39), ბორზვიკი, ჰესკელი, მუდი (რისი 14), ნერევეი.

უელსი: ბერნი, მ. ჯოუნზი (ჯენკინსი 45), პარკერი (შენკლინი 45), ჰენსონი, უილიამსი, ჰუკი, ფილიპსი, დ. ჯოუნზი, ბენეტი (რისი 58), რის ჯოუნზი, გოფი, ვინ ჯოუნზი, თომასი (პომემი 13), მ. უილიამსი, რ. ჯოუნსი (ევანსი 79).

**შოტლანდია-საფრანგეთი 6:27**

არეკნი, ჯარიმა (პარკსი) - 3 ლელო (კლერკი 2, მალზიუ), 3 გარდასახვა (ელისალდი 2, სკრელა), 2 ჯარიმა (ტრაი)

შოტლანდია: ლამონტი, უოქერი , დე ლუკა, ჰენდერსონი, ვებსთერი, პარკსი, ბლერი, ჯეკობსენი, ფორდი, მარი, ჰაინსი, ჰემილტონი, უაითი, ბარკლეი, ქელემი

საფრანგეთი: ემონსი, კლერკი, მარტი, ტრაი, მალზიო, ტრენ-დიუკი, ელისალდი, ფორე, სერვა, ბრიუნიო, ჟაკე, ნალე, უედრაოგო, დიუზოტუარი, ვერმელენი



უელსელი შეინ უილიამსის შეტევა

## საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

საქართველოს რაგბის კავშირი აცხადებს, რომ 2008 წლის 24 თებერვალს 12 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ დარბაზში ტარდება საქართველოს რაგბის კავშირის საერთო კრება (ყრილობა) შემდეგი დღის წესრიგით:

1. რაგბის კავშირის პრეზიდენტის 2007 წლის ანგარიშის მოსმენა;
2. კავშირის წესდების ახალი რედაქციის მიღება;
3. კავშირის პრეზიდენტის არჩევა;
4. კავშირის გამგეობის არჩევა;
5. კავშირის 2008 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი პრიორიტეტების განსაზღვრა;
6. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

კენჭისყრაზე მონაწილე წევრთა ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ რაგბის კავშირში.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატთა კავშირში წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 19 თებერვლის 16 საათი (კანდიდატების წარდგენა დაიშვება მხოლოდ კავშირის წევრთა მიერ). ამასთან სასურველია კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატმა ყრილობამდე წარმოადგინოს რაგბის კავშირის განვითარების 4-წლიანი გეგმა.

კენჭისყრაზე მონაწილე წევრებმა რაგბის კავშირში უნდა წარმოადგინონ მარეგისტრირებელი ორგანოს საბუთი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების თაობაზე.

კენჭისყრაზე დაიშვება რაგბის კავშირის ნამდვილი წევრიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელი - პრეზიდენტი (დირექტორი) ან მისი მინდობილობით ნებისმიერი სხვა პირი.

თბილისი, ვერის პარკი
2 თებერვალი, მე-11 ტური

| დინამო–თსუ | 73:87 |
|---|---|

6:24, 24:22, 21:21, 22:20

დინამო: გულისაბედაშვილი (18 ქ), ნანიტაშვილი (5ქ), ჟლენტი (10ქ), ლაფანაშვილი (16ქ), სიგუა, მაისურაძე (6ქ), ათანელიშვილი (2ქ), ახალკაცი (16ქ), ფაიქრიძე

თსუ: არწივიძე (3ქ), ფანჩულიძე (18ქ), დ. ბერიშვილი (13ქ), ბარბაქაძე (26ქ), კოხრეიძე, ყველაშვილი (5ქ), კეიდია (4ქ), ხეცურიანი (9ქ), ტყეშელაშვილი (9ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

| ვითა–ენერჯი | 63:87 |
|---|---|

21:17, 11:30, 12:16, 19:24

ვითა: ნ. ნოზაძე (2ქ, 3პ), ბეჟანიშვილი (3ქ, 5მ, 3პ), მ. ბერიშვილი (19ქ, 9მ), მარკოიშვილი (13ქ, 8მ), ბერძენიშვილი (15ქ, 5მ, 2დ), ნივნივაძე (4ქ, 3პ, 3ჩ), გვიმრაძე (7ქ), გასიტაშვილი, ცერცვაძე, ძიძიგური

ენერჯი: ბაბიაშვილი (15ქ), სტეფანოვი (7ქ), ბოისა (5ქ, 5მ), დიდია (7ქ), ლეჟავა (8ქ, 5ჩ, 3პ), ცეკვავა (5ქ, 6მ, 5პ), ლიპარტელიანი (3ქ), დანელიანი, გოგობერიშვილი (11ქ), ტუჯანი (8ქ), ჭოჭუა (16ქ, 5პ), ჩიტაშვილი (2ქ, 3პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. არეშიძე

| მაკაბი–ავიამშენი | 79:99 |
|---|---|

18:26, 18:22, 27:23, 16:28

მაკაბი: ი. ბერიშვილი (11ქ, 5მ, 1.1პ, 6ჩ), სორდია (15ქ, 4პ), გ. შერმადინი (27ქ, 20მ, 2დ), პირველაშვილი (1ქ), ვაშაკიძე (5ქ), კორკოტაძე, კოლუაშვილი (6ქ, 3პ), ს. შერმადინი (14ქ), ჯიქია

ავიამშენი: ბერაია (4ქ), ხოშტარია (14ქ, 4პ), ნიკოლაძე (12ქ, 3პ), კვიმსაძე (12ქ, 4პ, 3ჩ), ტულუში (15ქ, 6მ, 5პ), იმნაძე (3ქ, 6მ), ნინიაშვილი (4ქ, 5მ), მათიაშვილი (22ქ, 10მ, 3პ, 5ჩ, 2დ), მინაშვილი (13ქ, 3პ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

2 თებერვალი, მე-12 ტური

| ავიამშენი–დინამო | 76:89 |
|---|---|

18:28, 17:23, 12:19, 29:19

ავიამშენი: ხოშტარია (13ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), ნიკოლაძე (14ქ, 3პ), კვიმსაძე (5ქ), ტულუში (12ქ, 8მ, 6პ), იმნაძე (4ქ, 2დ), ნინიაშვილი (2ქ), მათიაშვილი (14ქ, 5მ), მინაშვილი (7ქ), სუხიშვილი (5ქ)

დინამო: გულისაბედაშვილი (24 ქ, 5მ, 4ჩ), ნანიტაშვილი, ჟლენტი (15ქ, 7პ, 3ჩ), ლაფანაშვილი (19ქ, 5მ, 3პ), წერეთელი (4ქ), მაისურაძე (4ქ), ათანელიშვილი (13ქ, 12მ), ახალკაცი (9ქ), ფაიქრიძე (1ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე

| ენერჯი–თსუ | 76:78 |
|---|---|

20:18, 26:24, 12:14, 18:22

ენერჯი: ბაბიაშვილი (5ქ, 7მ), სტეფანოვი (13ქ, 10მ), ბოისა (9ქ, 6მ, 4ჩ), დიდია (3ქ), ლეჟავა (15ქ), ცეკვავა (4ქ, 3ჩ), გოგობერიშვილი (4ქ), ტუჯანი (2ქ, 7მ), ჭოჭუა (8ქ), ჩიტაშვილი (13ქ)

თსუ: არწივიძე, ფანჩულიძე (16ქ, 3ჩ), დ. ბერიშვილი (14ქ), ბარბაქაძე (13ქ, 8მ, 4ჩ), კოხრეიძე (3ქ, 6მ), ყველაშვილი (4ქ), კეიდია (11ქ, 2დ), ხეცურიანი (8ქ, 6მ, 3პ), ტყეშელაშვილი (7ქ, 7მ), ბ. ნოზაძე (2ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| ვითა–მაკაბი | 91:86 |
|---|---|

21:23, 21:11, 23:31, 26:21

ვითა: ნ. ნოზაძე (3ქ), ბეჟანიშვილი (14ქ, 8მ, 5პ), მ. ბერიშვილი (19ქ), მარკოიშვილი (17ქ, 8მ, 3პ), მარხვაშვილი (17ქ, 6პ), ბერძენიშვილი (5ქ), ნივნივაძე (5ქ, 4პ, 3ჩ), გვიმრაძე (12ქ), ძიძიგური

მაკაბი: ი. ბერიშვილი (16ქ, 5პ), სორდია (7ქ, 3პ), გ. შერმადინი (36ქ, 14მ, 4პ), პირველაშვილი, ვაშაკიძე (2ქ, 9მ), კორკოტაძე (10ქ), კოლუაშვილი, ს. შერმადინი (15ქ, 12მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**სატურნირო მდგომარეობა**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 12 | 11 | 1 | 23 |
| 2. თსუ | 12 | 8 | 4 | 20 |
| 3. ავიამშენი | 12 | 5 | 7 | 17 |
| 4. ვითა | 12 | 5 | 7 | 17 |
| 5. დინამო | 12 | 4 | 8 | 16 |
| 6. მაკაბი | 12 | 3 | 9 | 15 |

საქართველოს მე-16 ჩემპიონატი

# ველური გულის მეორე სერია: ენერჯის პირველი ნაგება



თსუ-ენერჯი

წინასწარ გეტყვით, ლათინური სერიალები აცილებული საჯარიმოსავით მეჯავრება, საკალათბურთო სერიალი კი სასიამოვნო სანახავია: გეხსომებათ პირველ სერიაში, თასის ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ მატჩში 1 წამში **დავით ბარბაქაძემ** „ენერჯი" როგორ დაამარცხა. მეორე სერია გუშინ იყო - თსუ-"ენერჯის" მატჩის დასრულებამდე 11 წამით ადრე რუსთაველები **ბესიკ ლეჟავას** საჯარიმოების შემდეგ 76:75 დანინაურდნენ. თსუ-მ სწრაფი შეტევა წამოიწყო, **შალვა კოხრეიძემ** ბურთი **დავით ბარბაქაძეს** გადააწოდა, რომელიც ტუჯანმა ბურთიანად მარცხენა ფლანგზე მიიმწყვდია და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ „ენერჯიმ" მეთორმეტე მატჩი მოიგო, ველურა (ბარბაქაძის მეტსახელი) შეტრიალდა და რთული სიტუაციიდან სამქულიანი სტყორცნა - 78:76 - თსუ-ს სასარგებლოდ. დარჩენილ 6 წამში „ენერჯიმ" სრულყოფილი შეტევა განახორციელა: **ანატოლი ბოისამ** სამქულიანი სტყორცნა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი **იოვან სტეფანოვმა** სტყორცნა, მაგრამ მანაც ააცილა, მესამე ცდაზე ჰაერში მყოფ სტეფანოვს ვილაც დაეჯახა. გაცხარებულმა სერბმა ჯარიმა მოითხოვა, მაგრამ არბიტრმა **ხათუნა გაბედავამ** იოვანს **ჟოლიეთ ტუჯანზე** მიუთითა, ეს დაგეჯახაო და თსუ-ს გამარჯვება დააფიქსირა.

ასე და ამგვარად, გუშინ რუსთაველმა კლუბმა საქართველოს ჩემპიონატის 12 ტურში პირველი მარცხი ინვნია.

მართალია, დავით ბარბაქაძე დინამოსთან მატჩისგან განსხვავებით 20 ქულას ვერ ასცდა, მაგრამ „ენერჯისთან" ბოლო პერიოდში იმდენად ნაყოფიერად იშრომა, რომ მე-12 ტურის საუკეთესო კალათბურთელობა დაიმსახურა. მან 24 წუთში 13 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 4 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. დათომ ჩვენთან საუბრისას (ვრცელ ინტერვიუს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ) აღნიშნა, რომ ბოლო წამებზე პერიმეტრიდან ფარისკენ წასვლას აპირებდა, მაგრამ: „*ბურთი იმდენად კარგად ვიგრძენი ხელში, მივხვდი, რომ მესროლა, არ ავაცელდი. საბედნიეროდ ასეც მოხდა. მოხარული ვარ, რომ ბოლო ორ კვირაში უკანასკნელ წამებზე ორჯერ მოვახერხეთ „ენერჯის" დამარცხება.*" დათომ ეს თქვა და გაჩუმდა, რადგან გვერდით „ენერჯის" მწვრთნელებმა **დავით უსტიაშვილმა** და **მიხეილ ბერუაშვილმა** გამოიარეს. ესენი ნამდვილად მომკლავენო, - დაამატა ბარბაქაძემ. მწვრთნელებს ბესიკ ლეჟავა ამოჰყვა და დათოს მიუბრუნდა - რა გინდა, რას გადაგვეკიდეო.

...ესეც მეთორმეტე ტურის ფრაზა. ტურის მოთამაშეზე უკვე გესაუბრეთ, ხოლო ტურის მოვლენა, ცხადია, საქართველოს ჩემპიონატში „ენერჯის" პირველი მარცხი გახლდათ. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა „დინამოსთან" „ავიამშენის" წაგება გახლდათ. **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებმა გამართული თამაშით თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და საბოლოოდ 89:76 იმარჯვეს. ვნახოთ, გაგრძელდება თუ არა „დინამოს" ასეთი სვლა და მოახერხებს თუ არა „ავიამშენი" ისეთი თამაშის ჩვენებას, როგორც იანვარში.

ბარბაქაძეს ტურის მოთამაშეობას ეცილებოდნენ დინამოელი **ირაკლი გულისაბედაშვილი** (24 ქულა) და **გიორგი შერმადინი** (36 ქულა, 14 მოხსნა), რომლის „მაკაბიმ" ბოლო წამებზე დათმო „ვითასთან".

აქამდე გუშინ გამართულ მეთორმეტე ტურზე გელაპარაკეთ. გუშინწინ კი მეთერთმეტე ტური გაიმართა. შაბათს ყველა მატჩი შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩატარდა და მხოლოდ ორი რამ იყო აღსანიშნავი: ტურის საუკეთესოდ რიჩარდ მათიაშვილი დასახელდა (22 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 5 ჩაჭრა და 2 დაფარება) და მეორე - დარბაზში ისე ციოდა, კალათბურთელებს შუბლზე ოფლი ეყინებოდათ... გუშინ სიცივე ოდნავ მოტეხილი ჩანდა, იმედია დღეს მაინც იქნება რადიატორები გამთბარი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| ბალტია–ლეგიონი | 136:154 |
|---|---|

32:46, 36:29, 31:45, 37:34

ბალტიისპირელები: **კალნეიტისი** (18ქ, 6პ), **ვალტერსი** (22ქ, 6მ, 5პ), **ჟუკაუსკასი** (8ქ), **კანგური** (4ქ), **ლუკაუსკასი** (18ქ, 8მ), **იასონსი** (10ქ, 6მ), **ტეინი** (11ქ), **ტალტსი** (1ქ), **შკელე** (15ქ), **პეტრავიჩუსი** (20ქ, 11მ), **კრიისა** (9ქ, 5მ, 5პ)

ლეგიონერები: **ცინცაძე** (21 წთ, 8ქ, 3მ, 1პ, 2ჩ), **კუსვორსი** (12ქ), **ბროილზი** (20ქ), **პოპოვიჩი** (15ქ), **ედსონი** (14ქ), **პრაისი** (10ქ), **მილაგე** (13ქ), **შტიმაცი** (25ქ, 8მ, 3პ), **კეძო** (23ქ, 8მ), **აკინბაია** (14ქ)

შაბათს **გიორგი ცინცაძემ** ითამაშა ბალტიის ლიგის „ოლ სტარში", რომელშიც ლეგიონერებმა ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხეს ბალტიისპირელები - 154:136. ასეთი ტიპის შეხვედრებში შედეგსა და ქულა-მოხსნებს ნაკლები ყურადღება ენიჭება, ამიტომ ჩვენთვისაც არა სტატისტიკა, არამედ ფაქტია მნიშვნელოვანი - 21 წლის ქართველმა გამთამაშებელმა ვარსკვლავთა მატჩში ევროპის საუკეთესო კალათბურთელებთან ერთად ითამაშა.

ისე არ გაიგოთ, თითქოს ცინცაძე ბალტიისპირელ ვარსკვლავებთან ვერაფრით გამოირჩა. მართალია, მატჩის საუკეთესოდ არ დაუსახელებიათ, მაგრამ არც ურიგო სტატისტიკა ჰქონია: ლეგიონერთა ნაკრებში იგი სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და მოედანზე 21 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში ბუმ 2-დან 2 სამქულიანი, 3-დან 1 ორიანი ჩააგდო და 8 ქულას 3 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა ნაუმატა. ლეგიონერთა შორის ყველაზე შედეგიანი ტანმაღალი **ვლადიმირ შტიმაცი** იყო, რომელმაც 25 ქულას 8 მოხსნა მიუმატა. მას ორი ქულით ჩამორჩა **მატეო კეძო** - 23... თუმცა, თუ მატჩის მონაწილეთა მონაგარი გაინტერესებთ, შეგიძლიათ ზემოთ მოყვანილ ოქმს დახედოთ.

ახლა შეგახსენებთ, რომ „ოლ სტარში" მონაწილეობა არ მიუღია ჟალგირისელ **მარკუს ბრაუნს**, რომელმაც გამოკითხვისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო და ცინცაძესთან ერთად ლეგიონერთა ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში უნდა ეთამაშა. მან მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. ბრაუნის ადგილი სასტარტოში მისმა თანაკლუბელმა **მარკო პოპოვიჩმა** დაიკავა.

**ბალტიის ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ შეხვედრის მიმოხილვასაც გაგაცნობთ:**

„ლეგიონერებმა ბალტიისპირელებს თავიდანვე აქტიურად შეუტიეს. სტუმრები ტალინის არენაზე შეკრებილ ქომაგებს აპლოდისმენტებს შორეული ტყორცნებით სტყუებდნენ. სწორედ სამქულიანების რეალიზების მაღალმა პროცენტულმა მაჩვენებელმა განაპირობა პირველ მეოთხედში ლეგიონერთა ნაკრების 46:32 დაწინაურება.

ამ ეპიზოდის შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა და ბოლო პერიოდის წინ უცხოელები 120:99 იგებდნენ. საბოლოო ანგარიშიც გეცოდინებათ - 154:136.

მართალია, აქამდე ბევრი ვისაუბრეთ მატჩის მსვლელობაზე, მაგრამ უშუალოდ მოედანზე მყოფნი შედეგზე მეტად ეფექტურ თამაშზე ფიქრობდნენ. იყო „ალეი ოპების" შესრულების არაერთი მცდელობა, მეტისმეტად შორი დისტანციიდან სამქულიანების რეალიზების შემთხვევები და ამპლუების არევის საინტერესო ფაქტები. მაგალითად, მეფარე ვლადიმირ შტიმაცი ხშირად ითავსებდა ფლეიმეიქერის ამპლუას, რაც კარგად გამოსდიოდა. სხვათა შორის, სწორედ ის გახდა „ოლ სტარის" საუკეთესო კალათბურთელი - 25 ქულა ჩააგდო."

მკითხველს შევახსენებთ, რომ გიორგი ცინცაძე ერთ-ერთია ქართველ ლეგიონერთა შორის, რომლებსაც სხვადასხვა „ოლ სტარში" მიუღიათ მონაწილეობა. **ვლადიმერ სტეფანიამ** 1998 წელს ევროლიგის ვარსკვლავთა მატჩში ითამაშა. **ვატო ნაცვლიშვილი** ჯერ პორტუგალიელ ვარსკვლავებში გაერია, შემდეგ - ფრანგებში. **ვლადიმერ ბოისამ** შარშან სულაც ევროპის ნაკრებში იასპარეზა - საბერძნეთის ეროვნულ გონდს დაუპირისპირდა. მისი სლოვენიის „ოლიმპიადან" იტალიაში გადასვლის შემდეგ გადაწყდა ადრიატიკის ლიგაის „ოლ სტარის" ჩატარება. ამიტომ ვოვას ამ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია, სამაგიეროდ ადრიატიკის ვარსკვლავეთში ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა... შაბათს ამ ოთხეულს გიორგი ცინცაძეც შეუერთდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

გიორგი ცინცაძე ბალტიის ოლსტარში

# მერვე ნომრითა და 8 ქულით მერვე ცაზე

**ძიუდო**

საერთაშორისო ტურნირი

# ერთი ბრინჯაო პლოვდივიდან

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დასრულდა მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „სტრანჯას თასი". შეჯიბრებაში 19 ქვეყნის 110 მოკრივე ასპარეზობდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების რვა წევრიდან ყველა პირველ-მეორე წრეშივე გამოეთიშა შეჯიბრებას. ერთადერთი მედალი ერგო მძიმეწონისან **ბექა ლობჟანიძეს**, რომელსაც მონაწილეთა სიმცირის გამო, ერთი ბრძოლის მოგება ეყო ბრინჯაოს მედლისთვის. ბექამ პირველ წრეში რუმინელი **რომან კაპიტონენკო** დაამარცხა, რითაც ნახევარფინალში გავიდა. ეს კი მინიმუმ, გარანტირებულ მესამე ადგილს ნიშნავდა. შაბათს მას შეეძლო, რომ მედლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ეზრუნა. ჩვენი მოკრივე ბოლომდე ვაჟკაცურად ეჩხუბა მსოფლიოს ერთ-ერთი გრანდის - კუბის წარმომადგენელ **რობერტ ალფონსოს**, მაგრამ ქულებით დამარცხდა (4:15) და ბრინჯაოს დასჯერდა.

პირველსავე წრეში მასპინძელ ოგნიან კოლევთან ქულებით (12:19) დამარცხდა **კობა ფხაკაძე**. აღსანიშნავია, რომ კობა ჩვეული 57-ის ნაცვლად, 60 კილოგრამში ასპარეზობდა.

კიდევ ერთ ბულგარელთან - ევგენი ბორისოვთან დრამატულ ბრძოლაში წააგო **კახა ჟვანიამ** (69 კგ). შეხვედრა ბოლო წამამდე უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა და ბულგარელმა მინიმალური სხვაობით იმარჯვა - 13:12.

64 კილოგრამში, **ლევან ღვამიჩავა** ყაზახ ბულატ ბორნანკულოვს გადაეყარა და 14:22 წააგო. რაც შეეხება **დავით ნიკლაურს** (81 კგ), იგი მეორე წრეში რუს დმიტრი ჩუდინოვს ხვდებოდა, რომლის დამარცხებითაც ნახევარფინალში გავიდოდა. სამწუხაროდ, რუსი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რომელმაც ორ რაუნდში მოამთავრა საქმე.

ახლა გუნდი თბილისში დაბრუნდება, საიდანაც 7 თებერვალს კიევს მიაშურებს უკრაინის ნაკრებთან ერთობლივი შეკრების გასავლელად. 24 თებერვალს კი იტალიაში პესკარას საერთაშორისო ტურნირი იწყება, სადაც პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გათამაშდება.

**კობა ხატისაშვილი**

## მილოცვა

ხელბურთში ვეტერან მსაჯს **თამაზ (ჯუმბერ) ჩხარტიშვილს** ამ დღეებში დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ იუბილარს ოფიციალურად მიულოცა. მილოცვაში ნათქვამია: „თქვენ ახალგაზრდობაშივე მოიპოვეთ მაღალკვალიფიცირებული და ობიექტური არბიტრის სახელი. ოცდაათი წლისას კი უკვე საერთაშორისო კატეგორია მოგენიჭათ. იმსაჯეთ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადა, რაც უდავოდ დიდი პატივი იყო. ამასთან მრავალგზის გიმსაჯიათ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპის როგორც ვაჟთა, ისე ქალთა მატჩები, ევროტურნირების, თასების თასის, ჩემპიონთა თასის ფინალები, მსოფლიო ნაკრების შეხვედრები სსრკ და გფრ-ის ნაკრებებთან. თქვენ ბრძანდებით ერთადერთი არბიტრი, რომელმაც სსრ კავშირის 1962-90 წლების ყველა ჩემპიონატების მატჩი იმსაჯა. შვიდჯერ დასახელდით სსრკ წლის საუკეთესო არბიტრად. 1995 წლიდან მოღვაწეობთ, როგორც ევროტურნირების კომისარი.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ დღესაც, თქვენი ცოდნითა და გამოცდილებით, ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ ქართული ხელბურთის წინსვლაში, როგორც ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის წევრს. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს".

*საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია*

## თარიღი

ნოდარ გვახარია. დაიბადა 03.02.1932, თბილისი - 14.11.1996, იქვე. წყალბურთი. თამაშობდა თბილისის „დინამოში" (1948-51; 56-61), მოსკოვის „დინამოსა" (1951-56) და სსრკ ნაკრებში (1951-60). იყო თბილისის „დინამოს" მოთამაშე-მწვრთნელი, მთავარი მწვრთნელი (1960-67), სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1962-64). 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1958), ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული თამაშების ჩემპიონი (1953) და ორგზის მეორე პრიზიორი (1955, 57), მსოფლიო სტუდენტთა თამაშების მეორე პრიზიორი (1954), სსრკ ჩემპიონი (1953), ორგზის მეორე (1956, 60) და ორგზის მესამე (1958-59) პრიზიორი,. სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1959). მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამო" სსრკ ჩემპიონატებში სამჯერ გახდა მეორე (1960, 62, 63) და ორჯერ მესამე პრიზიორი (1964, 66). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სოსო ლიპარტელიანი. დაიბადა 3.02.1971, ხოფური, ლენტეხი. ძიუდო (78 კგ). 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1993). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი სამბოში (1993).

# ჩახნაშვილი გამოჩნდა



საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** ახალი სეზონი ერთი თვის დაგვიანებით, მაგრამ მოგებით გახსნა. 25 წლის ქართველმა (რომელიც ამჟამად მსოფლიოს 182-ე ჩოგანია) ასპარეზობა პარიზის „ოფენ გაზ დე ფრანსის" ტურნირით დაიწყო. ეს შეჯიბრება დახურულ დარბაზში მიმდინარეობს, ის WTA-ს მეორე კატეგორიის ტურნირია 600 ათასი დოლარი საპრიზო ფონდით. ტურნირი მეთექვსმეტედ ტარდება. ჩახნაშვილი შედარებით დაბალი რეიტინგის გამო საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება. პირველ წრეში მაკას მეტოქე 19 წლის უკრაინელი **გალინა კოსიკი** (292) იყო, ჩახნაშვილს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა - 7:5, 6:0. ქართველმა მეტოქის მოწოდება ექვსჯერ მოიგო, თავად კი ორჯერ დათმო. ამასთან მაკამ ოთხი ეისი ჩააგდო კოსიკის ერთის წინააალმდეგ.

გუშინ მეორე საკვალიფკაციო წრეში მაკა ჩახნაშვილი ამერიკელ **ჯული დიტის** შეხვდა, რომელიც მსოფლიოს 104-ე ჩოგანია. სამსეტიანი ბრძოლა ამერიკელმა მოიგო - 3:6, 6:2, 0:6. არადა, მაკას ურიგოდ არ უთამაშია, მან ოთხჯერ აართვა მეტოქეს მოწოდება, მაგრამ მესამე სეტისთვის ძალები არ ეყო. ნოემბრიდან მაკა ესპანეთში ვარჯიშობს, სადაც მან ახალი სპონსორი იშოვნა, თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ ჩახნაშვილმა პირველად ითამაშა.

# სადაურს სად წაიყვან

ბანგლადეშის ქალაქ დაკაში თუ ქართველ ჩოგბურთელს ალმოვაჩენდით, არ გვეგონა, თუნდაც საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ITF-ის ეგიდით ტარდება 18-წლამდელ ჩოგბურთელებში. საკვალიფიკაციო ბადეში მესამე ნომრად განთესეს **სერგი სიხარულიძე**, 17 წლის ჩოგბურთელი, რომელიც ახალგაზრდულ ასპარეზზე 714-ე ჩოგანია. პირველ წრეში ქართველი ისვენებდა, მეორეში მან ჩინელ **გაოიუ ჭანკს** მოუგო - 6:2, 6:4 და ძირითად ბადეში გავიდა. ძირითადი ბადის პირველ წრეში სერგიმ კორეელი **კი-ჰუმ კინი** დაამარცხა - 6:2, 7:5. მეორე წრეში მან ტაივანელი **იენ ლო** დაამარცხა - 6:2, 6:3. სიხარულიძე მხოლოდ მერვედფინალში დამარცხდა, სადაც მისი მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი ახალზელანდიელი **რიკი მაკლაჩლანი** (195) იყო - 6:3, 5:7, 1:6. წყვილთა თანრიგში სერგი სიხარულიძე პორტუგალიელ **მანუელ მარსელოსთან** ერთად პირველივე წრეში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

ფედერაციის თასი

# მოსალოდნელი ფიასკოს ამბავი

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა ბუდაპეშტში ფედერაციის თასის ევროპა-აფრიკის I ზონის ყველა მატჩი წააგო და ისევ მეორე ზონაში დაქვეითდა. **ლალი ზერეკიძის** გუნდმა ყველა შეხვედრა მშრალად დათმო, მათ შორის გადამწყვეტი - პოლონეთის ნაკრების წინაალმდეგ. სხვა შედეგი ტურნირის დაწყებამდეც ძნელი წარმოსადგენი იყო, რადგან ნაკრების ხელმძღვანელობამ მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით ექვს საუკეთესო ჩოგბურთელს ვერ დაუძახა ნაკრებში. 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** და 16 წლის **ეკა გორგოძის** ამარა დარჩენილმა ნაკრებმა კი ძლიერ მეტოქეებთან ვერაფერი გააწყო.

წლეულს გუნდი მისმა ერთგულმა ლიდერმა **მაკა ჩახნაშვილმაც** კი დაალალატა, რომელსაც ნაკრებში ყველაზე მეტი, 29 გამარჯვება აქვს მოპოვებული. წლეულს სპონსორებთან შეთანხმებულმა ჩახნაშვილმა ნაკრებზე უარი თქვა. 17 წლის **ანა ტატიშვილის** ჯერ ერთხელაც არ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, რას ერჩის ნაკრების ხელმძღვანელობა მესამე ჩოგან **სოფიო შაფათავას**, გაუგებარია. რაც შეეხება **სალომე დევიძეს**, მას მაშინაც ვერ იწვევდნენ, როცა ფორმაში იყო, თუმცა ახლანდელი რეიტინგითაც ნაკრების ყველა წევრზე წინაა.

შაბათს საქართველოს ნაკრები პოლონეთისას დაუპირისპირდა, დამარცხებული ზონას ტოვებდა. მეტი გაუმართლებლობა წარმოუდგენელიცაა - ბედის ირონიით, გადამწყვეტ მატჩში ისეთი ნაკრები შეგხვდა, რომელსაც ალზევების ფავორიტად მიიჩნევდნენ. სამწუხაროდ, არც ის ხმები გამართლდა, თითქოს, დები **რადვანსკები** WTA-ს ტურნირზე ჩასასწრებად ნაკრებს მიატოვებდნენ, ორივე დარჩა და ზედიზედ მეორე წელიწადია საქართველოს ნაკრების დამარცხებით დაგვამახსოვრა თავი.

ლალი ზერეკიძემ ნაკრების მეორე ნომერი შეცვალა და გორგოძის ნაცვლად ურეიტინგო **თათია მიქაძე** დაუპირისპირა უმცროს რადვანსკას, **ურსულას**. პოლონელის უპირატესობა აშკარა იყო, მიქაძემ მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო - 1:6, 0:6.

ოქსანა კალაშნიკოვა ერთი წლით უფროს **აგნიეშკა** რადვანსკას დაუპირისპირდა, რომელიც მსოფლიოს 21-ე ჩოგანია. შარშან ფედერაციის თასზე საქართველო-პოლონეთის მატჩში აგნიეშკამ იოლად მოუგო მაკა ჩახნაშვილს. წლეულს კალაშნიკოვამ მას უფრო დიდი წინაალმდეგობა გაუწია, თუმცა ისიც ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 3:6.

წყვილთა თანრიგში **სოფიო ქვაცაბაია** და თათია მიქაძე 1:6, 1:6 დამარცხდნენ **იანსის** და **როსოლსკას** წყვილთან. 0:3 და საქართველო გაისად ევროპა-აფრიკის II ზონაში ითამაშებს. ჩვენ ნაკრებთან ერთად ზონა პორტუგალიის ნაკრებმა დატოვა, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან წააგო - 0:2.

მსოფლიო ჯგუფის სააპრილო ფლეი-ოფის საგზური უდავოდ ყველაზე ძლიერმა ნაკრებმა, სერბეთმა მოიპოვა. სერბეთმა 2:0 მოუგო ჰოლანდიას, თავიანთი მატჩები მოიგეს **ანა ივანოვიჩმა** და **ელენა იანკოვიჩმა**. მეორე საგზურისთვის სერიოზული ბრძოლა გაიმართა. პირველ მატჩში შვეიცარიელმა **ემანუელ გალიარდიმ** მოუგო **იოჰანა ლარსონს**, თუმცა **სოფია არვიდსონმა** მოახერხა **პატი შნაიდერის** დამარცხება და მატჩის ბედი წყვილთა თანრიგში გადაწყდა. სამსეტიანი შეხვედრა შვეიცარიელებმა მოიგეს და მასთან ერთად მსოფლიო ჯგუფის საგზურიც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ფედერაციის თასი. ევროპა-აფრიკის I ზონა**

30 იანვარი - 2 თებერვალი, ბუდაპეშტი (უნგრეთი)

**ფლეი-დაუნი**

**საქართველო-პოლონეთი 0:3**

თათია მიქაძე - ურსულა რადვანსკა 1:6, 0:6

ოქსანა კალაშნიკოვა - აგნიეშკა რადვანსკა 4:6, 3:6

მიქაძე, ქვაცაბაია - იანსი, როსოლსკა 1:6, 1:6

**დიდი ბრიტანეთი-პორტუგალია 2:0**

ენ კეტავონგი - ანა ნოგუეირა 6:1, 7:6

კეტი ო'ბრაიენი - მაგალი დე ლატრე 6:4, 6:2

**ფლეი-ოფი**

**სერბეთი-ჰოლანდია 2:0**

ანა ივანოვიჩი - რენე რეინჰარდტი 6:3, 2:6, 6:3

ელენა იანკოვიჩი - არანტა რუსი 6:4, 7:6

**შვეიცარია-შვედეთი 2:1**

ემანუელ გალიარდი - იოჰანა ლარსონი 6:4, 5:7, 6:4

სოფია არვიდსონი - პატი შნაიდერი 6:2, 3:6, 6:2

გალიარდი, შნაიდერი - არვიდსონი, ლარსონი 2:6, 6:3, 7:6



# მოსკოვმა კარი გაალო




ბაადურ ჯობავა

რამდენიმე წელის, რუსეთში საჭადრაკო სეზონი, თებერვალში, მსოფლიოში უდიდესი ფესტივალით - „აეროფლოტ ოუფენით" იხსნება. „აეროფლოტი" თებერვლის შუა რიცხვებში იწყებოდა და წელსაც იგივე ვადებია, მაგრამ ალსანიშნავი ერთი გარემოებაა: ამ ტურნირის დასრულებისთანავე წინა წლებში მოსკოვის ღია პირველობაც იმართებოდა - შედარებით მცირე საპრიზო ფონდით. წლეულს მოსკოვის ჭადრაკის ფედერაციამ და სხვა პარტნიორმა ორგანიზაციებმა მასშტაბის გაზრდა მოისურვეს და სიტყვა საქმედ აქციეს: საპრიზო ფონდად ხუთი მილიონი რუბლი დააწესეს და ტურნირი „აეროფლოტ ოუფენის" წინ გადმოიტანეს.

როგორც „აეროფლოტი", მოსკოვის ღია ტურნირი - „მოსკვა-ოუფენიც" - ოთხ კატეგორიაში ატარებს შ ეჯიბრებას: A, სადაც უძლიერესი მოჭადრაკეები და მაღალი რეიტინგის მქონენი მოხვდებიან; B, დაბალრეიტინგიანებისთვის; C, სადაც მხოლოდ ქალები ითამაშებენ და D - საბავშვო ტურნირი. ქალთა შეჯიბრი ცალკე წელს პირველად გამოიყო, აქამდე მანდილოსნები A ტურნირში თამაშობდნენ, რაც, რა თქმა უნდა, მათ შანსებს ძლიერ ამცირებდა. ამჯერად მათ საკმაოდ დიდი ფულადი პრიზის მოპოვება შეუძლიათ: პირველ ადგილზე გასული ქალბატონი 150 000 რუბლს (დაახლოებით 6 200 დოლარი) მიიღებს; მეორეადგილოსანი - 100 000-ს ჩიქობავას, მესამეზე 70 000-ია განკუთვნილი; IV - 50 000; V - 40 000; VI - 30 000; VII - 20 000; VIII-XVI - 10 000.

სამ-სამი პრიზი - 15 000, 10 000 და 5 000 რუბლის ოდენობით მიეცემათ სხვადასხვა კატეგორიის და რეიტინგის მოჭადრაკებს: ვეტერან ქალებს (50 წლის და ზემოთ); 1990 წელს და შემდეგ დაბადებულ გოგონებს; 1994 წელს და შემდეგ დაბადებულებს; 1900-დან 2200 რეიტინგის მფლობელებს შორის წარმატებულებს და 1900-მდე რეიტინგის მფლობელთა შორის თავგამოჩენილებს.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია საპრიზო ფონდი A ჯგუფში: გამარჯვებულს 500 000 (დაახლოებით 20 500 დოლარი) გადაეცემა; მეორეადგილოსანი 350 000 (14 400 დოლარი) რუბლით გამდიდრდება; მესამე: ადგილზე კი 250 000 (10 300 დოლარი) რუბლია გათვალისწინებული. სხვა ადგილზე გასულნი შემდეგს მიიღებენ: IV - 200 000; V - 180 000; VI - 160 000; VII - 140 000; VIII - 120 000; IX - 100 000; X - 80 000; XI-XII - 60 000; XIII-XV - 50 000; XVI-XVII - 40 000; XVIII-XX - 30 000; XXI-XXV - 20 000; XXVI-XXX - 10 000. დამატებით სამ-სამი პრიზი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ორჯერ მეტია: 1 - 30 000; 2 - 15 000; 3 - 10 000. მამაკაცებში ვეტერანების სტატუსი 60 და მეტი ასაკის მონაწილეთ ეძლევათ. შედარებით ახალგაზრდები - 1948-67 წლებში დაბადებულები „ჯენტლმენების" კატეგორიაში გაიყვანეს; იუნიორებში (1990 და შემდეგ); და ბავშვებში - 1994 და შემდეგ დაბადებულები.

მონაწილეთა რაოენობამ სარეკორდოს მიაღწია - 2 ათასზე მეტი მსურველი შეიკრიბა. აქედან მთავარ ტურნირში 274 თამაშობს, ქალებში კი - 136.

პირველად ხდება, რომ მოსკოვის ტურნირში 2700-იანი რეიტინგის მფლობელი თამაშობს: სომეხი დიდოსტატი **ვლადიმერ აკოფიანი** - 2700. მართალია, სხვა „შვიდოსანი" არ მონაწილეობს, ასეთი კი მსოფლიოში კიდევ 23-ია, ტურნირი მაინც ძალიან ძლიერია. მხოლოდ პირველი ათეულის გადახედვად კი საკმარისია შთაბეჭდილების მოსახდენად, თუმცა ათეულს მიღმა მყოფთა სახელებიც არანაკლებ ცნობილია, თუ უფრო არა...

2600-იანი 33 დიდოსტატია; 2500-იანი და მეტი კი - 49. საბედნიეროდ, უძლიერესთა შორის ქართველი **ბაადურ ჯობავაც** არის, - იგი 2643 ქულით მეათეა. ქალთა შორის კი ოთხი ჩვენებური თამაშობს: **ლელა ჯავახიშვილი** (2470); **სოფიო გვეტაძე** (2352); **სალომე მელია** (2362) და **ნაზი პაიკიძე** (2311). აქედან პაიკიძე, შეიძლება ითქვას, მასპინძელია - მეორე წელია მოსკოვში ცხოვრობს და ვარჯიშობს. მოსკოვშივე აპირებს უმეტესი დროის გატარებას ლელა ჯავახიშვილიც - მოსკოველ მწვრთნელთა მეთვალყურეობით რამდენიმე თვის მანძილზე მოემზადება ამ წლის უმნიშვნელოვანესი ტურნირებისთვის.

ფესტივალი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ტარდება, მხოლოდ D ტურნირში გაიმართება 8 ტურად. დრო ფიდესეულია: საათნახევარი პირველ 40 სვლამდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით; შემდეგ ორივე მხარეს 15 წუთი ეძლევა, პარტიის ბოლომდე.

კაცთა პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. **ვლადიმერ აკოფიანი** (სომ. 2700); 2. **ერნესტო ინარკიევი** (რუს. 2681); 3. **ვადიმ ზვიაგინცევი** (რუს. 2677); 4. **არტიომ ტიმოფეევი** (რუს. 2664); 5. **ფარუხ ამუნატოვი** (ტაჯ. 2649); 6. **სერგეი ტივიაკოვი** (ჰოლ. 2649); 7. **ევგენი მიროშნიჩენკო** (უკრ. 2645); 8. **ალექსანდრე არეშჩენკო** (უკრ. 2645); 9. **ალექსანდრე მოტილოვი** (რუს. 2644); 10. **ბაადურ ჯობავა** (საქ. 2643). ამათ გარდა თამაშობენ: **ემილ სუტოვსკი** (ისრ. 2642); **ზაჰარ ეფიმენკო** (უკრ. 2638); **არკადი ნაიდიჩი** (გერ. 2638) და სხვა ცნობილი დიდოსტატები.

ქალთა ათეული: 1. **ანა უშენინა** (უკრ. 2484); 2. **ელინა დანიელიანი** (სომ. 2480); 3. **ნატალია პოგონინა** (რუს. 2476); 4. **კატარინა ლაჰნო** (უკრ. 2475); 6. **ანა მუზიჩუკი** (სლოვ. 2460); 7. **ნატალია ჟუკოვა** (უკრ. 2457); 8. **ჰარიკა დრონავალი** (ინდ. 2455); 9. **სვეტლანა მატვეევა** (რუს. 2433); 10. **ელიზაბეტ პეჰცი** (გერ. 2420). ამათ შორის **ლელა ჯავახიშვილი** მეხუთეა - 2470 რეიტინგით.

ქართველი მოჭადრაკეები ფავორიტებად ითვლებიან და საკმაოდ მაღალი განთესვის ნომრებიც აქვთ, ამიტომ პირველ ტურში შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავდათ. საბედნიეროდ, ყველა მათგანმა უპრობლემოდ დასძლია მეტოქეთა წინაალმდეგობა და გაიმარჯვა. მეორე ტურში მეტოქეთა კლასი უფრო იმატებს, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენებურებმა პირველი დღის წარმატება ვერ გაიმეორონ.

**ზვიად შათირიშვილი**

***P.S.* *ჯობავამ ბრწყინვალედ ჩაატარა მეორე ტურის შეხვედრა და რუს დიდოსტატს, სერგეი ისკუსნიხს ბრწყინვალე სტილში აჯობა თეთრებით.***

ტრანსფერი

# პაუ გასოლი ლეიკერსშია

## ლოს ანჯელესში მეჯიძი და ქარიმი გაიხსენეს

**შაკილ ონილის** "მაიამიში" წასვლის შემდეგ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" გრანდიდან ეგრევე კონფერენციის საშუალოთა მარაქაში გადავარდა და **კობი ბრაიანტის** არაჩვეულებრივი თამაშის მიუხედავად, კალიფორნიელებს ზემძლავრი დასავლეთის პირველი საფლეიოფო წრის გავლაც კი გადაუჭრელ პრობლემად ექცათ. ერთხელ გუნდი სულაც რვა საუკეთესოს მიღმა დარჩა, ხოლო ორჯერ კი^ კობისა და კომპანიას **სტივ ნეშის** "ფინიქსმა" დაუქნია თითი. აი, ასე აეწყო "ლეიკერსის" პოსტშაკური ეპოპეა, რომელიც გუშინწინდელი ტრანსფერის შემდეგ, გაცილებით წარმატებული და შედეგიანი უნდა გახდეს - კალიფორნიელებმა "მემფისისგან" გაცვლის შედეგად ძალიან ძლიერი მაღალი მოთამაშე, ესპანელი ფორვარდ-ცენტრი **პაუ გასოლი** დაიმატეს.

"ლეიეკრსმა" როგორც იქნა, მოიშორა ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი და მოძველბიჭო ცენტრი **კვამე ბრაუნი**, რომელმაც ვერა და ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და საშუალოდ 10 ქულის დაგროვება გადაუჭრელ პრობლემად ექცა. ბრაუნთან ერთად "გრიზლისმა" ახალბედა **ჯარვის კრიტენტონი** და 2008 და 2010 წლების დრაფტის პირველ წრეში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო. უფრო სწორად, ამ ამანათზე "ლეიკერსი" "მემფისს" თავიდან შეუთანხმდა, მერე კი ბებერი უკანახაზელი **აარონ მაკკიც** დაუმატა და ყველაზე საინტერესო ნაბიჯი ბოლოს გადადგა - "გრიზლისმა" გაცვლის შედეგად პაუს უმცროსი ძმა, **მარკ გასოლი** მიიღო, რომელიც კალიფორნიელებმა წლევანდელი დრაფტისას აირჩიეს.

აღნიშნული ტრანსფერით გახარებულია კობი, რომელიც რეგულარულის დაწყებამდე "ლეიკერსის" ბოსებს უინიციატივო სატრანსფერო პოლიტიკისთვის აკრიტიკებდა და სხვაგან გადასვლას ითხოვდა.

*"ამ ტრანსფერით ჩვენმა ორგანიზაციამ ყველას დაანახა, რომ "ლეიკერსს" მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა სურს. პაუ სერიოზული ძალაა, რომელიც გამოცდილებისა და თავისი უნივერსალიზმის ხარჯზე ჩვენს ახალგაზრდებსაც წინ წასწევს"*, - მიაჩნია ბრაიანტს.

გასოლის დამატება მცირე კრიზისში (ბოლო ხუთი მატჩიდან "ლეიკერსმა" ოთხი წააგო) მყოფი გუნდისთვის მისწრებაა, რადგან კიდევ კარგა ხანს ვერ გავა მოედანზე **ფილ ჯექსონის** გუნდის ძირითადი ცენტრი **ენდი ბინუმი** (რომელიც მარტის შუა რიცხვებამდე თამაშს ვერ განაახლებს), პაუს კი ცენტრადაც თამაში შეუძლია და მძიმე ფორვარდადაც.

ჯექსონის გუნდს ორშაბათს გამთენიისას "ვაშინგტონის" წინააღმდეგ თამაში ელის და ფილი იმედოვნებს, რომ ესპანელი ვარსკვლავი იმ დროისთვის უკვე გუნდთან ერთად იქნება.

*"მოვლენების ფორსირება ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ყველას გულით გაგვიხარდება, თუ პაუ "უიზრდსის" წინააღმდეგ მატჩში ჩვენთან ერთად იქნება"*, - განუცხადა მასმედიას გამოცდილმა სპეციალისტმა.

მიმდინარე რეგულარულში პაუ ერთ მატჩში საშუალოდ 18.9 ქულას, 8.8 მოხსნას, 3.1 შედეგიან გადაცემასა და 1.44 დაფარებას აგროვებს და თავისთავად, ესპანელი "გრიზლისის" ლიდერი და ყველაზე საიმედო მოთამაშეც იყო.



პაუ გასოლი

პაუ გასოლი 2002 წლის რეგულარულის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს, ოთხი სეზონის მერე კი იგი უკვე "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილე გახდა. "მემფისის" რიგებში ესპანელს 476 შეხვედრა აქვს ჩატარებული და მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი ასეთია - 18.8 ქულა, 8.6 მოხსნა და 3.1 შედეგიანი გადაცემა.

■ ■ ■

იმავე დღეს, "მემფისი" მხოლოდ ამ გაცვლით არ შემოიფარგლა და "ნიუ ჯერსისთანაც" მოახერხა გარიგება. "გრიზლისმა" ფორვარდი **სტრომაილ სვიფტი** (ამ სეზონში - 6.8 ქულა და 3.7 მოხსნა) "ნეტში" გაუშვა, მის ნაცვლად კი, შემადგენლობა ცენტრალური თავდამსხმელით, **ჯეისონ კოლინზით** (1.4 ქულა, 2.1 მოხსნა) შეავსო.

**ზურაბ თალაკვაძე**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**1 თებერვალი**

**პორტლენდი-ნიუ იორკი 94:88 (ო)**

24:28, 14:21, 25:20, 18:12, 13:7

**პორტლენდი:** როი (20 ქ. 11 პ. 10 მ), ს. ბლეიკი (19 ქ. 4 პ), ოლდრიჯი (17 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ტ. აუთლო (13 ქ. 4 მ. 2 დ), ჯეკი (12 ქ. 5 მ).

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (25 ქ. 13 მ), ნ. რობინსონი (17 ქ. 8 მ. 6 მ), ლი (14 ქ. 15 მ), ჯ. კროუფორდი (13 ქ. 4 პ), ბალკმენი (11 ქ. 10 მ. 2 დ).

**საკრამენტო-ნ. ორლეანი 112:103**

34:19, 30:25, 32:38, 16:21

**საკრამენტო:** არტესტი (25 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), ბ. მილერი (22 ქ. 14 მ. 4 პ), კევინ მარტინი (22 ქ. 3 პ), ბიბი (15 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), სალმონსი (11 ქ. 2 დ), მური (10 ქ. 7 მ. 3 დ).

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (25 ქ. 9 მ. 2 პ), ჩენდლერი (21 ქ. 9 მ), პოლი (15 ქ. 19 პ. 5 მ), პიტერსონი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), დევიდ უესტი (12 ქ. 4 მ. 3 პ. 3 დ. 2 ჩ).

**გ. სტეიტი-შარლოტი 127:96**

32:23, 37:25, 32:21, 26:27

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (21 ქ. 6 მ. 3 პ), ს. ჯექსონი (19 ქ. 7 პ. 3 ჩ), ბიედრინსი (15 ქ. 6 მ. 2 პ), მ. პიეტრუსი (15 ქ), აზუბუიკე (11 ქ. 7 მ. 3 პ. 2 დ), სი. ჯეი. უოტსონი (11 ქ).

**შარლოტი:** ოკაფორი (20 ქ. 18 მ), ფელტონი (16 ქ), ჯ. უოლასი (11 ქ. 6 მ. 4 პ), ჯ. რიჩარდსონი (10 ქ. 4 პ), პოლინზი (10 ქ. 6 მ).

**ტორონტო-ლეიკერსი 101:121**

23:26, 28:30, 26:27, 24:38

**ტორონტო:** ბარნიანი (28 ქ. 4 მ), ბოში (22 ქ. 15 მ. 3 პ), კალდერონი (17 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ); ე. პარკერი (12 ქ. 4 მ. 3 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (46 ქ. 7 მ. 5 პ), ვუიაჩიჩი (22 ქ), ფარმარი (13 ქ), ოდომი (12 ქ. 10 მ. 8 პ), ფიშერი (11 ქ), ტურიაფი (9 ქ. 6 მ. 5 პ. 4 დ).

**ვაშინგტონი-იუტა 87:96**

21:11, 18:27, 27:29, 21:29

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (31 ქ. 8 მ), ბლატჩე (19 ქ. 13 მ. 4 დ. 3 ჩ. 2 პ), ა. დენიელსი (18 ქ. 4 პ), ჰეივუდი (10 ქ. 9 მ. 2 დ).

**იუტა:** ოქური (27 ქ. 11 მ. 5 პ), კირილენკო (16 ქ. 5 მ. 4 დ), რ. ბრიუერი (12 ქ. 5 მ. 2 ჩ), დ. უილიამსი (11 ქ. 12 პ. 3 მ), ჰარპრინგი (10 ქ. 5 მ).

**მაიამი-ნიუ ჯერსი 85:94**

21:23, 10:20, 29:27, 25:24

**მაიამი:** უეიდი (15 ქ. 7 მ. 6 პ), ბლაუნტი (14 ქ. 4 მ), ა. ჯონსონი (14 ქ), ჯეისონ უილიამსი (12 ქ), რ. დევისი (11 ქ. 7 მ. 5 პ), ლ. ჯექსონი (10 ქ. 5 მ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (25 ქ. 4 პ. 2 ჩ), ბუნი (15 ქ. 5 მ), ვ. კარტერი (14 ქ. 11 მ. 7 პ), კიდი (11 ქ. 12 პ. 4 ჩ. 3 მ).

**მინესოტა-კლიპერსი 104:83**

20:27, 32:29, 31:15, 21:12

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (25 ქ. 11 მ), კ. სმიტი (21 ქ. 7 მ), გომესი (18 ქ. 9 მ), მაკკენტსი (14 ქ).

**კლიპერსი:** კასელი (17 ქ. 6 მ. 3 პ), მობლი (16 ქ), ტიმ ტომასი (12 ქ. 4 მ), პაუელი (12 ქ. 6 მ), ტორნტონი (10 ქ. 6 მ).

**ფილადელფია-ორლანდო 106:108**

33:33, 27:26, 24:28, 22:21

**ფილადელფია:** ა. მილერი (23 ქ. 11 პ. 4 მ), ლ. უილიამსი (20 ქ. 4 პ. 2 ჩ), ტ. იანგი (15 ქ), უ. გრინი (12 ქ. 2 ჩ), იგუოდალა (11 ქ. 6 პ. 5 მ), დალემბერი (10 ქ. 9 მ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (23 ქ. 7 მ. 6 პ), რ. ლიუისი (18 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 14 მ), აროიო (14 ქ. 5 პ), მ. ევანსი (13 ქ).

**ინდიანა-ჰიუსტონი 103:106**

23:25, 30:29, 26:25, 24:27

**ინდიანა:** გრეინჯერი (22 ქ. 6 მ. 2 ჩ), შ. უილიამსი (17 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ქ. 5 მ. 5 პ), ფოსტერი (13 ქ. 17 მ. 4 პ. 2 ჩ), მერფი (11 ქ. 6 მ).

**ჰიუსტონი:** ლანდრი (22 ქ. 7 მ), მაკგრეიდი (19 ქ. 9 პ. 5 მ. 3 ჩ), მინი (17 ქ. 12 მ. 4 პ), ბეტიე (13 ქ. 2 ჩ), სკოლა (12 ქ. 2 მ).

**2 თებერვალი**

**საკრამენტო-ჩიკაგო 105:101**

31:33, 32:27, 15:17, 27:24

**საკრამენტო:** არტესტი (28 ქ. 6 მ. 2 პ), კევინ მარტინი (26 ქ. 4 მ), ბ. მილერი (22 ქ. 20 მ. 4 პ. 4 ჩ. 2 დ).

**ჩიკაგო:** გორდონი (33 ქ. 2 ჩ), ჰაინრიხი (18 ქ. 3 პ), ნოა (10 ქ. 7 მ), ბ. უოლასი (9 ქ. 9 მ. 4 დ).

**სიეტლი-ნიუ იორკი 86:86**

17:15, 17:23, 29:23, 23:24

**სიეტლი:** დიურანი (21 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), უილკოქსი (20 ქ. 10 მ. 4 პ), კოლისონი (9 ქ. 12 მ).

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (24 ქ. 5 მ. 4 პ), ჯ. კროუფორდი (23 ქ), კ. რიჩარდსონი (11 ქ. 6 მ. 4 პ), ლი (10 ქ. 10 მ).

**ინდიანა-ორლანდო 115:121**

34:34, 26:24, 25:36, 30:27

**ინდიანა:** გრეინჯერი (28 ქ. 4 მ. 2 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (19 ქ. 7 მ. 5 პ), მერფი (17 ქ. 6 მ), კ. რაში (13 ქ), ს. უილიამსი (12 ქ), დიენერი (5 ქ. 10 პ. 6 მ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (24 1. 12 მ), თურქოღლუ (23 ქ. 8 პ. 5 მ), რ. ლიუისი (19 ქ. 5 მ), ბოგანსი (16 ქ. 4 მ. 3 პ), აროიო (16 ქ. 5 მ. 3 პ), მ. ევანსი (16 ქ. 4 მ. 3 პ).

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 104:92**

25:18, 30:20, 24:26, 25:28

**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (24 ქ. 7 მ. 5 პ), ჯოშ სმიტი (23 ქ. 8 მ. 5 პ. 3 დ), ჩილდრესი (23 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ჰორფორდი (14 ქ. 7 მ), ჯო ჯონსონი (10 ქ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (უქულოდ, 4 მ. 1 დ).**

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (23 ქ. 4 მ), ნახბარი (16 ქ. 4 მ), ვ. კარტერი (14 ქ. 10 პ), ბუნი (14 ქ. 5 მ), კიდი (5 ქ. 7 პ. 10 მ).

**კლივლენდი-კლიპერსი 98:84**

19:23, 26:24, 28:22, 25:15

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (28 ქ. 11 მ. 7 პ. 2 ჩ), ილგაუსკასი (22 ქ. 13 მ. 4 პ. 4 დ), გუდენი (14 ქ. 12 მ), გიბსონი (11 ქ. 4 მ), ჰიუზი (10 ქ).

**კლიპერსი:** ტორნტონი (23 ქ. 7 მ), მობლი (19 ქ. 6 მ. 2 დ), ტიმ ტომასი (15 ქ. 5 მ. 3 პ), პაუელი (13 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**დენვერი-შარლოტი 117:101**

27:32, 30:35, 25:20, 35:14

**დენვერი:** ენტონი (25 ქ. 10 მ. 4 პ), აივერსონი (24 ქ. 13 პ. 6 მ. 5 ჩ), კლეიზა (23 ქ. 8 მ. 2 ჩ), კენიონ მარტინი (10 ქ. 8 მ), ე. კარტერი (10 ქ. 6 პ. 3 ჩ).

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (38 ქ. 3 მ. 3 პ), ოკაფორი (20 ქ. 18 მ), ფელტონი (14 ქ. 9 პ. 2 ჩ), დადლი (11 ქ. 8 მ).

**მილუოკი-ჰიუსტონი 83:91**

20:21, 17:21, 24:22, 22:27

**მილუოკი:** ბოგუტი (21 ქ. 5 მ. 4 დ), ვილიანოვა (14 ქ. 6 მ), სიმონსი (14 ქ. 5 მ), მო უილიამსი (13 ქ. 9 პ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (33 ქ. 11 მ. 6 პ), მინი (12 ქ. 12 მ. 3 დ. 2 პ), ალსტონი (10 ქ. 9 პ), უელსი (10 ქ. 7 მ. 3 პ), სკოლა (8 ქ).

**მემფისი-იუტა 91:110**

23:25, 17:28, 19:30, 32:27

**მემფისი:** გეი (15 ქ. 10 მ), მ. მილერი (14 ქ. 5 მ. 3 პ), უორიკი (14 ქ. 5 მ. 2 დ), მილიჩიჩი (12 ქ. 12 მ. 2 დ), ნავარო (11 ქ. 5 პ. 4 მ), ლოური (10 ქ. 4 პ), კარდინალი (10 ქ).

**იუტა:** ბუზერი (19 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), დ. უილიამსი (16 ქ. 11 პ), რ. ბრიუერი (16 ქ. 5 ჩ. 3 მ. 3 პ), ოქური (15 ქ. 13 მ. 2 ჩ), კორვერი (14 ქ), ჰარპრინგი (12 ქ).

NBA. იანვრის ლაურეატები

# ლებრონი და იაო



ლებრონ ჯეიმსი

იანვრის დასრულების შემდეგ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ თვის ლაურეატები დაასახელა.

აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველობა არავის დაუთმო "კლივლენდის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა**. ეს არც არავის გაკვირვებია, ვინაიდან ლებრონი იანვარში ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდ - ის საშუალოდ მატჩში 32.8 ქულას აგროვებდა. ამას დაემატა 7.8 მოხსნ: და 7.2 შედეგიანი პასი. იანვარში "კავალიერზმა" 14-დან 11 მატჩი მოიგო.

გასულ თვეში, ლებრონი პირველი კალათბურთელი გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც ერთ მატჩში ერთდროულად მოუყარა თავი 31 ქულას, 19 მოხსნას, 8 შედეგიან გადაცემას, 4 დაფარებასა და 3 ჩაჭრას. ეს მოხდა 11 იანვარს, "შარლოტთან" შეხვედრაში.

გარდა ამისა, ჯეიმსმა 15 იანვარს, "მემფისის" წინააღმდეგ სეზონის რეკორდი დაამყარა, როცა 51 ქულის მოგროვება შეძლო. ამასთან, ფორვარდი ახლო იყო სამმაგ დუბლთან, რადგან 8 მოხსნა და 9 პასიც მიითვალა. ლებრონი **რიკ ბერის** შემდეგ პირველი კალათბურთელი გახდა, რომელმაც ერთ მატჩში 50-ზე მეტი ქულა, 8 ან მეტი მოხსნა და 9 ან მეტი პასი დააგროვა. ბერის ანალოგიური მიღწევა 1978 წლით თარიღდება.

გაცილებით მოკრძალებული იყო დასავლეთის ლაურეატის, **იაო მინის** სტატისტიკური მონაგარი. "ჰიუსტონის" ცენტრი საშუალოდ 22.4 ქულას, 10.9 მოხსნას და 2.4 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. ჩინელმა განსაკუთრებით გამორჩეული შეხვედრა "გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ ჩაატარა, როცა^36 ქულით და 19 მოხსნით დაეხმარა "როკეტსს". მინი ერთადერთი კალათბურთელი იყო დასავლეთში, ვინც საშუალოდ მინიმუმ 20 ქულა, 10 მოხსნა და 2 დაფარება მოიხვეჭა.

თვის მოთამაშეობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ **ჯერალდ უოლასი** ("შარლოტი"), **ალენ აივერსონი** ("დენვერი")^ **კობი ბრაიანტი** ("ლეიკერსი"), **კრის ბოში** ("ტორონტო"), **დერონ უილიამსი** ("იუტა") და **კერონ ბატლერი** ("ვაშინგტონი").

■ ■ ■

ტრადიციულად, თვის ბოლოს საუკეთესო დებიუტანტები და მწვრთნელებიც დაასახელეს.

საუკეთესო აღმოსავლელი ახალბედა გახდა "ტორონტოს" ფორვარდი **ჯამარიო მუნი** (სეზონში - 8.0 ქულა, 6.2 მოხსნა), რომელიც ლიდერია დებიუტანტებს შორის ჩაჭრები რაოდენობით, მეორეა მოხსნების და მესამე - სათამაშო დროის მიხედვით.

დასავლეთში ზედიზედ მესამე თვეა არავის უთმობს პირველობას "სიეტლის" ფორვარდი **კევინ დიურანი**. ის ახალბედებს შორის კვლავაც საუკეთესო ბომბარდირია - 19.4 ქულა.

მწვრთნელებს შორის ლაურეატები გახდნენ - აღმოსავლეთიდან "კლივლენდის" დამრიგებელი **მაიკ ბრაუნი** და დასავლეთიდან - **ბაირონ სკოტი** ("ნიუ ორლეანი").

"კლივლენდს" თავის კონფერენციაში ჰქონდა საუკეთესო შედეგი: 11 მოგება და 3 წაგება, "ნიუ ორლეანს" კი, მთელს ლიგაში - 12 მოგება და 2 წაგება. ამის წყალობით, სკოტმა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" დასავლეთი კონფერენციის ნაკრების გაწვრთნის უფლება მიიღო.

კალათბურთი

## არენასმა კიდევ ერთი თვე უნდა მოიცადოს

"ვაშინგტონი უიზარდისის" ლიდერი **გილბერტ არენასი**, რომელიც ამ სეზონში მუხლის ტრავმის გამო მოედანზე არ გასულა, ერთ თვეში აპირებს დიდ სპორტში დაბრუნებას.

*"სადღაც 20-30 დღე მჭირდება იმისთვის, რომ რეგულარულ ჩემპიონატში ჩავერთო. ეს ყველაზე კარგი დროა დასაბრუნებლად. გასულ წელს, ტრავმის გამო პლეი ოფის შეხვედრები გამოვტოვე, წელს კი, უფრო ადრე ვბრუნდები და შესაბამისად, გადამწყვეტი მატჩებისთვის მომზადების დრო მექნება"*, - მოჰყავს კალათბურთელის სიტყვები გაზეთ Washington Post-ს.

## უოლასი ერთი კვირა დაისვენებს

"შარლოტ ბობკეტსის" ერთ-ერთი ლიდერი, ფორვარდი **ჯერალ უოლასი** მინიმუმ ერთი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, კალათბურთელმა ფეხის ტრავმა მიიღო.

უოლასს წლევანდელ სეზონში ძალიან კარგი სტატისტიკა აქვს - 21.2 ქულა, 6.2 მოხსნა, 3.7 შედეგიანი პასი და 2.2 ჩაჭრა.

## ოლიმპიაკოსმა პინი გერშონი დაითხოვა

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წინ, მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსმა". ამ გუნდის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **პინი გერშონი**, მის ნაცვლად კი, საბერძნეთის ნაკრების დამრიგებელი, **პანაიოტის იანაკისი** მიიწვია.

გერშონის დათხოვნის მიზეზი "ოლიმპიაკოსის" მიერ იანვარში ნაჩვენები შედეგები გახდა. ბერძნული კალათბურთის ერთ-ერთმა გრანდმა 5-დან ოთხი შეხვედრა წააგო. ამის გამო, ევროლიგის მეორე ეტაპის წილისყრაზე, რომელიც დღეს გაიმართება, "ოლიმპიაკოსი" უსუსტესთა კალათაში მოხვდა.

## პაპადოპულოსმა თითი მოიტეხა

სერიოზული დანაკლისი განიცადა მადრიდის "რეალმა". ამ გუნდის ბერძენი ცენტრი **ლაზაროს პაპადოპულოსი** სავარაუდოდ ერთ თვეს ვერ ითამაშებს, ვინაიდან ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, "პანათინაიკოსის" წინააღმდეგ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოიტეხა.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 1 თებერვალი

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 დუბინსკი-8, 0:2 დრური-14 (გომესი-39, ჟირარდი-12), 1:2 პარიზე-19 (ლანგენბრუნერი-19, ოდუია-12), 1:3 დრური-15 (ბეტსი-3).

**ატლანტა-ბაფალო 5:4 (ბ)**

2:0, 0:3, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 რეკი-10 (ტ. უაიტი-10, ენსტრიომი-28), 2:0 ჰოლიკი-10 (ვიაჩ. კოზლოვი-14), 2:1 პეხტი-17 (შპაჩეკი-13, ბ. კემპბელი-30), 2:2 პომინვილი-13 (ლიდმანი-14, მაკარტური-6), 2:3 პეი-11 (დ. რუა-22, ტალინდერი-7), 3:3 სლეიტერი-2 (ბულტონი-4, ტორბურნი-5), 3:4 კალინინი-1 (დ. რუა-23, კოტალიკი-15), 4:4 ენსტრიომი-4 (მარიან ჰოსა-25, ჰოლიკი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** პერენი (ატლანტა).

**ფლორიდა-ვანკუვერი 4:3 (ბ)**

0:1, 2:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-23 (ჰ. სედინი-43, ნესლუნდი-23), 1:1 ჰორტონი-13 (უეისი-21, ბ. ალენი-8), 1:2 ჰ. სედინი-11 (ნესლუნდი-24, დ. სედინი-30), 2:2 შტუმპელი-7 (ო. იოკინენი-26, სალეი-16), 2:3 რეიმონდი-5 (ჟეფრეი-4), 3:3 უეისი-10 (მონტადორი-9, სალეი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰორტონი (ფლორიდა).

**დეტროიტი-კოლორადო 2:0**

0:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-30 (დაციუკი-45, რაფალსკი-35), 2:0 დიეპერი-9 (დაციუკი-46, ლიდსტრიომი-44).

**სენტ ლუისი-ანაჰაიმი 1:0 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს:** ე. მაკდონალდი (სენტ ლუისი), ბოიესი (სენტ ლუისი).

**ედმონტონი-დალასი 1:4**

1:0, 0:2, 0:2

**გოლები:** 1:0 სტორტინი-2 (ბროძიაკი-10, სანდერსონი-8), 1:1 მოროუ-21 (რიბეირო-35, ი. ლეჰტინენი-14), 1:2 რობიდასი-4 (რიბეირო-36, მოროუ-29), 1:3 ი. იოკინენი-12 (მიეტინენი-16, მოდანო-22), 1:4 ოტი-8 (ლ. ერიქსონი-10).

### 2 თებერვალი

**მონრეალი-აილენდერსი 4:1**

0:0, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პლეკანეცი-17 (კოვალიოვი-25), 1:1 კომო-4 (შატანი-18), 2:1 შტრაიტი-8 (ს. კოივუ-28, ჰიგინსი-17), 3:1 კოვალიოვი-23 (ა. მარკოვი-26), 4:1 დანდენო-7 (შტრაიტი-28, ა. მარკოვი-27).

**ბოსტონი-დეტროიტი 1:3**

1:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 კობესიუ-19 (მეტროპოლიტი-13, ლუჩიჩი-10), 1:1 ზეტერბერგი-31 (დაციუკი-47), 1:2 დაციუკი-18 (ზეტერბერგი-34, ჰოლმსტრიომი-16), რაფალსკი-10 (ლიდსტრიომი-45).

**ტორონტო-ოტავა 4:2**

2:1, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 დ. მური-2 (დევერო-8), 2:0 ტლუსტი-5 (სტაიანი-10, ჯ. ბლეიკი-23), 2:1 ფოლინო-6 (რ. რობიტაილი-11, მეზაროში-17), 2:2 ნილი-6 (მაკამონდი-9, რ. რობიტაილი-12), 3:2 კოლაიაკოვო-1 (ირლი-1, დ. მური-4), 4:2 ჯ. ბლეიკი-11 (სტაიანი-11).

**ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი 6:3**

1:0, 4:2, 1:1

**გოლები:** 1:0 კლარკსონი-6 (კ. უაიტი-4, ბრილინი-6), 2:0 ელიაში-15 (ჯონტა-21, ოდუია-13), 2:1 ბ. ბოილი-1 (ჯულიანო-2, ბ. სტიუარტი-10), 3:1 რახუნეკი-2 (ლანგენბრუნერი-20, ზაიაცი-16), 3:2 ჯ. ჯონსონი-3 (ბ. ბოილი-1), 4:2 კ. უაიტი-1 (მადენი-13), 5:2 ზაიაცი-12 (ზუბრუსი-17, პ. მარტინი-18), 5:3 ვიშნოვსკი-6, 6:3 ბრილინი-5 (მადენი-14, კლარკსონი-9).

**ფილადელფია-ანაჰაიმი 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ნუბლი-17 (დ. ჰეტჩერი-5, აპშოლი-9), 2:0 ნუბლი-18 (მ. რიჩარდსი-36, ბრიერი-30), 3:0 ნუბლი-19 (ქობურნი-20, უმბერგერი-27).

**ვაშინგტონი-ატლანტა 0:2**

0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ტ. უაიტი-11 (რეკი-21), 0:2 მარიან ჰოსა-23 (რეკი-22).

**კოლამბუსი-მინესოტა 1:4**

0:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 0:1 ფოსტერი-4 (მ. კოივუ-14), 1:1 ბრასარი-1 (ფრიტშე-9), 1:2 როლსტონი-19 (ბუშარი-34), 1:3 გაბორიკი-27 (ფედორუკი-5, დემიტრა-22), 1:4 გაბორიკი-28 (დემიტრა-23, კ. იონსონი-16).

**პიტსბურგი-კაროლინა 4:1**

0:1, 0:0, 4:0

**გოლები:** 0:1 სამსონოვი-4 (ლედი-4, ბრინდამორი-29), 1:1 ე. კრისტენსენი-8 (ტელბოტი-8, ჯ. სტაალი-11), 2:1 მელოუნი-14 (მალკინი-32, გონჩარი-34), 3:1 მალკინი-28 (სიკორა-18, ორპიკი-7), 4:1 სიკორა-16 (გონჩარი-35, მალკინი-33).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 2:3**

0:1, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ბოუმისტერი-10 (ჰორტონი-27, ბუტი-7), 1:1 გრეტონი-9 (კ. მაკდონალდი-6, ლუკოვიჩი-6), 2:1 პროსპალი-22 (დ. ბოილი-3, რეინჯერი-17), 2:2 ო. იოკინენი-25 (ბოუმისტერი-11, ჰორტონი-28), 2:3 ზედნიკი-10 (კალიმორი-6, კრეპსი-9).

**ნეშვილი-ფინიქსი 3:2 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ლეგვანდი-12 (ერატი-24, პევერლი-2), 2:0 ერატი-16 (ჰამჰუისი-18, ბონკი-9), 2:1 დოუნი-17 (მორისი-10), 2:2 რაინპრეხტი-13 (პ. მიულერი-18, ჟოვანოვსკი-29), 3:2 რადულოვი-20 (ბონკი-10, შ. უებერი-7).

**სენტ ლუისი-კოლორადო 4:6**

2:2, 0:1, 2:3

**გოლები:** 0:1 ჰენსიკი-2 (ლაპერიერი-11, მაკლეოდი-2), 1:1 ჰინოტი-5 (მეიერსი-10, რ. ჯონსონი-9), 1:2 ჰლინკა-6 (ვოლსკი-19, ბ. კლარკი-11), 2:2 კარია-13 (ბოიესი-14, ბეკსი-11), 2:3 გიტი-5 (ვოლსკი-20, ჰენანი-13), 2:4 ჰენსიკი-3 (არნასონი-14, ლაილსი-18), 3:4 ე. მაკდონალდი-10 (პერონი-10, ბოიესი-15), 3:5 არნასონი-6 (მაკლეოდი-3), 4:5 ტკაჩუკი-16 (ბეკსი-12, ბრიუერი-11), 4:6 გიტი-6.

**კალგარი-დალასი 1:2**

0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლენგკოუ-21 (ტანგეი-30, იგინლა-33), 1:1 მოროუ-22 (რიბეირო-37, მიეტინენი-17), 1:2 პაგმანი-19 (ნორსტრიომი-5, ი. იოკინენი-10).

**სან ხოსე-ჩიკაგო 3:2 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პ. შარპი-23 (ბარკერი-3, პაველატი-13), 1:1 ჩიჩუ-11 (ჯ. ტორნტონი-46, რივე-20), 2:1 ვლასიჩი-1 (ჯ. ტორნტონი-47, რივე-21), 2:2 კეიტი-6 (ტრუტტუ-13, ვიშნიევსკი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** კეინი (ჩიკაგო), პაველსკი (სან ხოსე), რიონიკი (სან ხოსე).

---

ჰოკეი

## ნეშვილმა დუმონი დაიტოვა

"ნეშვილ პრედატორზმა" ბოლო ორი დღის განმავლობაში თავის ორ ჰოკეისტს გაუხანგრძლივა კონტრაქტები. **ჯორდინ ტუტუს** შემდეგ, კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთმა ნამყვანმა ფორვარდმა, **ჟან-პიერ-დუმონმა**.

ახალი ხელშეკრულება 4-წლიანია და დუმონი ჯამში ხელფასის სახით 16 მილიონ დოლარს მიიღებს. თავდამსხმელი მეშვიდე წელია ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თამაშობს. მის ანგარიშზე 568 მატჩში 267 ქულა (160 გოლი+207 პასი) მოდის. წელს, დუმონი "ნეშვილის" მეორე ბომბარდირი გახლავთ.

## მეორეხარისხოვანი გაცვლა

შაბათს, ჰოკეისტები გაცვალეს "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსმა" და "ედმონტონ ოილერზმა". ამ უკანასკნელის შვედი მცველი **დიკ ტარნსტრიომი** "კოლამბუსის" რიგებში გადავიდა. მის ნაცვლად კი,"მენავთობეებმა" **კერტის გლენკროსს** მიიღეს. ამ სეზონში, 33 წლის ტარნსტრიომმა 29 მატჩი ჩაატარა და 5 ქულა დააგროვა (1+4). რაც შეეხება გლენკროსს, 45 შეხვედრაში მისი მონაგარი 7 გოლსა და 6 შედეგიან გადაცემას უდრის.

## ანტროპოვი სამი მატჩით დასაჯეს

"ტორონტო რეპტორზისა" და ყაზახეთის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი **ნიკოლაი ანტროპოვი** სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამგვარი მკაცრი სასჯელი ჰოკეისტმა "კაროლინასთან" შეხვედრაში გამოჩენილი უდისციპლინობის გამო დაიმსახურა. კერძოდ, ანტროპოვმა მთავარ არბიტრს მიაყენა შეურაცხყოფა. ოვერტაიმში, ყაზახი ჰოკეისტი ორი წუთით გააძევეს მოედნიდან, რის შემდეგაც, მეტოქეთა ფორვარდმა **როდ ბრინდამორმა** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და "კაროლინას" მოაგებინა. სწორედ ამის შემდეგ ესროლა ყვანჯი მსაჯს ტორონტოელმა ფორვარდმა.

---

# მძლეოსნობა

ვარსკვლავი

# მუტოლა სეზონის ბოლოს წავა

სახელოვანმა მოზამბიკელმა მორბენალმა **მარია დე ლურდეს მუტოლამ** გამოაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს, თავის სპორტულ კარიერას წერტილს დაუსვამს.

მძლეოსნობაში გატარებული ოცი წლის განმავლობაში (საერთაშორისო არენაზე პირველად 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე გამოჩნდა), მუტოლას არაერთი რეკორდი აქვს დამყარებული, სიდნეიში (2000 წელს) ის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი არაერთი ოქრო მოუპოვებია და სამართლიანად ითვლება 800 მეტრზე სირბილში (ღია და ჭერქვეშა არენებზე), ყველა დროის საუკეთესო ქალ მორბენლად.

*"ვფიქრობ, ამ სეზონის ბოლო საუკეთესო დროა იმისათვის, რომ ჩემს სპორტულ კარიერას წერტილი დავუსვა. ამ სეზონში ორ დიდ ტურნირზე – მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე ვიასპარეზებ. რეალური შანსი მაქვს, ერთ სეზონში ორი დიდი ტურნირი მოვიგო. და თუ ასე მოხდა, წასვლისთვის ამაზე უკეთეს წინაპირობას ვერც ვინატრებდი"*, - ამბობს 35 წლის ვარსკვლავი, ვისაც 800 მეტრზე სირბილში, მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატებზე ოქროს შვიდი მედალი აქვს მოპოვებული.

*"პეკინის ოლიმპიადაზე დიდხანს ვოცნებობდი. მინდოდა, სპორტიდან წასვლამდე იქაც მეასპარეზა და როგორც ჩანს, ეს სურვილიც მისრულდება. უკვე 17 წელია, რაც მოწინავეთა შორის ვარ და ოლიმპიადაზე გამოსვლა და პირველობისთვის პაექრობა, ჩემი სპორტული კარიერის შესანიშნავი დასასრული იქნება"*, - დასძენს მუტოლა, ვისაც პირველი სერიოზული შედეგი მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონატზე ჰქონდა, სადაც მეოთხე ადგილი დაიკავა.

მუტოლას მენეჯერი **ჯეფ ფანდი** არ გამორიცხავს, რომ მუტოლა შეიძლება სპორტიდან წასვლის შემდეგ დაბრუნდეს, თუმცა დარწმუნებით ამბობს, რომ მას საჩემპიონო მოტივაცია აღარ ექნება და თუ ირბენს, ამას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის და საქველმოქმედო აქციებისთვის გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ მუტოლამ შარშან ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა, მაგრამ ტრავმის გამო, ფინიშს ვერ მიაღწია. იმ ტრავმის გამო, მას სეზონებს შორის ლაზერით ოპერაცია გაუკეთეს და ახლა ის უკვე მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. სხვათა შორის, ორი წლის წინ, სეზონის დაწყებამდე, მუტოლას ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, მაგრამ ჭერქვეშა არენაზე მან კიდევ ერთხელ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.




მარია მუტოლა

მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატზე მან პირველად 1993 წელს იასპარეზა. სულ მან დახურული არენების მსოფლიო ჩემპიონატებზე რვაჯერ მიიღო მონაწილეობა და შვიდ შემთხვევაში შინ ოქროს მედლით დაბრუნდა, ერთხელ კი ვერცხლს დასჯერდა. მას შედარებით მოკრძალებული მიღწევები აქვს ღია არენებზე, სადაც "მხოლოდ" სამი ოქრო, ერთი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო აქვს მოპოვებული და ორჯერ მეოთხე ადგილი დაიკავა. მისი კარიერის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მხოლოდ ერთი ოლიმპიური აქვს მოპოვებული. სხვა სამ ოლიმპიადაზე კი თითო მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილი დაიკავა.

მას შემდეგ, რაც 2003 წლის სეზონში, მარტომ მოიპოვა ოქროს ლიგის მილიონდოლარიანი ჯეკპოტი, მუტოლას მეტსახელად ჟარნალისტებმა "მილიონ დოლარ მუტოლა" უწოდეს.

მუტოლამ 1000 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდი (ღია არენაზე) 1995 წელს დაამყარა, 1996 და 99 წლებში კი იმავე დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდები დახურულ არენებზეც გააუმჯობესა. მასვე 800 მეტრზე სირბილში აფრიკის რვა რეკორდი ეკუთვნის. მაგრამ ვერაფრით შესწვდა 800 მეტრზე ჩეხი **იარმილა კრატოხვილოვას** მიერ 1983 წელს, მიუნხენში დამყარებულ რეკორდს (1:53.28), რომელსაც ბევრი სპეციალისტი მუდმივს უწოდებს.

---

# სხვადასხვა

ჰოკეი

## მეფეებმა კაპიტანი დაკარგეს

"ლოს ანჯელეს კინგზის" კაპიტანმა **რობ ბლეიკმა** ორი კვირით უნდა დაისვენოს - ექიმებმა დაადგინეს, რომ ჰოკეისტს ფეხის ძვალი აქვს გატეხილი. როგორც ალმოჩნდა, ვეტერან მცველს ეს ტრავმა 15 იანვარს მიუღია, თუმცა მას შემდეგ, ექვს მატჩში დაიცვა თავისი კლუბის ღირსება. მაგრამ ახლა ექიმებმა ჰოკეისტს მოედანზე გასვლა აუკრძალეს. ამ სეზონში ბლეიკმა 53 მატჩში 26 ქულა (5 გოლი+21 საგოლე პასი) დაგროვა.

ფორმულა 1

## BMW-მ კლინი და ასმერი აირჩია

"BMW-ზაუბერმა" სრულად დააკომპლექტა 2008 წლის შემადგენლობა. გუშინ, საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ტესტ-პილოტთა გვარები დაასახელა. ესენი არიან: **კრისტიან კლინი** და **მარკო ასმერი**. *"ჩვენ გვინდოდა გუნდის მესამე პილოტს ფორმულა 1-ში გამოსვლის გამოცდილება ჰქონოდა. ასევე, პერსპექტიული ახალბედაც გვჭირდებოდა, რომელიც მაღალი დონის პილოტად გაიზრდება"*, - განაცხადა გუნდის შეფმა **მარიო ტიისენმა**. კლინს ფორმულაში სამწლიანი გამოცდილება აქვს - ის ჯერ "იაგუარის", შემდეგ კი, "რედ ბულის" შემადგენლობაში გამოდიოდა. ავსტრიელის ანგარიშზეა 46 გრან-პრი და 14 ქულა. რაც შეეხება 20 წლის ესტონელ მარკო ასმერს, მან შარშან F3-ის ბრიტანული ჩემპიონატი მოიგო და წელს "BMW-ზაუბერის" ტესტებშიც მიიღო მონაწილეობა.

# TV სპორტი

### 4 თებერვალი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

- **13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
- **13:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
- **15:10** ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ასტონ ვილა.
- **17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
- **17:15** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
- **20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
- **21:15** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- **22:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- **23:15** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი.
- **01:05** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

- **08:00** მინი-მოედანი.
- **08:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი.
- **10:10** ფეხბურთი. Barca TV.
- **10:18** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. შტუტგარტი. გერმანია.
- **13:08** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
- **15:43** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
- **16:12** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პონტე პრეტა-სან პაულუ.
- **18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა.
- **20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
- **22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
- **00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ესპანიოლი.
- **00:56** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ემპოლი.
- **03:44** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი.
- **05:32** მინი-მოედანი.
- **05:58** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პონტე პრეტა-სან პაულუ.
- **07:45** სპორტული ისტორია.

#### EUROSPORT

- **11:30** თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
- **12:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. საპორო. იაპონია.
- **13:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
- **14:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა-ნიგერია. განა.
- **15:00** სნუკერი. მალტის თასი. I დღე (LIVE).
- **19:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. კოტ დ'ივუარი-გვინეა. განა.
- **20:00** მულტისპორტი.
- **20:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
- **21:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. ეგვიპტე-ანგოლა. განა (LIVE).
- **23:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. მიმოხილვა.
- **00:30** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. ტუნისი-კამერუნი. განა (LIVE).
- **02:30** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
- **03:30** მულტისპორტი.
- **03:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

- **10:30** ახალი ამბები.
- **13:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-მინესოტა.
- **14:00** სნოუბორდი. ავსტრია.
- **15:00** ახალი ამბები.
- **17:00** სნოუბორდი. ავსტრია.
- **18:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა-ნიგერია. განა.
- **19:00** პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
- **20:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-მინესოტა.
- **21:00** ახალი ამბები.
- **21:15** სნუკერი. მალტის თასი. I დღე (LIVE).
- **01:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-მინესოტა.
- **02:00** ახალი ამბები.
- **02:15** ტრიკ-ტრაკი. მსოფლიო სერია. ბრიტანეთი.
- **03:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ლეიკერსი | 91:103 |
| დეტროიტი-დალასი | 90:67 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ფუენლაბრადა-კახასოლი | 76:69 |
| რეალი-ტაუგრესი | 80:82 |
| ლეონი-უნიკახა | 81:91 |
| ვალიადოლიდი-ხუვენტუდი | 77:100 |
| გრან კანარია-ბილბაო | 86:74 |
| ხირონა-მენორკა | 66:63 |
| მურსია-გრანადა | 78:71 |
| ესტუდიანტესი-ბარსელონა | 79:86 |
| მანრესა-ვალენსია | 64:82 |

| იტალია | |
|---|---|
| კლიმამიო-სნაიდერო | 71:79 |
| აველინო-კანტუ | 90:72 |
| ვარეზე-ტერამო | 79:88 |
| დ'ორლანდო-მილანი | 61:88 |
| ბენეტონი-ვირტუსი | 55:69 |
| მონტეპასკი-ნაპოლი | 86:73 |
| რიეტი-მონტეგრანარო | 95:102 |
| რომა-სკაფატი | 82:73 |
| სკავოლინი-ბიელა | 90:81 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-ტულონი | 94:78 |
| კლერმონი-პსჟ | 81:73 |
| ჰავრი-პო ორტეზი | 73:68 |
| ლე მანი-გრაველინი | 67:60 |
| ნანსი-შალონი | 84:61 |
| ვიში-დიჟონი | 60:73 |
| რუანი-ორლეანეზი | 93:73 |

### ჰოკეი

| NHL | |
|---|---|
| მონრეალი-რეინჯერსი | 3:5 |

| რუსეთი | |
|---|---|
| ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 2:4 |
| ლადა-მეტალურგი (ნ) | 3:4 |
| ტრაქტორი-ტორპედო | 3:2 |
| სიბირი-ამური | 2:3 |
| მედ-ვიტიაზი | 3:0 |
| სევერსტალი-ს. იულაევი | 3:3 |
| ავანგარდი-ცსკა | 4:1 |
| ხიმიკი-მეტალურგი (მ) | 3:3 |
| დინამო-ლოკომოტივი | 2:1 |
| აკ ბარსი-ცსკა | 4:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სლოვანი-ზვოლენი | 5:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-ტაპარა | 2:1 |
| ლუკო-ესეტი | 2:3 |
| პელიკანსი-საიპა | 6:1 |
| კიეკო-კერპეტი | 1:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პარდუბიცე-პლზენი | 3:1 |
| სლავია-ქლინი | 2:0 |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 4:1 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 0:4 |
| ზნოიმო-კლადნო | 3:2 |
| კარლოვი ვარი-სლოვანი | 5:3 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | ო.ბ. 3:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ცუგი-ციურიხი | 2:4 |
| ამბრი-რაპერსვილი | 3:5 |
| ბაზელი-ბერნი | 1:5 |
| დავოსი-ფრიბურგი | 5:1 |
| ჟენევა-კლოტენი | 2:2 |
| ლანგნაუ-ლუგანო | 6:3 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მოდო-ჰვ 71 | 2:6 |
| იურგორდენი-ბრიუნესი | 3:1 |
| ფრიოლუნდა-სკელეფტე | 4:2 |
| მორა-ლინჩოპინგი | 3:3 |
| ფერიესტადი-სიოდერტელიე | 4:4 |
| ლულეა-ტიმრა | 2:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. ვინია დელ მარი | |
|---|---|
| მონაკო-ვენტურა | 6:2, 6:4 |
| გონსალესი-კუევასი | 6:7, 7:6, 6:2 |

| ფედერაციის თასი | |
|---|---|
| **1/4 ფინალი** | |
| **ისრაელი-რუსეთი 1:4** | |
| 1:0 შაარ პეერი-დინარა საფინა | 0:6, 6:2, 6:2 |
| 1:1 ციპი ობზილერი-მარია შარაპოვა | 0:6, 4:6 |
| 1:2 შაარ პეერი-მარია შარაპოვა | 1:6, 1:6 |
| 1:3 ციპი ობზილერი-ანა ჩაკვეტაძე | 4:6, 2:6 |
| 1:4 პეერი/ობზილერი-საფინა/ვესნინა | 0:6, 6:1, 4:6 |
| **ჩინეთი-საფრანგეთი 3:2** | |
| 1:0 ნა ლი-ალიზ კორნე | 6:3, 6:1 |
| 2:0 შუაი პენგი-ვირჟინ რაზანო | 4:6, 6:3, 6:4 |
| 2:1 ნა ლი-ვირჟინ რაზანო | 6:4, 2:6, 4:6 |
| 2:2 ჟი იანი-ნატალი დეში | 3:6, 2:6 |
| 3:2 ჟი იანი/ჟიე ჟენგი-დეში/რაზანო | 7:5, 7:6 |
| **იტალია-ესპანეთი 2:3** | |
| 0:1 ფრანჩესკა სკიავონე-ნურია ლაგოსტერა | 6:7, 6:3, 2:6 |
| 0:2 ფლავია პენეტა-ანაბელ მედინა გარიგესი | 2:6, 3:6 |
| 0:3 ფრანჩესკა სკიავონე-ანაბელ მედინა გარიგესი | 4:6, 1:6 |
| 1:3 სარა ერანი-ლაურა დომინგეს ლინო | 5:7, 6:4, 6:0 |
| 2:3 ერანი/გარბინი-ლაგოსტერავივესი/სუარეს ნავარო | 6:4, 6:3 |
| **აშშ-გერმანია გადაიდო** | |
| 0:1 ლინდსი დავენპორტი-საბინ ლისიცკი | 1:6, 5:7 |
| 1:1 ეშლი ჰარკლროუდი-ტატიანა მალეკი | 6:1, 6:3 |
| ლინდსი დავენპორტი-ტატიანა მალეკი | |
| ეშლი ჰარკლროუდი-საბინ ლისიცკი | |
| დავენპორტი/რეიმონდი-გორჯესი/გრონეფელდი | |

## ანენმა კლაისტერსის რეკორდი დაამხო

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** პირველი ჩოგბურთელი გახდა ქალთა ტურის ისტორიაში, რომელმაც ერთ სეზონში 5 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა. წინა რეკორდი ანენის თანამემამულეს, **კიმ კლაისტერსს** ეკუთვნოდა, რომლის ჰონორარმა 2003 წლის სეზონში 4 446 345 დოლარი შეადგინა. ხოლო შარშან, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჟუსტინ ანენმა თითქმის ერთი მილიონით გააუმჯობესა ეს რეკორდი - 5 429 586 დოლარი.

## სერენა პარიზში არ ითამაშებს

დღეს, პარიზში WTA-ს ტურის მეორე კატეგორიის ტურნირი იწყება, რომელშიც სხვებთან ერთად **სერენა უილიამსსაც** უნდა ეთამაშა. მაგრამ ამერიკელი ჩოგბურთელი საფრანგეთის დედაქალაქში არ ჩასულა, ვინაიდან მას სასწრაფო სტომატოლოგიური ოპერაცია გაუკეთეს.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და 2003 წელს პარიზის ტურნირის ჩემპიონი სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ** შეცვალა.

## იოჰანსონმა კარიერა დაასრულა

25 წლის ასაკში დაასრულა სპორტული კარიერა შვედმა ჩოგბურთელმა **იოახიმ იოჰანსონმა**, რომელიც სამი წლის წინ, ATP-ის რეიტინგში მეცხრე ადგილს იკავებდა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი მხარის ქრონიკული ტრავმა გახდა.

*"კარიერის დასრულების გარდა სხვა ვარიანტი აღარ დამრჩა. ბოლო თვის მანძილზე სხვადასხვა სამედიცინო პროცედურებს გავდიოდი. ბოლოს ექიმებმა მითხრეს, რომ ოპერაციაც არ მიშველიდა. იმ მიზნებს, რომელიც კარიერის დასაწყისში დავისახე, ველარასოდეს ავისრულებ"*, - განაცხადა იოჰანსონმა, რომელიც მამაკაცთა ტურში ერთ-ერთი საუკეთესო მოწოდების პატრონი იყო.

იოახიმს კარიერაში ATP-ის სამი ტურნირი აქვს მოგებული (2004 წელს მემფისში, 2005 წელს - ადელაიდასა და მარსელში). გარდა ამისა, მან 2004 წელს აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში გაალწია, როცა ხუთ სეტში დაამარცხა ამერიკელი **ენდი როდიკი**. სულ 8-წლიანი კარიერის მანძილზე, შვედმა 1 472 136 დოლარი გამოიმუშავა. მხარის ტრავმის გამო, იოჰანსონმა 2005 და 2006 წლების სეზონების დიდი ნაწილი გამოტოვა, შარშან კი, მხოლოდ სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

## ფედერერი მწვრთნელის აყვანაზე დაფიქრდა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, უახლოეს ხანში შესაძლოა კვლავ აიყვანოს პირადი მწვრთნელი. ამის შესახებ, "დიდი სლემის" ტურნირების 12-გზის ჩემპიონმა შაბათს გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა. პრესასთან საუბარი 10 მარტს, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" **პიტ სამპრასთან** დანიშნულ საჩვენებელ მატჩს მიეძღვნა.

კითხვაზე, ხომ არ უკავშირდება მწვრთნელის აყვანა როლან გაროსისთვის სპეციალურ მზადებას, ფედერერმა ასე უპასუხა: *"არ მგონია, რომ ჩემს თამაშში კარდინალური ცვლილება იყოს საჭირო. მე მაქვს თამაშის ვარირების საშუალება და სწორედ ამაში მდგომარეობს ჩემი ძალა"*.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის გაზაფხულზე ფედერერმა თავისი მწვრთნელი, **ტონი როჩი** დაითხოვა და ჯერაც არ უპოვნია მისი შემცვლელი. როჯერის სიტყვებით, ის თებერვალში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი სავარაუდო ვარიანტია დევისის თასზე შვეიცარიის ნაკრების კაპიტანთან, **სევერინ ლიუეტისთან** თანამშრომლობა. ეს სპეციალისტი ბოლო პერიოდში მუდამ თან ახლავს ფედერერს.

## ჯოკოვიჩი ვუდფორდთან თანამშრომლობას აპირებს

ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** წარსულში ცნობილ ავსტრალიელ ჩოგბურთელთან, **მარკ ვუდფორდთან** თანამშრომლობის აღდგენაზე ფიქრობს. 20 წლის ჯოკოვიჩი ვუდფორდთან მეცადინეობების დაწყებას მარტში გასამართ ჰარდის მნიშვნელოვანი ტურნირების წინ გეგმავს. *"მარკთან დაკავშირებით ჯერ ბოლომდე გარკვეული არაფერია. კონკრეტული საუბარი არ გვქონია, მაგრამ ყველაფერია შესაძლებელი. ვფიქრობ, ის ინდიან უელსის მასტერზე შემოგვიერთდება, ვინაიდან იქ ახლოს ცხოვრობს"*, - ამბობს ჯოკოვიჩი. ერთი წლის წინ, სერბმა უკვე მიმართა ვუდფორდის დახმარებას. მაშინ ნოვაკი მე-13 ადგილზე იყო კლასიფიკაციაში და სურდა ბადესთან თამაში გაეუმჯობესებინა. ამ ხანმოკლე თანამშრომლობის შედეგად, ჯოკოვიჩმა კალიფორნიის ტურნირში ფინალში გაალწია, ხოლო მაიამიში მთავარი პრიზი მოიპოვა.

## ესპანეთმა ფერერიც დაკარგა

დევისის თასის პირველი ეტაპის წინ, ესპანეთის ნაკრებმა მორიგი დანაკლისი განიცადა. როგორც ცნობილია, მერვედფინალში თამაშზე უარი განაცხადეს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** და **ხუან-კარლოს ფერერომ**. მათ არყოფნაში, ნაკრების ლიდერის როლი **დავიდ ფერერს** უნდა ეკისრა, მაგრამ ეს უკანასკნელი ტრავმის გამო გამოტოვებს პერუსთან დაპირისპირებას. ფერერს **ფელისიანო ლოპესი** შეცვლის, რომელიც დღეისთვის 37-ე ადგილს იკავებს რეიტინგში.

ესპანეთი პერუს სტუმრად 8-10 თებერვალს შეხვდება.



მსოფლიო თასი

# მაზეს სენსაციური გამარჯვება

შვეიცარიის სამთო კურორტ სენ მორიცის ლეგენდარულმა ფერდობმა კორვილიამ ქალ სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის სერიის მორიგ ეტაპს, დაშვების რბოლას უმასპინძლა, რომელიც, ბევრისთვის მოულოდნელად, სლოვენიელი **ტინა მაზეს** ტრიუმფით დასრულდა.

მაზე გამოცდილი მოთხილამურეა, მის გამარჯვებაში კი მოულოდნელობა ის იყო, რომ ის ტექნიკური დისციპლინების ( სლალომი, გიგანტური სლალომი) სპეციალისტია და თანაც, ეტაპისწინა ვარჯიშებზე არცთუ კარგი შედეგები ჰქონდა, რის გამოც, ასპარეზობაზე 47-ე ნომრით (51 მონაწილეს შორის) გავიდა. ყველაფერთან ერთად, დაშვებაში მას ადრე მოწინავე ათეულის შედეგიც კი არასოდეს ჰქონია.

მაგრამ საქმეში ამინდი ჩაერია. უფრო სწორედ უამინდობა, რის გამოც, რბოლა ლამის ჩაიშალა. თუმცა, ორგანიზატორებმა შეძლეს ტრასის ახალი თოვლისგან გაწმენდა, რითაც ყველაზე უკეთ ისარგებლა მაზემ, ვის ცდაზეც გამოდარებაც მოესწრო.

ერთი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ყველა ფავორიტმა შეასრულა თავისი ცდა. ავსტრიელი **მარია ჰოლაუსი** უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, საინფორმაციო სააგენტოებმაც იჩქარეს და გამარჯვებულად ჰოლაუსი გამოაცხადეს, მაგრამ მაზემ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და გახდა პირველი სლოვენიელი მოთხილამურე ქალი ვინც მსოფლიო თასის მოგება შეძლო. ამასთან, ასეთი დაბალი სასტარტო ნომრით, მსოფლიო თასის ეტაპი აქამდე არავის მოუგია.

ავსტრიელებმა კვლავ ვერ შეძლეს მიმდინარე სეზონში დაშვების პირველი გამარჯვების მოპოვება. სამაგიეროდ, შესანიშნავად იასპარეზა 16 წლის შვეიცარიელმა **ლარა გუტმა**, ვისთვისაც ეს პირველი გამოსვლა იყო მსოფლიო თასის ეტაპზე. ის ჰოლაუსს 0.01 წამით ჩამორჩა და ვინ იცის, ზედ ფინიშის წინ რომ არ დაცემულიყო, იქნებ სამთო თხილამურობის ისტორიაში ყველაზე დიდი სენსაციაც გამოეცხო. ასე იყო თუ ისე, ის კარიერაში პირველად ავიდა კვარცხლბეკზე. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მაზესავით, საასპარეზოდ ისიც მაღალი სასტარტო ნომრით გავიდა.

*"წაქცევა კვარცხლბეკზე ასვლის ორიგინალური ხერხია, თუმცა ვეცდები, შემდგომში, ფინიში ფეხზე მდგარმა გადავკვეთო"*, - განაცხადა შვეიცარიელმა მაზემ ოთხილამურემ.

მხოლოდ მეხუთე შედეგს დასჯერდა ამერიკელი **ლინდსი ვონი**, ვისაც მიმდინარე სეზონში, დაშვების ექვსი ეტაპიდან სამი აქვს მოგებული. დისტანციის ნახევარი რომ გაიარა, საშუალედო საუკეთესო შედეგს თითქმის წამით სჯობდა, მაგრამ შემდეგ იდეალურ ტრაექტორიას ასცდა და ძლივს მოახერხა წონასწორობის შენარჩუნება. ნარბოლევს კი განაცხადა, ისეთი ცუდი ხედვა იყო, ფინიშს რომ მივაღწიე, ამითაც კმაყოფილი ვარო.

*"ეს რბოლა სიურპრიზებით იყო აღსავსე და ამ ქაოსში ყველაზე მეტად მე ვისარგებლე. ვარჯიშებზე ვგრძნობდი, რომ ამ სეზონში ჩქაროსნულ რბოლებზე უკეთ შემიძლია გამოსვლა. მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ დაშვებაში გამარჯვებას შევძლებდი. ძალიან ვამაყობ იმით, რომ მსოფლიო თასის პირველი სლოვენიელი გამარჯვებული ვარ. ჩემთვის ეს მეტად რთული სეზონია, თუმცა იმედი არასოდეს დამიკარგავს"*, - განაცხადა 24 წლის მაზემ, ვინც 2004 წელს, ავსტრიის ალტენმარკში ჩატარებული სუპერგიგანტის რბოლა, რომელზეც 64-ე ნომრით იასპარეზა, მესამე ადგილზე დაასრულა.

ცნობისათვის, მაზეს ტრიუმფამდე, მსოფლიო თასის დაშვების რბოლაში სლოვენიელთა საუკეთესო შედეგი მეექვსე ადგილი იყო. ეს შედეგი 1994 წელს **ალენკა დოვჟანმა** დააფიქსირა. რაც შეეხება მაზეს, მისთვის სენ მორიცის კორვილიას ფერდობი იღბლიანია. ამ ტრასაზე მან 2004 წელს გიგანტური სლალომი მოიგო, ორი წლის შემდეგ კი, სუპერგიგანტზე მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ, ტრავმებისა და პირადი პრობლემების გამო, უკვე ორსეზონნახევარია, მსოფლიო თასზე რბოლა არ მოუგია.

პარალელურად, საფრანგეთის ცნობილ სამთო კურორტ ვალ დ'იზერს კაცების დაშვების რბოლისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ ძლიერი თოვის გამო, ეს რბოლა გადაიდო. რბოლის ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ასპარეზობა გამართულიყო, მაგრამ უაღრესად ცუდი ხედვის გამო, მათ რისისგან თავი შეიკავეს.

აღსანიშნავია, რომ ვალ დ'იზერის სახიფათო ტრასა (ფას დე ბელევარი) 1992 წლის ოლიმპიადის შემდეგ გამოუყენებელია, თუმცა მასზე მერმის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება. დაშვების გარდა, მასზე კომბინაციაცაა გასამართი და როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ის აუცილებლად ჩატარდება. რაც შეეხება გადადებულ ეტაპს, მას მოგვიანებით ნორვეგიის კვიტფილი უმასპინძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

სენ მორიცი (შვეიცარია).
ქალები. დაშვება

1. ტინა მაზე (სლოვენია) 1:44.38; 2. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) 1:44.72; 3. ლარა გუტი (შვეიცარია) 1:44.73; 4. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:44.76; 5-6. ლინდსი ვონი (აშშ) 1:44.80; 5-6. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:44.80; 7. ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) 1:44.92; 8-9. ვერენა შტუფერი (იტალია) 1:45.11; 8-9. მარი მარშან-არვიე (საფრანგეთი) 1:45.11; 10. მონიკა დუმერმუთი (შვეიცარია) 1:45.26...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 917; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 818; 3. მარლის შილდი (ავსტრია) 759; 4. მარია რიში (გერმანია) 745; 5. ჯულია მანკუზო (აშშ) 709; 6. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 696; 7. დენიზე კარბონი (იტალია) 619; 8. ანია პერსონი (შვედეთი) 616; 9. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 604; 10. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 429...




ტინა მაზე

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა